

დამტკიცებულია
საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ

2020 წლის 5 ნოემბერი



ემისიის რეგისტრაციის ნომერი

№ GE7700603955-1-02

ფასიანი ქაღალდების საერთაშორისო
საიდენტიფიკაციო ნომერი (ფქსნ/ISIN)

№ GE7700603955

საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დეპოზიტარული ხელწერილების შეთავაზების პირობების დოკუმენტის დამტკიცება შეეხება შეთავაზების პირობების დოკუმენტის ფორმას და იგი არ შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც დასკვნა მისი შინაარსის სისწორის ან მასში აღწერილი ინვესტიციების ღირებულების შესახებ



სააქციო საზოგადოება „სილქნეტი“

(საიდენტიფიკაციო ნომერი: 204566978)

დეპოზიტარული ხელწერილების შეთავაზების პირობების დოკუმენტი

მაქსიმალური 200,000,000 (ორასი მილიონი) აშშ დოლარი ნომინალური ღირებულებისა და წლიური 11% (თერთმეტი პროცენტი) საპროცენტო განაკვეთის (სარგებლის) მქონე დეპოზიტარული ხელწერილები. თითოეულ დეპოზიტარულ ხელწერილს გამოშვების თარიღიდან განადგების (დაფარვის) თარიღამდე დაერიცხება წლიური სარგებელი ზემოთ მითითებული საპროცენტო განაკვეთით, რომლის გადახდა განხორციელდება წელიწადში ორჯერ. დეპოზიტარული ხელწერილების განადგების (დაფარვის) თარიღი - 2024 წლის 2 აპრილი. თითოეული დეპოზიტარული ხელწერილის ნომინალური ღირებულება გამოშვებისას: 1,000 (ათასი) აშშ დოლარი. ფასი გამოშვებისას: ნომინალური ღირებულების 100% (ასი პროცენტი).

ემიტენტი სს „სილქნეტ“ (ს/ნ: 204566978)

ემიტენტის საკონტაქტო ინფორმაცია მისამართი: საქართველო, თბილისი 0112
მ. წინამძღვრობის ქუჩა №95.
ტელ: (995 32) 2100100-1200;
ელ-ფოსტა: bpshavlshvili@silknet.com;
ვებ-გვერდი: www.silknet.com

დებოზიტარი სს „საქართველოს უასიანი ქაღალდების ცენტრალური
დებოზიტარი“ (ს/ნ: 204935400)

დებოზიტარის საკონტაქტო ინფორმაცია მისამართი: საქართველო, თბილისი 0186, ვაჟა-ფშაველას
გაზიანის № 71, მე-10 კლდე, მე-7 სართული.
ტელ: (995 32) 2500211.
ელ-ფოსტა: epeevskid@gcd.ge;
ვებ-გვერდი: www.gcd.ge

შეთავაზების პირობების დოკუმენტის
დამტკიცებაზე პასუხისმგებელი პირი საქართველოს ეროვნული ბანკი

შეთავაზების პირობების დოკუმენტის
დამტკიცებაზე პასუხისმგებელი პირის
საკონტაქტო ინფორმაცია მისამართი: საქართველო, თბილისი 0114
სახაბროს ქუჩა № 2,
ტელ: (995 32) 2406120
ფაქსი: (995 32) 2406577,
ცხელი ხაზი: (995 32) 2406406, (995 32) 2406408,
ელ-ფოსტა: info@nhg.ge
ვებ-გვერდი: www.nhg.ge


შეთავაზების პირობების დოკუმენტის შედგენაზე
პასუხისმგებელი პირები სახელი, გვარი: გიორგი რამაშვილი,
თანამდებობა: სამეთვალყურეო სამსახურის მენეჯერი

სახელი, გვარი: დავით შამუღიაშვილი,
თანამდებობა: გენერალური დირექტორი

*შეთავაზების პირობების დოკუმენტში წარმოდგენილ ინფორმაციაში შესულია შეთავაზების პირობების
დოკუმენტის შედგენაზე პასუხისმგებელი პირებისათვის ცნობილი ყველა არსებითი ფაქტი და ადგილი არ
ქონია ისეთი ინფორმაციის გამოტოვებას, რაც გავლენას მოახდენდა შეთავაზების პირობების დოკუმენტის
შინაარსზე.*

ხელმოწერილია სს „სილქნეტის“ სახელით:

სახელი, გვარი: გიორგი რამაშვილი
თანამდებობა: სამეთვალყურეო სამსახურის მენეჯერი
ხელმოწერა: 
თარიღი: 2020 წლის 22 ოქტომბერი

სახელი, გვარი: დავით შამუღიაშვილი
თანამდებობა: გენერალური დირექტორი
ხელმოწერა: 
თარიღი: 2020 წლის 22 ოქტომბერი

მნიშვნელოვანი ინფორმაცია ინვესტორთათვის:

ამ დოკუმენტის კითხვის გაგრძელებამდე პოტენციური ინვესტორი უნდა გაეცნოს წინამდებარე დათქმას დეპოზიტარული ხელწერილების შეთავაზების პირობების დოკუმენტთან დაკავშირებით. დეპოზიტარული ხელწერილების წინამდებარე შეთავაზების პირობების დოკუმენტის (შემდგომში „**შეთავაზების პირობების დოკუმენტი**“) გაცნობითა და მისი გამოყენებით (მათ შორის, ინვესტირების მიზნით) პოტენციური ინვესტორი თანხმობას აცხადებს, რომ დაექვემდებარება და შეასრულებს ქვემოთ მოცემულ პირობებს (დროდადრო მათში შეტანილი ცვლილებების ჩათვლით). შეთავაზების პირობების დოკუმენტთან დაკავშირებით პოტენციურ ინვესტორებთან კომუნიკაცია და წინამდებარე შეთავაზების პირობების დოკუმენტი (მათ შორის, ელექტრონული კომუნიკაცია და ელექტრონული გზავნილის ფორმით მიღებული შეთავაზების პირობების დოკუმენტი) კონფიდენციალურია და განკუთვნილია მხოლოდ ადრესატისათვის. ინვესტორი თანახმაა, რომ არც ერთ სხვა პირს არ გადასცეს, გაუგზავნოს ან სხვაგვარად ხელმისაწვდომი გახადოს ან გასაჯაროოს წინამდებარე შეთავაზების პირობების დოკუმენტი და მასთან დაკავშირებული კომუნიკაცია.

წინამდებარე შეთავაზების პირობების დოკუმენტი არ წარმოადგენს შეთავაზებას და არ შეიძლება იყოს გამოყენებული შეთავაზების მიზნით რომელიმე ისეთ იურისდიქციაში, სადაც ამგვარი ქმედება ნებადართული არ არის, ან რომელიმე ისეთი პირისადმი, რომლისთვისაც ამგვარი შეთავაზება უკანონოა. საქართველოს გარდა, არც ერთ იურისდიქციაში არ ხორციელდება რაიმე ქმედება წინამდებარე შეთავაზების პირობების დოკუმენტში აღწერილი დეპოზიტარული ხელწერილების შეთავაზებისთვის ნებართვის მისაღებად ან შეთავაზების პირობების დოკუმენტის (ან დეპოზიტარულ ხელწერილებთან დაკავშირებული სხვა მასალების) გასავრცელებლად.

ყოველგვარი ექვის გამოსარიცხად, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის გათვალისწინებით, წინამდებარე შეთავაზების პირობების დოკუმენტით გათვალისწინებული დეპოზიტარული ხელწერილებით გარიგება შესაძლოა დაიდოს მხოლოდ ფასიანი ქაღალდების ბაზრის შუამავლის („ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული მნიშვნელობით), მათ შორის, საბროკერო კომპანიის, მიერ ან მისი მეშვეობით.

ინვესტორის დადასტურება: შეთავაზების პირობების დოკუმენტი ინვესტორს მიეწოდება მისი თხოვნის საფუძველზე იმ პირობით, რომ იგი უდასტურებს სს „სილქნეტს“ (შემდგომში „**კომპანია**“ ან „**ემიტენტი**“), რომ ინვესტორი არის პირი, რომლისთვისაც წინამდებარე შეთავაზების პირობების დოკუმენტი შეიძლება კანონიერად იქნეს მიწოდებული იმ სახელმწიფოს კანონმდებლობის შესაბამისად, სადაც იგი იმყოფება.

პასუხისმგებლობის შეზღუდვა:

საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დეპოზიტარული ხელწერილების ემისიის შეთავაზების პირობების დოკუმენტის დამტკიცება შეეხება შეთავაზების პირობების დოკუმენტის ფორმას და იგი არ შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც დასკვნა მისი შინაარსის სისწორის ან მასში აღწერილი ინვესტიციების ღირებულების შესახებ.

არც ერთი პირი, გარდა ემიტენტისა, მათ შორის, არც სს „საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარი“, სს „საქართველოს ბანკი“, კომპანიის მრჩეველები ან მათთან დაკავშირებული რომელიმე პირი ან მათი რომელიმე დირექტორი, მრჩეველი, აგენტი ან სხვა წარმომადგენელი, არ არის პასუხისმგებელი წინამდებარე შეთავაზების პირობების დოკუმენტის შინაარსზე, მასში წარმოდგენილი ინფორმაციის უტყუარობაზე ან სისრულეზე, ან მათ მიერ ან მათი სახელით კომპანიასთან ან დეპოზიტარული ხელწერილების შეთავაზებასთან დაკავშირებით გაკეთებულ რომელიმე განცხადებაზე, ან წინამდებარე შეთავაზების პირობების დოკუმენტით განსაზღვრული ფასიანი ქაღალდების გამოშვებასა და შეთავაზებაზე. შესაბამისად, ზემოთ ჩამოთვლილი პირები, მათ შორის, სს „საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარი“, სს „საქართველოს ბანკი“ და კომპანიის მრჩეველები, არ იღებენ რაიმე კანონისმიერ თუ სხვაგვარ პასუხისმგებლობას წინამდებარე შეთავაზების პირობების დოკუმენტთან ან მათ რაიმე სხვა განცხადებასთან დაკავშირებით.

მოცემული შეთავაზების მიზნებისათვის, სს „საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარი“, სს „საქართველოს ბანკი“ და კომპანიის მრჩეველები მოქმედებენ მხოლოდ ემიტენტისათვის, ისინი არ წარმოადგენენ და არ მიიჩნევენ არც ერთ სხვა პირს (მიუხედავად იმისა, მიღებული აქვს თუ არა მას წინამდებარე შეთავაზების პირობების დოკუმენტი) თავიანთ კლიენტად მოცემულ შეთავაზებასთან დაკავშირებით. შესაბამისად, სს „საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარი“, სს „საქართველოს ბანკი“ და კომპანიის მრჩეველები არ არიან ვალდებული, გაუწიონ ვინმეს, გარდა კომპანიისა, მომსახურება ან მისცენ რჩევა შეთავაზებასთან ან წინამდებარე დოკუმენტში მითითებულ რაიმე ოპერაციასთან ან გარიგებასთან დაკავშირებით.

შეთავაზების პირობების დოკუმენტის ფორმა და ცვლილებები:

წინამდებარე შეთავაზების პირობების დოკუმენტი შესაძლოა შეიცვალოს ან შეივსოს დამატებითი ინფორმაციით კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში და წესით.

იმ შემთხვევაში, თუ წინამდებარე შეთავაზების პირობების დოკუმენტი ინვესტორს მიეწოდა ელექტრონული ფორმით, კომპანია ან/და მასთან დაკავშირებული ნებისმიერი პირი არ იქნება რაიმე სახით ვალდებული ან პასუხისმგებელი ელექტრონული და ნაბეჭდი ფორმით გავრცელებული შეთავაზების პირობების დოკუმენტის ვარიანტებს შორის არსებულ რაიმე სხვაობაზე ან/და კომპიუტერული პროგრამის ვირუსებისაგან ან სხვა დამაზიანებელი ელემენტებისაგან დაცვაზე, რაც შესაძლოა გამოწვეულ იქნეს ელექტრონული ფორმით დოკუმენტების გაგზავნის პროცესში მომხდარი ცვლილებებით. შეთავაზების პირობების დოკუმენტზე წვდომის განხორციელებით, ინვესტორი თანხმობას აცხადებს მისი ელექტრონული ფორმით მიღებაზე.

ყოველგვარი ექვის გამოსარიცხად, უპირატესობა ენიჭება კომპანიის მიერ გამოქვეყნებულ/გასაჯაროებულ შეთავაზების პირობების დოკუმენტს (რომელიც საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დამტკიცებულის იდენტურია).

შეთავაზების პირობების დოკუმენტის წარდგენიდან მის დამტკიცებამდე არსებითი (მატერიალური) ცვლილება არ მომხდარა, ხოლო თუკი რამე მსგავსი ცვლილება მოხდება დამტკიცებიდან შეთავაზებამდე, შეთავაზების პირობების დოკუმენტი შესაბამისად განახლდება.

ნაბეჭდი სახით შეთავაზების პირობების დოკუმენტის მიღება შესაძლებელია ემიტენტისათვის მიმართვის საფუძველზე.

გაფრთხილება:

თუ პირმა წინამდებარე შეთავაზების პირობების დოკუმენტზე წვდომა მოიპოვა ზემოაღნიშნული დათქმებისა და შეზღუდვების მიუხედავად და გაუთვალისწინებლად, იგი არ არის უფლებამოსილი, შეიმინოს მასში აღწერილი ფასიანი ქაღალდები.

სარჩევი

ზოგადი ინფორმაცია შეთავაზების პირობების დოკუმენტისა და შეთავაზების შესახებ	1
მომავალზე ორიენტირებული განცხადებები	8
შეთავაზების ძირითადი პირობები	9
რისკის ფაქტორები	14
დეპოზიტარული ხელწერილების გამოშვების პირობები	22
დეპოზიტარული ხელწერილების დაბეგვრა საქართველოში	52
ინტერესთა კონფლიქტი	54
დამატებითი ინფორმაცია.....	55
ინფორმაცია ემიტენტის, დეპოზიტარის, კასტოდიანისა და ემიტენტის იურიდიული მრჩევლების შესახებ.....	56

ზოგადი ინფორმაცია შეთავაზების პირობების დოკუმენტისა და შეთავაზების შესახებ

„ზოგადი ინფორმაცია შეთავაზების პირობების დოკუმენტისა და შეთავაზების შესახებ“ წარმოადგენს შეთავაზების პირობების დოკუმენტის (როგორც განსაზღვრულია ქვემოთ) განუყოფელ ნაწილს. ამასთან, „ზოგადი ინფორმაცია შეთავაზების პირობების დოკუმენტისა და შეთავაზების შესახებ“ არ ასახავს დეპოზიტარული ხელწერილების, მათი ემისიისა და შეთავაზების სრულ პირობებს, რომლებიც უფრო დეტალურად მოცემულია წინამდებარე შეთავაზების პირობების დოკუმენტის სხვადასხვა თავში. პოტენციური ინვესტორები სრულად უნდა გაეცნონ წინამდებარე შეთავაზების პირობების დოკუმენტსა და მასში მოცემულ ინფორმაციას.

დეპოზიტარული ხელწერილების შეთავაზების პირობების დოკუმენტი (შემდგომში „**შეთავაზების პირობების დოკუმენტი**“) მომზადებულია სს „სილქნეტის“ (შემდგომში „**კომპანია**“ ან „**ემიტენტი**“) მიერ, რომელიც წარმოადგენს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დაფუძნებულ სააქციო საზოგადოებას. კომპანია რეგისტრირებულია 2009 წლის 2 აპრილს საიდენტიფიკაციო ნომრით: 204566978, იურიდიული მისამართი: საქართველო, თბილისი 0112, მ. წინამძღვრიშვილის ქუჩა №95.

2019 წლის 2 აპრილს კომპანიის მიერ განხორციელდა ჯამური 200,000,000 (ორასი მილიონი) აშშ დოლარის ღირებულებისა და 11.00% (თერთმეტი პროცენტი) სარგებლის მქონე ფასიანი ქაღალდების (ევრობლიგაციების) (შემდგომში „**ობლიგაციები**“) გამოშვება. ობლიგაციები დაშვებულია (i) „ევრონექსტ დუბლინი“ (Euronext Dublin) (შემდგომში „**ევრონექსტ დუბლინი**“) გლობალურ საფონდო ბირჟაზე (Global Exchange Market) და (ii) საქართველოს საფონდო ბირჟის სავაჭრო სისტემასა და ლისტინგში. ობლიგაციები წარმოადგენს კომპანიის არაუზრუნველყოფილ და არასუბორდინირებულ ვალდებულებას და მათი განაღდების (დაფარვის) თარიღია 2024 წლის 2 აპრილი. ობლიგაციები გამოშვებულია რეგისტრირებული ფორმით და მათი მინიმალური დენომინაციაა 200,000 (ორასი ათასი) აშშ დოლარი და ამის ზემოთ 1,000 აშშ დოლარის ჯერადები (მთელი რიცხვი). დეტალური ინფორმაცია კომპანიის ობლიგაციების შესახებ მოცემულია სალისტინგო დოკუმენტში (როგორც განსაზღვრულია ქვემოთ).

ზემოთ მითითებული ობლიგაციების სალისტინგო დოკუმენტი (Listing Particulars), რომელიც დამტკიცებულია „ევრონექსტ დუბლინი“ მიერ 2019 წლის 29 მარტს (შემდგომში „**სალისტინგო დოკუმენტი**“), წარმოადგენს წინამდებარე შეთავაზების პირობების დოკუმენტის განუყოფელ ნაწილს და მოცემული შეთავაზების მიზნებისათვის, პოტენციური ინვესტორები სრულად უნდა გაეცნონ სალისტინგო დოკუმენტსა და მასში მოცემულ ინფორმაციას, მათ შორის, შეზღუდვის გარეშე, შემდეგ თავებს: „**რისკის ფაქტორები**“ („**Risk Factors**“) და „**ობლიგაციების გამოშვების პირობები**“ („**Terms and Conditions of the Notes**“).

სალისტინგო დოკუმენტი ინვესტორთათვის და პოტენციურ ინვესტორთათვის გასაცნობად ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: [https://silknet.com/static/cmsfiles/files/2019/Silknet%20\\$200%20mln%20Eurobond%20LPs.PDF](https://silknet.com/static/cmsfiles/files/2019/Silknet%20$200%20mln%20Eurobond%20LPs.PDF).


გარდა სალისტინგო დოკუმენტისა, ზემოთ მითითებული ობლიგაციები ასევე ექვემდებარებიან: (i) 2019 წლის 2 აპრილის ხელშეკრულებას (Trust Deed) ემიტენტსა და „BNY Mellon Corporate Trustee Services Limited“-ს, როგორც ობლიგაციონერების წარმომადგენელს, შორის; და (ii) 2019 წლის 2 აპრილის ხელშეკრულებას (Agency Agreement) ემიტენტსა და აგენტებს, მათ შორის, „BNY Mellon Corporate Trustee Services Limited“-სა და „The Bank of New York Mellon“-ის ლონდონის ფილიალს, როგორც ძირითად გადახდის აგენტს, მასში დასახელებულ სხვა გადახდის აგენტებს, მასში დასახელებულ გადაცემის აგენტებსა და „The Bank of New York Mellon SA/NV“-ს ლუქსემბურგის ფილიალს, როგორც რეგისტრატორს, შორის. აღნიშნული ხელშეკრულებების ასლები ინვესტორთათვის და პოტენციურ ინვესტორთათვის გასაცნობად ხელმისაწვდომია ნებისმიერ სამუშაო დღეს, სამუშაო საათების განმავლობაში, ემიტენტისა და დეპოზიტარის (როგორც განსაზღვრულია ქვემოთ) მისამართებზე, რომლებიც მითითებულია წინამდებარე შეთავაზების პირობების დოკუმენტის თავში: „**შეთავაზების ძირითადი პირობები**“.

ამასთანავე, ინვესტორებმა და პოტენციურმა ინვესტორებმა უნდა გაითვალისწინონ, რომ სალისტინგო დოკუმენტი მომზადებული და დამტკიცებულია 2019 წლის 29 მარტის მდგომარეობით და, შესაბამისად, მასში მოცემული ინფორმაცია (მათ შორის, შეზღუდვის გარეშე, რისკის ფაქტორებთან და კომპანიის საქმიანობასა თუ სხვადასხვა ფინანსურ და სხვა მაჩვენებელთან დაკავშირებით) არ უნდა იქნას აღქმული იმგვარად, თითქოს 2019 წლის 29 მარტის შემდეგ აღნიშნულ ინფორმაციასა და მაჩვენებლებში ცვლილებები არ შესულა.

კომპანია 2017 წლის აგვისტოდან წარმოადგენს ანგარიშვალდებულ საწარმოს „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონის მიზნებისათვის და, შესაბამისად, ექვემდებარება ამავე კანონით დადგენილ საანგარიშგებო მოთხოვნებს. ინვესტორები და პოტენციური ინვესტორები კომპანიის შესახებ სიახლეებსა და კომპანიის მიერ მომზადებულ ანგარიშებსა და ანგარიშგებებს შესაძლოა გაეცნონ კომპანიის ვებ-გვერდზე: <https://silknet.com/?module=investors&language=ge&attr=inv6&id=3> და საქართველოს საფონდო ბირჟის ვებ-გვერდზე: <https://gse.ge/securities/%23SLK01M>.

წინამდებარე შეთავაზების მიზნებისათვის, ზემოთ მითითებული ობლიგაციების საფუძველზე, კომპანიას სურს, განახორციელოს დეპოზიტარული ხელწერილების (როგორც განსაზღვრულია ქვემოთ) ემისია და საჯარო შეთავაზება საქართველოში. კერძოდ, წინამდებარე დოკუმენტი შეეხება კომპანიის მაქსიმალური 200,000 (ორასი ათასი) ცალი პროცენტის (კუპონური) დეპოზიტარული ხელწერილის (ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის (სარგებლის) მქონე სასესხო ფასიანი ქაღალდის) ემისიას, რომელიც გაცემულია/გამოშვებულია სს „საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარის“ (შემდგომში „დეპოზიტარი“) მიერ და წარმოადგენს უფლებებს კომპანიის მიერ გამოშვებულ ობლიგაციებზე, როგორც დეტალურად განმარტებულია წინამდებარე დოკუმენტის თავში: „დეპოზიტარული ხელწერილების გამოშვების პირობები“ (შემდგომში „დეპოზიტარული ხელწერილები“). თითოეული დეპოზიტარული ხელწერილის ნომინალური ღირებულება არის 1,000 (ათასი) აშშ დოლარი; საპროცენტო სარგებელი (კუპონი) - წლიური 11% (თერთმეტი პროცენტი), რომლის გადახდა განხორციელდება წელიწადში ორჯერ.

საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, დეპოზიტარული ხელწერილი არის ფასიანი ქაღალდი, რომელიც წარმოადგენს უფლებებს ემიტენტის მიერ უცხო ქვეყანაში გამოშვებულ გარკვეული რაოდენობის სხვა საჯარო ფასიან ქაღალდებზე და რომლის საფონდო ბირჟაზე სავაჭროდ დაშვება და ვაჭრობა შესაძლებელია უცხო ქვეყანაში გამოშვებული ფასიანი ქაღალდებისგან დამოუკიდებლად. ზოგადად, წინამდებარე დოკუმენტით გათვალისწინებული დეპოზიტარული ხელწერილების ემისიას აქვს შემდეგი სტრუქტურა (დეტალურად იხილეთ წინამდებარე დოკუმენტის თავი: „დეპოზიტარული ხელწერილების გამოშვების პირობები“):



შენიშვნა:

- (1) იმ დროის განმავლობაში, სანამ ნებისმიერი ობლიგაცია ჩართულია დეპოზიტარული ხელწერილების პროგრამაში (ანუ სანამ არსებობს ნებისმიერი ობლიგაციის საფუძველზე გამოშვებული და გაუნაღდებელი (დაუფარავი) დეპოზიტარული ხელწერილები), ამგვარი ობლიგაცია Euroclear-ში ან Clearstream-ში მუდმივად რეგისტრირებულია კასტოდიანის სახელზე.
- (2) იმ დროის განმავლობაში, სანამ ნებისმიერი ობლიგაცია ჩართულია დეპოზიტარული ხელწერილების პროგრამაში (ანუ სანამ არსებობს ნებისმიერი ობლიგაციის საფუძველზე გამოშვებული და გაუნაღდებელი (დაუფარავი) დეპოზიტარული ხელწერილები), ამგვარი ობლიგაცია კასტოდიანთან მუდმივად რეგისტრირებულია დეპოზიტარის სახელზე.
- (3) მას შემდეგ, რაც განხორციელდება ობლიგაციების დეპონირება კასტოდიანთან (დეპოზიტარის სახელზე), დეპოზიტარი ამგვარი დეპონირებული ობლიგაციების საფუძველზე განხორციელებს შესაბამისი რაოდენობით დეპოზიტარული ხელწერილების გამოშვებას (ემისიას), რომელთა შეთავაზებაც განხორციელდება პოტენციურ ინვესტორებზე.
- (4) საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, დეპოზიტართან იწარმოება ფასიანი ქაღალდების ბაზრის შუამავლების („ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული მნიშვნელობით) ფასიანი ქაღალდების ანგარიშები, და ინვესტორების (რომლებიც არ არიან ფასიანი ქაღალდების ბაზრის შუამავლები) კუთვნილი დეპოზიტარული ხელწერილები დეპოზიტართან რეგისტრირებულია ფასიანი ქაღალდების ბაზრის შუამავლების (მაგალითად, საბროკერო კომპანიების), როგორც ნომინალური მფლობელების, სახელზე. თუმცა, იმ შემთხვევაში, თუ ფასიანი ქაღალდების ბაზრის შუამავალს თავად აქვს საკუთრებაში დეპოზიტარული ხელწერილები, იგი უფლებამოსილია, დეპოზიტართან დარეგისტრირდეს საკუთარი სახელით, როგორც დეპოზიტარული ხელწერილების რეგისტრირებული მესაკუთრე და არა - ნომინალური მფლობელი.
- (5) საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ინვესტორები (რომლებიც არ არიან ფასიანი ქაღალდების ბაზრის შუამავლები) წარმოადგენენ დეპოზიტარული ხელწერილების რეგისტრირებულ მესაკუთრეებს და მათი საკუთრების უფლება რეგისტრირდება შესაბამისი ნომინალური მფლობელის ანგარიშებში/ჩანაწერებში. თუმცა, იმ შემთხვევაში, თუ დეპოზიტარული ხელწერილები საკუთრებაში აქვს ფასიანი ქაღალდების ბაზრის შუამავალს, იგი უფლებამოსილია, დეპოზიტართან დარეგისტრირდეს საკუთარი სახელით, როგორც დეპოზიტარული ხელწერილების რეგისტრირებული მესაკუთრე, და დეპოზიტარულ ხელწერილებზე მისი საკუთრების უფლება აღარ საჭიროებს დამატებით რეგისტრაციას ნომინალური მფლობელის ანგარიშებში/ჩანაწერებში.

ზემოთ მითითებული სტრუქტურის გათვალისწინებით (დეტალურად იხილეთ წინამდებარე შეთავაზების პირობების დოკუმენტის თავი: „დეპოზიტარული ხელწერილების გამოშვების პირობები“):

- წინამდებარე შეთავაზების პირობების დოკუმენტის საფუძველზე, ემიტენტი ქმნის დეპოზიტარული ხელწერილების პროგრამას საქართველოში და შეთავაზების პირობების დოკუმენტით განსაზღვრული პირობების შესაბამისად, იგი წარმოადგენს აღნიშნული პროგრამის სპონსორს;
- 2020 წლის 22 ოქტომბერს ემიტენტსა და დეპოზიტარს შორის გაფორმდა ხელშეკრულება დეპოზიტარული მომსახურების შესახებ, რომლის საფუძველზეც დეპოზიტარმა, მათ შორის, აიღო ვალდებულება, განხორციელოს დეპოზიტარული ხელწერილების ემისია და მათი მომსახურება საქართველოში;
- დეპოზიტარი განხორციელებს საქართველოს კანონმდებლობით მასზე დაკისრებულ ნებისმიერ და ყველა ვალდებულებას, მათ შორის, საქართველოს ეროვნულ ბანკთან ყოველთვიურად წარადგენს ინფორმაციას ფაქტობრივად განთავსებული დეპოზიტარული ხელწერილების შესახებ. აღნიშნული ანგარიში უნდა მოიცავდეს ინფორმაციას როგორც გამოშვებული და განთავსებული დეპოზიტარული ხელწერილების რაოდენობის შესახებ, ისე - იმ ობლიგაციების შესახებ, რომლებიც აღრიცხულია კასტოდიანთან და რომელთა საფუძველზეც გამოშვებულია დეპოზიტარული ხელწერილები;
- პროგრამაში ჩართული ობლიგაციები დეპონირებული იქნება კასტოდიანთან დეპოზიტარის სახელზე და ამგვარი დეპონირებული ობლიგაციების საფუძველზე დეპოზიტარი განხორციელებს შესაბამისი რაოდენობით დეპოზიტარული ხელწერილების გამოშვებას, რომელთა შეთავაზებაც განხორციელდება პოტენციური ინვესტორებისათვის;
- დეპოზიტარი განხორციელებს დეპოზიტარული ხელწერილების აღრიცხვასა და შენახვას მასთან ფასიანი ქაღალდების ბაზრის შუამავლების („ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული მნიშვნელობით), მაგალითად, საბროკერო კომპანიების, როგორც ნომინალური მფლობელების, ფასიანი ქაღალდების ანგარიშების მეშვეობით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დეპოზიტარული ხელწერილები საკუთრებაში აქვს ფასიანი ქაღალდების ბაზრის შუამავალს და იგი დეპოზიტართან რეგისტრირებულია საკუთარი სახელით, როგორც დეპოზიტარული ხელწერილების რეგისტრირებული მესაკუთრე და არა - ნომინალური მფლობელი. ამგვარი გამონაკლისი შემთხვევების

გარდა, დეპოზიტარის მიერ ნომინალური მფლობელების მეშვეობით განხორციელდება ასევე, მათ შორის, შეზღუდვის გარეშე, დეპოზიტარულ ხელწერილებთან დაკავშირებული გადახდები და სხვადასხვა კორპორატიული ქმედება (მაგალითად, ხმის მიცემა ობლიგაციონერების კრებებზე და სხვა);

- იმდენად, რამდენადაც დეპოზიტარული ხელწერილი არის ფასიანი ქაღალდი, რომელიც წარმოადგენს უფლებებს ობლიგაციებზე (ემიტენტის მიერ უცხო ქვეყანაში გამოშვებულ სხვა ფასიან ქაღალდებზე), დეპოზიტარული ხელწერილების რეგისტრირებულ მესაკუთრეებს არ აქვთ პირდაპირი (საკუთრებისა თუ სხვა მოთხოვნის) უფლებები დეპოზიტარული ხელწერილებით წარმოდგენილ ობლიგაციებზე. შესაბამისად, დეპოზიტარული ხელწერილების რეგისტრირებული მესაკუთრეების მიერ ობლიგაციებთან დაკავშირებით რაიმე უფლების განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ „დეპოზიტარული ხელწერილების გამოშვების პირობებით“ დადგენილი წესით;
- მიუხედავად იმისა, რომ წინამდებარე შეთავაზების პირობების დოკუმენტით განსაზღვრული დეპოზიტარული ხელწერილები, არსებული საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით, მიზნად ისახავს, მაქსიმალურად ხელი შეუწყოს მათ რეგისტრირებულ მესაკუთრეებზე (საკუთრებისა თუ სხვა მოთხოვნის) უფლებების გადასვლას, თავისი ბუნებიდან გამომდინარე, დეპოზიტარულ ხელწერილებზე ამგვარი საკუთრების უფლებები მოიაზრებს გარკვეულ შეზღუდვებს, რომლებიც დეტალურად განმარტებულია წინამდებარე შეთავაზების პირობების დოკუმენტის თავში: „დეპოზიტარული ხელწერილების გამოშვების პირობები“.

წინამდებარე შეთავაზების პირობების დოკუმენტით გათვალისწინებული დეპოზიტარული ხელწერილების ემისიითა და შეთავაზებით კომპანია არ არღვევს რომელიმე იურისდიქციაში მოქმედ კანონმდებლობას ან სხვა მოთხოვნას, რომელიც ვრცელდება მასზე; მათ შორის, წინამდებარე შეთავაზების პირობების დოკუმენტით გათვალისწინებული დეპოზიტარული ხელწერილების ემისიითა და შეთავაზებით კომპანია არ არღვევს „ევრონექსტ დუბლინის“ მოქმედ სალისტინგო თუ სხვა წესებსა და რეგულაციებს, ისევე როგორც - სალისტინგო დოკუმენტიდან და ობლიგაციებიდან გამომდინარე ემიტენტის სხვა ვალდებულებებს, და კომპანიას არ აქვს დაწესებული რაიმე შეზღუდვა ან აკრძალვა რომელიმე იურისდიქციაში წინამდებარე შეთავაზების პირობების დოკუმენტით გათვალისწინებული დეპოზიტარული ხელწერილების ემისიასა და შეთავაზებასთან დაკავშირებით.

თითოეულ დეპოზიტარულ ხელწერილს სარგებელი დაერიცხება გამოშვების თარიღიდან დეპოზიტარული ხელწერილების განაღდების (დაფარვის) თარიღამდე. დეპოზიტარული ხელწერილების განაღდება (დაფარვა), ანუ დეპოზიტარული ხელწერილების ძირითადი თანხისა და დარიცხული და გადაუხდელი სარგებლის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) დაფარვა, მოხდება განაღდების (დაფარვის) თარიღზე, რომელიც მითითებულია „შეთავაზების ძირითად პირობებში“. ამასთანავე, სალისტინგო დოკუმენტში განსაზღვრული პირობების შესაბამისად, კომპანიას უფლება აქვს, განხორციელოს ობლიგაციების ვადამდელი ნაწილობრივი განაღდება (დაფარვა), მათ შორის, შეზღუდვის გარეშე, ნებისმიერ დროს 2022 წლის 2 აპრილამდე, ერთჯერადად ან რამდენჯერმე, ფასად, რომელიც ტოლია გასანაღდებელი (დასაფარი) ობლიგაციების ძირითადი თანხის 100%-ისა, დამატებული დარიცხული და გადაუხდელი სარგებელი, შესაბამისი პრემია და დამატებითი თანხები, ასეთის არსებობის შემთხვევაში (იხილეთ სალისტინგო დოკუმენტის თავი: „Terms and Conditions of the Notes“ - პუნქტი 7 („Redemption and Purchase“)), რის შედეგადაც დეპოზიტარული ხელწერილების ნომინალური ღირებულება შესაძლოა დაექვემდებაროს ცვლილებას (იხილეთ „დეპოზიტარული ხელწერილების გამოშვების პირობები“).

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, წინამდებარე შეთავაზების პირობების დოკუმენტის მოქმედების ვადა არის იმ ფასიანი ქაღალდის (ობლიგაციის) დაფარვის ვადა, რომელსაც წარმოადგენს აღნიშნული დეპოზიტარული ხელწერილები.

წინამდებარე შეთავაზების პირობების დოკუმენტსა და მასში მოყვანილ ინფორმაციაში შესაძლოა შევიდეს ცვლილებები გარემოებების ცვლილებიდან გამომდინარე. საჯარო შეთავაზების პერიოდში განხორციელებული ცვლილებების თაობაზე ემიტენტი მოახდენს ინვესტორთა და პოტენციურ ინვესტორთა ინფორმირებას საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

კერძოდ, იმ შემთხვევაში, თუ საჯარო შეთავაზების პერიოდში (როგორც განმარტებულია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით) ემიტენტი გადაწყვეტს, შეცვალოს დეპოზიტარული ხელწერილების შესახებ არსებითი ინფორმაცია, იგი მიმართავს შემდეგ პროცედურას:

- (i) წარუდგენს საქართველოს ეროვნულ ბანკს შეთავაზების პირობების დოკუმენტში შესწორებას, რომელშიც განიმარტება მასში შეტანილი ყველა ცვლილება;
- (ii) გამოაქვეყნებს შეტყობინებას ემიტენტის ვებ-გვერდზე ან კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა საშუალებით, სადაც ასევე მიუთითებს დეტალებს შეცვლილი ინფორმაციის შესახებ; გამოაცხადებს

არსებული ფორმით შეთავაზების გაუქმების შესახებ და შესთავაზებს ინვესტორებს მითითებულ თარიღამდე დეპოზიტარული ხელწერილების გაყიდვის ყველა ხელშეკრულების გაუქმებას, ყოველგვარი ფასდაკლების გარეშე;

- (iii) განუსაზღვრავს ინვესტორებს სულ მცირე 10 (ათი) დღის ვადას არსებული ფორმით შეთავაზების გაუქმებაზე რეაგირებისათვის, რის შემდეგაც ემიტენტი უფლებამოსილია, განახორციელოს საჯარო შეთავაზება ახალი პირობებით.

თუ შეთავაზების პირობების დოკუმენტში შესწორება შედის ამა თუ იმ არსებით მოვლენასთან დაკავშირებით, დეპოზიტარული ხელწერილების შემძენ ინვესტორებს უფლება აქვთ, უარი განაცხადონ შესყიდულ დეპოზიტარულ ხელწერილებზე და დეპოზიტარი ვალდებულია, უკან დააბრუნოს დეპოზიტარული ხელწერილების საფასური გამოუქვითავად (ძირითადი თანხა და ამ დროისთვის დარიცხული და გადაუხდელი სარგებელი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)) ინვესტორთა მიერ ამგვარი უარის განცხადებიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში. ინვესტორები, რომლებიც უარს არ განაცხადებენ შესყიდულ დეპოზიტარულ ხელწერილებზე, ექვემდებარებიან შეთავაზების ახალ პირობებს.

თუ საჯარო შეთავაზების პერიოდში შეიცვალა შეთავაზების პირობების დოკუმენტში მითითებული არაარსებითი ინფორმაცია, ემიტენტი ვალდებულია, საქართველოს ეროვნულ ბანკს წარუდგინოს ამ ახალი ინფორმაციის (ცვლილების) ამსახველი დოკუმენტი, სანამ მოცემულ ცვლილებას შეთავაზების პირობების დოკუმენტში შეიტანს (ეროვნული ბანკის წესებით დადგენილი პროცედურის შესაბამისად). ამასთანავე, ნებისმიერი არაარსებითი ფაქტის (მოვლენის) შესახებ ინფორმაციის ცვლილების შესახებ შეტყობინება გამოქვეყნდება ემიტენტის ვებ-გვერდზე ან კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა საშუალებით.

წინამდებარე შეთავაზების პირობების დოკუმენტი და სალისტინგო დოკუმენტი არ წარმოადგენენ მარტივ დოკუმენტებს და პოტენციური ინვესტორებისათვის შესაძლოა რთული იყოს აღნიშნულ დოკუმენტების სწორად აღქმა და შეფასება. შესაბამისად, თითოეულმა პოტენციურმა ინვესტორმა საჭიროებისამებრ უნდა მიიღოს კონსულტაცია საკუთარი მრჩეველებისაგან.

დაუშვებელია წინამდებარე შეთავაზების პირობების დოკუმენტში აღწერილი დეპოზიტარული ხელწერილების გაყიდვა ან საჯარო შეთავაზება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ შეთავაზების პირობების დოკუმენტის დამტკიცებამდე. დეპოზიტარული ხელწერილების შეთავაზება ხორციელდება მხოლოდ საქართველოში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. წინამდებარე შეთავაზების პირობების დოკუმენტი არ წარმოადგენს შეთავაზებას და არ შეიძლება იყოს გამოყენებული შეთავაზების მიზნით რომელიმე ისეთ იურისდიქციაში, სადაც ამგვარი ქმედება ნებადართული არ არის, ან რომელიმე ისეთი პირისადმი, რომლისთვისაც ამგვარი შეთავაზება უკანონოა. არ მომხდარა და არ იგეგმება დეპოზიტარული ხელწერილების რეგისტრაცია ნებისმიერ სხვა ქვეყანაში, საქართველოს გარდა.

საქართველოს გარდა, არც ერთ იურისდიქციაში არ ხორციელდება არანაირი ქმედება წინამდებარე შეთავაზების პირობების დოკუმენტში აღწერილი დეპოზიტარული ხელწერილების შეთავაზებისთვის ნებართვის მისაღებად ან შეთავაზების პირობების დოკუმენტის (ან დეპოზიტარულ ხელწერილებთან დაკავშირებული სხვა მასალების) გასავრცელებლად. ამ შეთავაზების პირობების დოკუმენტის გავრცელება და დეპოზიტარული ხელწერილების შეთავაზება ზოგიერთ იურისდიქციაში ან ამ იურისდიქციის რეზიდენტი პირებისთვის დეპოზიტარული ხელწერილების მიყიდვა შესაძლოა შესაბამისი კანონმდებლობით იყოს აკრძალული ან შეზღუდული. შესაბამისად, დაუშვებელია წინამდებარე შეთავაზების პირობების დოკუმენტის გამოყენება ამგვარ იურისდიქციებში ან ამგვარი პირებისათვის დეპოზიტარული ხელწერილების შესათავაზებლად. პირები, რომელთა მფლობელობაშიც აღმოჩნდება წინამდებარე შეთავაზების პირობების დოკუმენტი და პოტენციური ინვესტორები ვალდებული არიან, თავად მოიპოვონ ინფორმაცია ამგვარი აკრძალვების შესახებ და უზრუნველყონ, რომ მათ მიერ დეპოზიტარული ხელწერილების შეთავაზება და გასხვისება საქართველოს ფარგლებს გარეთ აკმაყოფილებდეს ფასიანი ქაღალდების კანონმდებლობის მოთხოვნებს შესაბამის იურისდიქციაში. ყველა პოტენციურმა ინვესტორმა კონსულტაცია უნდა მიიღოს საკუთარი მრჩეველებისაგან იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად კანონიერია მათ მიერ დეპოზიტარული ხელწერილების შეძენა, გასხვისება ან სხვაგვარად გამოყენება.

კომპანია არ აკეთებს რაიმე განცხადებას და არ იძლევა რაიმე გარანტიას დეპოზიტარული ხელწერილების პოტენციური ან ფაქტობრივი მყიდველების წინაშე მათ მიერ დეპოზიტარულ ხელწერილებში ინვესტირების კანონიერების შესახებ რომელიმე საინვესტიციო ან მსგავსი კანონმდებლობის მიხედვით, რომელსაც ექვემდებარება ან შესაძლოა დაექვემდებაროს ამგვარი მყიდველი.

წინამდებარე შეთავაზების პირობების დოკუმენტის საფუძველზე დეპოზიტარული ხელწერილების შეძენით, ინვესტორი უდასტურებს კომპანიას, რომ იგი არის პირი, რომლისთვისაც წინამდებარე შეთავაზების პირობების დოკუმენტი შეიძლება კანონიერად იქნეს მიწოდებული იმ სახელმწიფოს კანონმდებლობის შესაბამისად, სადაც იგი იმყოფება.

კომპანიას შესაძლოა დაეკისროს პასუხისმგებლობა, თუ წინამდებარე ან შეთავაზების პირობების დოკუმენტის ნებისმიერი სხვა თავი შეიცავს შეცდომაში შემყვან, არასრულ ან არაზუსტ ინფორმაციას, ან თუ წინამდებარე ან შეთავაზების პირობების დოკუმენტის ნებისმიერი სხვა თავი არ მოიცავს იმ ძირითად ინფორმაციას, რომელიც აუცილებელია, რათა ინვესტორებმა მიიღონ გადაწყვეტილება დეპოზიტარულ ხელწერილებში კაპიტალდაბანდების მიზანშეწონილობის შესახებ (ქვემოთ მოცემული დათქმების გათვალისწინებით).

კომპანია პასუხისმგებელია წინამდებარე შეთავაზების პირობების დოკუმენტში წარმოდგენილ ინფორმაციაზე. კომპანიის ხელთ არსებული ინფორმაციით (რომლის დასადასტურებლად კომპანიამ მიმართა ყველა გონივრულ ძალისხმევას), წინამდებარე შეთავაზების პირობების დოკუმენტში მოყვანილი მონაცემები ეფუძნება ფაქტებს და არ არის გამოტოვებული ინფორმაცია, რომელსაც შესაძლოა მნიშვნელოვანი გავლენა მოეხდინა ინფორმაციის უტყუარობასა და სისრულეზე.

არც ერთი პირი არ არის უფლებამოსილი, კომპანიის სახელით გასცეს რაიმე ინფორმაცია ან გააკეთოს რაიმე განცხადება, რომელიც არ არის გათვალისწინებული წინამდებარე შეთავაზების პირობების დოკუმენტში და ნებისმიერი ასეთი ინფორმაცია ან განცხადება არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს კომპანიის მიერ ნებადართულად და არ შეიძლება მათზე დაყრდნობა. წინამდებარე შეთავაზების პირობების დოკუმენტის მიწოდება ან მასთან დაკავშირებული დეპოზიტარული ხელწერილების გასხვისება არც ერთ შემთხვევაში არ უნდა იქნეს აღქმული იმგვარად, რომ წინამდებარე შეთავაზების პირობების დოკუმენტის დამტკიცების თარიღის შემდეგ კომპანიის საქმიანობაში ცვლილებები არ შესულა.

დეპოზიტარულ ხელწერილებში ინვესტირება მაღალი რისკის შემცველია და ინვესტორმა შესაძლოა დაკარგოს მთლიანი ინვესტირებული თანხა ან მისი ნაწილი. ნებისმიერი ინვესტორი, რომელიც შეიძენს დეპოზიტარულ ხელწერილებს, მზად უნდა იყოს მისი ინვესტიციის ეკონომიკური რისკიანობისათვის და გაითვალისწინოს, რომ მის მიერ შეძენილი დეპოზიტარული ხელწერილის ძირითადი თანხის დაბრუნება და დარიცხული სარგებლის გადახდა დამოკიდებული იქნება ემიტენტის გადახდისუნარიანობაზე. დეპოზიტარულ ხელწერილებში ინვესტირებასთან დაკავშირებული კონკრეტული რისკის ფაქტორების შესახებ იხილეთ „რისკის ფაქტორები“. არც შეთავაზების პირობების დოკუმენტი და არც კომპანიის მიერ დეპოზიტარულ ხელწერილებთან დაკავშირებით მოწოდებული სხვა ინფორმაცია არ ისახავს მიზნად დეპოზიტარულ ხელწერილებში კაპიტალდაბანდებასთან დაკავშირებული რისკების შეფასებას. ყველა ინვესტორმა თავად უნდა შეაფასოს შესაბამისი პოტენციური რისკები.

წინამდებარე შეთავაზების პირობების დოკუმენტში ასახული ინფორმაცია არ უნდა იქნეს განხილული როგორც იურიდიული, საინვესტიციო, კომერციული ან საგადასახადო რჩევა. საინვესტიციო გადაწყვეტილების მიღებისას, თითოეულმა პოტენციურმა ინვესტორმა საჭიროებისამებრ უნდა მიიღოს კონსულტაცია საკუთარი მრჩეველებისაგან და თავად განსაზღვროს, რამდენად კანონიერია მის მიერ ამ შეთავაზების პირობების დოკუმენტით განსაზღვრული ფასიანი ქაღალდების შეძენა, გასხვისება ან სხვაგვარად გამოყენება იმ კანონმდებლობის საფუძველზე, რომელიც მასზე ვრცელდება.

ნებისმიერი საინვესტიციო გადაწყვეტილების მიღებისას, პოტენციური ინვესტორები უნდა დაეყრდნონ საკუთარ ანალიზს კომპანიასთან, დეპოზიტარულ ხელწერილებთან, შემოთავაზებულ პირობებთან, სარგებლიანობასა და რისკებთან მიმართებაში (აღნიშნულთან დაკავშირებით, იხილეთ „რისკის ფაქტორები“). ყველა პოტენციურმა ინვესტორმა თავად უნდა განსაზღვროს დეპოზიტარულ ხელწერილებში კაპიტალდაბანდების მიზანშეწონილობა საკუთარი გარემოებების გათვალისწინებით. კერძოდ, ყველა პოტენციური ინვესტორს უნდა ჰქონდეს:

- i. საკმარისი ცოდნა და გამოცდილება დეპოზიტარული ხელწერილების, მათში კაპიტალდაბანდების სარგებლიანობისა და რისკების, ასევე - წინამდებარე შეთავაზების პირობების დოკუმენტში (და მის შესწორებაში/დამატებაში) მოყვანილი ინფორმაციის, ჯეროვანი შეფასებისთვის; ქონება ან შემოსავალი იმისათვის, რომ აიტანოს საინვესტიციო საქმიანობით გამოწვეული ფინანსური ზარალი;
- ii. შესაბამისი ანალიტიკურ ინსტრუმენტებზე წვდომა და ცოდნა, რათა შეაფასოს დეპოზიტარულ ხელწერილებში კაპიტალდაბანდების მიზანშეწონილობა და ამგვარი ინვესტიციის გავლენა მის მთლიან საინვესტიციო პორტფელზე მისი კონკრეტული ფინანსური მდგომარეობის კონტექსტში;
- iii. საკმარისი ფინანსური რესურსები და ლიკვიდური პოზიცია დეპოზიტარულ ხელწერილებში კაპიტალდაბანდების ყველა რისკის (სავალუტო რისკის ჩათვლით) ასაღებად;
- iv. წინამდებარე შეთავაზების პირობების დოკუმენტის, მათ შორის, „დეპოზიტარული ხელწერილების გამოშვების პირობების“, და სალისტინგო დოკუმენტის სრულყოფილი გაგება და უნდა იცნობდეს შესაბამისი ფინანსური ბაზრის მახასიათებლებს; და

- v. შესაძლებლობა შეაფასოს (თავად ან ფინანსური მრჩეველის დახმარებით) ეკონომიკური, საპროცენტო განაკვეთისა და სხვა ფაქტორების შესაძლო განვითარების სცენარები, რამაც შეიძლება გავლენა იქონიოს მის ინვესტიციაზე და შესაბამისი რისკის აღების შესაძლებლობაზე.

მომავალზე ორიენტირებული განცხადებები

წინამდებარე შეთავაზების პირობების დოკუმენტში მოყვანილი გარკვეული განცხადებები შეიძლება მიჩნეულ იქნეს მომავალზე ორიენტირებულად. ასეთებია, მაგალითად: კომპანიის გეგმები, მოლოდინები, პროგნოზები, ორიენტირები, მიზნები, ამოცანები, სტრატეგიები, სამომავლო მოვლენები, სამომავლო შემოსავლები, კაპიტალური ხარჯები, დაფინანსების საჭიროებები, განზრახვები სხვა კომპანიების შეძენასთან დაკავშირებით, კონკურენტული უპირატესობა და სისუსტე, კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასთან დაკავშირებული გეგმები ან მიზნები, სამომავლო საქმიანობა, განვითარება და ბიზნესის სტრატეგია, ქვეყნის ეკონომიკასა და ცალკეულ დარგებში, ასევე - პოლიტიკურ და საკანონმდებლო გარემოში, კომპანიის მიერ დანახული სამომავლო ტენდენციები და სხვა ინფორმაცია, გარდა ისტორიულისა. მომავალზე ორიენტირებული განცხადებები წინამდებარე შეთავაზების პირობების დოკუმენტის სხვადასხვა ნაწილში შესაძლოა იყოს წარმოდგენილი, მათ შორის, თავში „*რისკის ფაქტორები*“.

ისეთი სიტყვები, როგორებიცაა: „ვეფიქრობთ“, „მიგვაჩნია“, „გვაქვს მოლოდინი“, „ვვარაუდობთ“, „გათვლილი გვაქვს“, „პოტენციურად“, „მოსალოდნელი“, „განზრახული“, „წინასწარ გათვლილი“, „პროგნოზირებული“, „შესაძლოა“, „უნდა“, „შეიძლება“, „ვგეგმავთ“, „ვაპირებთ“, „გვსურს“ და სხვა მსგავსი გამონათქვამები გათვლილია მომავალზე ორიენტირებული განცხადებების იდენტიფიკაციისათვის, თუმცა ამ სიტყვებისა და გამონათქვამების ჩამონათვალი არ არის ამოწმურავი.

თავიანთი ბუნებით, მომავალზე ორიენტირებული განცხადებები შეიცავს რისკებსა და გაურკვევლობას - როგორც ზოგადად, ასევე კონკრეტულ შემთხვევებში. არსებობს იმის რისკიც, რომ წინასწარი გათვლები, პროგნოზები და სხვა სახის მომავალზე ორიენტირებული განცხადებები მიღწეული/შესრულებული ვერ იქნება. ზოგიერთი ასეთი რისკი და გაურკვევლობა აღწერილია თავში „*რისკის ფაქტორები*“. ინვესტორებმა უნდა გააცნობიერონ, რომ სხვადასხვა მნიშვნელოვანმა ფაქტორმა შესაძლოა მომავალზე ორიენტირებულ განცხადებებში გამოთქმული გეგმების, პროგნოზების, მოლოდინების, ვარაუდების, და განზრახვებისაგან არსებითად განსხვავებული შედეგები მოიტანოს.

შესაბამისად, ინვესტორები არასათანადოდ არ უნდა დაეყრდნონ მომავალზე ორიენტირებულ განცხადებებს და მხედველობაში უნდა მიიღონ ზემოაღნიშნული ფაქტორები და სხვა გაურკვევლობები და მოვლენები, განსაკუთრებით იმ პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და საკანონმდებლო გარემოს გათვალისწინებით, რომელშიც კომპანია ფუნქციონირებს. წინამდებარე შეთავაზების პირობების დოკუმენტში მოყვანილი მომავალზე ორიენტირებული განცხადებები გაკეთებულია შეთავაზების პირობების დოკუმენტის მომზადების თარიღისთვის. კომპანია არ იღებს ვალდებულებას მათ განახლებაზე ან გადასინჯვაზე (ახალი ინფორმაციის, სამომავლო მოვლენების თუ სხვა მიზეზით), გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს შესაბამისი კანონმდებლობით არის მოთხოვნილი. კომპანია არ აცხადებს და არ იძლევა გარანტიას, რომ ამგვარი მომავალზე ორიენტირებული განცხადებებით მოსალოდნელი შედეგი მიღწეული იქნება, ეს განცხადებები ერთ-ერთია ბევრი შესაძლო სცენარიდან და არ უნდა იქნეს აღქმული როგორც მოვლენათა განვითარების ყველაზე სავარაუდო ან სტანდარტული სცენარი. ეს გაფრთხილება ეხება მომავალზე ორიენტირებულ ყველა განცხადებას, რომელიც კომპანიის ან მისი სახელით მოქმედი პირის მიერ კეთდება, ასევე - წინამდებარე შეთავაზების პირობების დოკუმენტში მესამე მხარის მიერ გაკეთებულ ყველა პროგნოზს/გათვლას.

შეთავაზების ძირითადი პირობები

„შეთავაზების ძირითადი პირობები“ აღწერს იმ ძირითად პირობებს, რომელთა შესაბამისადაც ხდება დეპოზიტარული ხელწერილების ემისია და შეთავაზება. ამასთან, „შეთავაზების ძირითადი პირობები“ არ ასახავს დეპოზიტარული ხელწერილების სრულ პირობებს, რომლებიც უფრო დეტალურად მოცემულია წინამდებარე შეთავაზების პირობების დოკუმენტის სხვა თავებში, მათ შორის, იხილეთ თავი „დეპოზიტარული ხელწერილების გამოშვების პირობები“.

შეთავაზება	მაქსიმალური 200,000,000 (ორასი მილიონი) აშშ დოლარის ჯამური ნომინალური ღირებულების სასესხო ფასიანი ქაღალდები (დეპოზიტარული ხელწერილები) განაღდების (დაფარვის) თარიღით - 2024 წლის 2 აპრილი ასევე იხილეთ: „მაქსიმალური საერთო რაოდენობა“ და „ემისიის მაქსიმალური ნომინალური ღირებულება“
ემიტენტი	სს „სილქნეტი“ (ს/ნ: 204566978)
დეპოზიტარული ხელწერილი	ფასიანი ქაღალდი, რომელიც წარმოადგენს უფლებებს ობლიგაციებზე (ემიტენტის მიერ უცხო ქვეყანაში გამოშვებულ გარკვეული რაოდენობის სხვა საჯარო ფასიან ქაღალდებზე) და რომელთა საფონდო ბირჟაზე სავაჭროდ დაშვება და ვაჭრობა შესაძლებელია ობლიგაციებისგან (უცხო ქვეყანაში გამოშვებული ფასიანი ქაღალდებისგან) დამოუკიდებლად.
ნომინალური ღირებულება	1,000 (ათასი) აშშ დოლარი დეპოზიტარული ხელწერილის ნომინალური ღირებულება შესაძლოა დაექვემდებაროს ცვლილებას (იხილეთ „დეპოზიტარული ხელწერილების გამოშვების პირობების“ მე-3 პუნქტი - „ფორმა და დენომინაცია“).
თავდაპირველი მინიმალური საერთო რაოდენობა	200 (ორასი) ცალი დეპოზიტარული ხელწერილების საერთო რაოდენობა შესაძლოა შეიცვალოს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ წინამდებარე შეთავაზების პირობების დოკუმენტის დამტკიცების შემდეგ და იყოს ცვალებადი წინამდებარე შეთავაზების პირობების დოკუმენტის მოქმედების ვადის განმავლობაში.
მაქსიმალური საერთო რაოდენობა	200,000 (ორასი ათასი) ცალი დეპოზიტარული ხელწერილების მაქსიმალური საერთო რაოდენობა შესაძლოა შეიცვალოს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ წინამდებარე შეთავაზების პირობების დოკუმენტის დამტკიცების შემდეგ იმ შემთხვევაში, თუ განხორციელდება დამატებითი გამოშვებები (იხილეთ „დეპოზიტარული ხელწერილების გამოშვების პირობების“ 21-ე პუნქტი - „დამატებითი გამოშვებები“).

ემისიის თავდაპირველი მინიმალური ნომინალური ღირებულება

200,000 (ორასი ათასი) აშშ დოლარი

დეპოზიტარული ხელწერილების ემისიის ნომინალური ღირებულება შესაძლოა შეიცვალოს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ წინამდებარე შეთავაზების პირობების დოკუმენტის დამტკიცების შემდეგ და იყოს ცვალებადი წინამდებარე შეთავაზების პირობების დოკუმენტის მოქმედების ვადის განმავლობაში.

ემისიის მაქსიმალური ნომინალური ღირებულება

200,000,000 (ორასი მილიონი) აშშ დოლარი

დეპოზიტარული ხელწერილების ემისიის მაქსიმალური ნომინალური ღირებულება შესაძლოა შეიცვალოს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ წინამდებარე შეთავაზების პირობების დოკუმენტის დამტკიცების შემდეგ იმ შემთხვევაში, თუ განხორციელდება დამატებითი გამოშვებები (იხილეთ „დეპოზიტარული ხელწერილების გამოშვების პირობების“ 21-ე პუნქტი - „დამატებითი გამოშვებები“).

საპროცენტო განაკვეთი (სარგებელი).....

წლიური 11% (თერთმეტი პროცენტი)

გამოშვების ფასი

დეპოზიტარული ხელწერილების ნომინალური ღირებულების 100% (ასი პროცენტი)

გამოშვების თარიღი

დეპოზიტარული ხელწერილების გამოშვება განხორციელდება 2020 წლის 9 ნოემბერს.

განაღების (დაფარვის) თარიღი.....

დეპოზიტარული ხელწერილების განაღდება (დაფარვა), ანუ დეპოზიტარული ხელწერილების ძირითადი თანხისა და დარიცხული და გადაუხდელი სარგებლის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) განაღდება (დაფარვა), მოხდება 2024 წლის 2 აპრილს.

დეპოზიტარი.....

სს „საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარი“ (ს/ნ: 204935400)

მას შემდეგ, რაც განხორციელდება ობლიგაციების დეპონირება კასტოდიანთან (დეპოზიტარის სახელზე), დეპოზიტარი განახორციელებს დეპოზიტარული ხელწერილების ემისიასა და მათ დეპოზიტარულ მომსახურებას, მათ შორის, შეზღუდვის გარეშე, ფასიანი ქაღალდების ანგარიშების წარმოებასა და კლირინგსა და ანგარიშსწორებას. გარდა ამისა, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, დეპოზიტარი ფაქტობრივად განთავსებული დეპოზიტარული ხელწერილების შესახებ ინფორმაციას საქართველოს ეროვნულ ბანკთან წარადგენს ყოველთვიურად. აღნიშნული ანგარიში უნდა მოიცავდეს ინფორმაციას როგორც გამოშვებული და განთავსებული დეპოზიტარული ხელწერილების რაოდენობის შესახებ, ისე იმ ობლიგაციების შესახებ, რომლებიც აღრიცხულია კასტოდიანთან და რომელთა საფუძველზეც გამოშვებულია დეპოზიტარული ხელწერილები.

კასტოდიანი

სს „საქართველოს ბანკი“ (ს/ნ: 204378869)

სარგებლის დარიცხვა და გადახდა.....	თითოეულ დეპოზიტარულ ხელწერილს დაერიცხება წლიური სარგებელი ზემოთ მითითებული საპროცენტო განაკვეთით გამოშვების თარიღიდან განაღდების (დაფარვის) თარიღამდე წინამდებარე შეთავაზების პირობების დოკუმენტით დადგენილი წესით, რომლის გადახდა განხორციელდება წელიწადში ორჯერ.
სტატუსი	დეპოზიტარული ხელწერილის ერთადერთი მიზანია, წარმოდგენოს კომპანიის მიერ გამოშვებული, აშშ დოლარში დენომინირებული ობლიგაციები, და დეპოზიტარული ხელწერილი გამოხატავს შესაბამის უფლებას ამგვარ ობლიგაციებზე (იხილეთ „დეპოზიტარული ხელწერილების გამოშვების პირობების“ მე-2 პუნქტი - „სტატუსი და მოთხოვნის უფლების შეზღუდვა“).
დეპოზიტარული ხელწერილების ფორმა	დეპოზიტარული ხელწერილები გამოშვებული იქნება არამატერიალიზებული ფორმით, ელექტრონული ჩანაწერის სახით. დეპოზიტარულ ხელწერილებზე საკუთრების უფლება დადასტურდება რეგისტრაციით ფასიანი ქაღალდების შესაბამის ანგარიშებში დეპოზიტართან ან/და დეპოზიტარული ხელწერილის ნომინალური მფლობელთან (იხილეთ „დეპოზიტარული ხელწერილების გამოშვების პირობების“ მე-4 პუნქტი - „ფასიანი ქაღალდების ანგარიშები, საკუთრების უფლება და გადაცემა“).
	დეპოზიტარული ხელწერილების გასხვისება და საკუთრების უფლების გადაცემა მხოლოდ იმ შემთხვევაში არის ნამდვილი, თუ ამგვარი გასხვისების შედეგად დეპოზიტარულ ხელწერილებზე საკუთრების უფლების ცვლილება დარეგისტრირდება ფასიანი ქაღალდების შესაბამის ანგარიშებში დეპოზიტართან ან/და დეპოზიტარული ხელწერილის ნომინალურ მფლობელთან.
ვადამდე განაღდება (დაფარვა) ან გამოსყიდვა.....	შესაძლოა განხორციელდეს დეპოზიტარული ხელწერილებით წარმოდგენილი ობლიგაციების ვადამდე განაღდება (დაფარვა) სალისტინგო დოკუმენტის შესაბამისად, მათ შორის, შეზღუდვის გარეშე, ნებისმიერ დროს 2022 წლის 2 აპრილამდე, ერთჯერადად ან რამდენჯერმე, ფასად, რომელიც ტოლია გასანაღდებელი (დასაფარი) ობლიგაციების ძირითადი თანხის 100%-ისა, დამატებული დარიცხული და გადაუხდელი სარგებელი, შესაბამისი პრემია და დამატებითი თანხები, ასეთის არსებობის შემთხვევაში (იხილეთ სალისტინგო დოკუმენტის თავი: „Terms and Conditions of the Notes“ - პუნქტი 7 („Redemption and Purchase“)) (იხილეთ „დეპოზიტარული ხელწერილების გამოშვების პირობების“ მე-13 პუნქტი - „განაღდება (დაფარვა) და შეძენა“).
დათქმები.....	სალისტინგო დოკუმენტის თანახმად, ემიტენტს (და ზოგიერთ შემთხვევაში - მის შვილობილ(ებ)ს) დაწესებული აქვს შეზღუდვები და დათქმები აქტივების უფლებრივად დატვირთვისთან ან სხვაგვარად განკარგავსთან დაკავშირებით, გარდა ნებადართული უზრუნველყოფებისა. ემიტენტი ასევე

	ექვემდებარება სხვა შეზღუდვებსა და დათქმებს, მათ შორის, საქმიანობის გაგრძელებასთან, შერწყმასთან, აფილირებულ პირთან დადებულ გარიგებებთან, აკრძალულ გადახდებთან და დავალიანებასთან დაკავშირებით (იხილეთ სალისტინგო დოკუმენტის თავი: „<i>Terms and Conditions of the Notes</i>“ - პუნქტი 4 („<i>Covenants</i>“)).
დაბეგვრა.....	კომპანიის მიერ ან მისი სახელით დეპოზიტარულ ხელწერილებთან დაკავშირებით გადასახდელი ძირითადი თანხის ან სარგებლის ყველა გადახდა განხორციელდება ნებისმიერი სახის იმ ნებისმიერი არსებული ან სამომავლო გადასახადის, მოსაკრებლის, დარიცხვის ან სამთავრობო გადასახდელის, და მათი დაკავების ან გამოკლების, გარეშე, რომელიც დაკისრებული, დარიცხული, ამოღებული ან დაკავებულია საქართველოში ან საქართველოს მიერ, ან საქართველოს ნებისმიერი პოლიტიკური ქვედანაყოფის ან დაბეგვრის უფლებამოსილების მქონე ნებისმიერი ორგანოს მიერ, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამგვარი დაკავება ან გამოკლება მოთხოვნილია კანონმდებლობით (იხილეთ „დეპოზიტარული ხელწერილების გამოშვების პირობების“ მე-15 პუნქტი - „დაბეგვრა“).
სავაჭრო სისტემასა და ლისტინგში დაშვება	დეპოზიტარული ხელწერილების გამოშვების შემდგომ, კომპანია გეგმავს, მიმართოს საქართველოს საფონდო ბირჟას განაცხადით დეპოზიტარული ხელწერილების საქართველოს საფონდო ბირჟის სავაჭრო სისტემასა და ლისტინგში დაშვების თაობაზე (იხილეთ „დეპოზიტარული ხელწერილების გამოშვების პირობების“ მე-4 პუნქტი - „ვასიანი ქაღალდების ანგარიშები, საკუთრების უფლება და გადაცემა“).
დეპოზიტარული ხელწერილების შეთავაზებასთან დაკავშირებული შეზღუდვები.....	დეპოზიტარული ხელწერილების შეთავაზება ხორციელდება მხოლოდ საქართველოში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
დეპოზიტარული ხელწერილების შეთავაზებასთან დაკავშირებული სავარაუდო ხარჯები	დეპოზიტარის საზღაურებისა და ხარჯების, მათ შორის, დეპოზიტარული ხელწერილების გამოშვებასა და გაუქმებასთან დაკავშირებული ხარჯების აღწერა იხილეთ „დეპოზიტარული ხელწერილების გამოშვების პირობების“ მე-11 პუნქტში - „დეპოზიტარის საზღაურები და ხარჯები“.
დეპოზიტარული ხელწერილების ჩაბარება და დეპონირებული ქონების გამოთხოვა	დეპოზიტარული ხელწერილების ჩაბარებასა და დეპონირებული ქონების გამოთხოვასთან დაკავშირებული დებულებები იხილეთ „დეპოზიტარული ხელწერილების გამოშვების პირობების“ მე-6 პუნქტში - „დეპოზიტარული ხელწერილების ჩაბარება და დეპონირებული ქონების გამოთხოვა“.
მარეგულირებელი კანონმდებლობა	საქართველოს კანონმდებლობა
იურისდიქცია.....	დეპოზიტარულ ხელწერილებთან დაკავშირებული ნებისმიერი დავა გადაწყდება შეთავაზების პირობების

	დოკუმენტით განსაზღვრული წესით საქართველოს სასამართლოსათვის მიმართვის გზით.
რისკის ფაქტორები.....	დეპოზიტარულ ხელწერილებში კაპიტალდაბანდება გარკვეულ რისკებთან არის დაკავშირებული. პოტენციური ინვესტორები ყურადღებით უნდა გაეცნონ წინამდებარე შეთავაზების პირობების დოკუმენტს (განსაკუთრებით, „რისკის ფაქტორებს“) და სალისტინგო დოკუმენტს (განსაკუთრებით, „რისკის ფაქტორებს“ („Risk Factors“)). მათში წარმოდგენილ ინფორმაციასთან ერთად, პოტენციურმა ინვესტორებმა, საკუთარი ფინანსური მდგომარეობისა და კაპიტალდაბანდების მიზნებიდან გამომდინარე, უნდა გაითვალისწინონ მითითებული რისკები დეპოზიტარულ ხელწერილებში ინვესტიციის განხორციელების თაობაზე გადაწყვეტილების მიღებამდე.
ობლიგაციები.....	კომპანიის მიერ 2019 წლის 2 აპრილს გამოშვებული ჯამური 200,000,000 (ორასი მილიონი) აშშ დოლარის ღირებულებისა და 11.00% (თერთმეტი პროცენტი) სარგებლის მქონე ობლიგაციები განაღდების (დაფარვის) თარიღით 2024 წლის 2 აპრილს. ობლიგაციები დაშვებულია (i) „ევრონექსტ დუბლინის“ (Euronext Dublin) გლობალურ საფონდო ბირჟაზე (Global Exchange Market) და (ii) საქართველოს საფონდო ბირჟის სავაჭრო სისტემასა და ლისტინგში.
სალისტინგო დოკუმენტი.....	ობლიგაციების ემისიის სალისტინგო დოკუმენტი (Listing Particulars), რომელიც დამტკიცებულია „ევრონექსტ დუბლინის“ მიერ 2019 წლის 29 მარტს
ემიტენტის საკონტაქტო ინფორმაცია	სს „სილქნეტი“ (ს/ნ: 204566978) მისამართი: საქართველო, თბილისი 0112, მ. წინამძღვრიშვილის ქუჩა №95; ტელ.: (995 32) 2100100/1200; ელ-ფოსტა: bpshavlishvili@silknet.com
დეპოზიტარის საკონტაქტო ინფორმაცია	სს „საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარი“ (ს/ნ: 204935400) მისამართი: საქართველო, თბილისი 0186, ვაჟა-ფშაველას გამზირი №71, მე-10 ბლოკი, მე-7 სართული; ტელ.: (995 32) 2500211; ელ-ფოსტა: epeevski@gcsd.ge
კასტოდიანის საკონტაქტო ინფორმაცია	სს „საქართველოს ბანკი“ (ს/ნ: 204378869) მისამართი: საქართველო, თბილისი 0160, ი. გაგარინის ქუჩა №29ა; ტელ.: (995 32) 2444444; ელ-ფოსტა: custody@bog.ge

რისკის ფაქტორები

დეპოზიტარულ ხელწერილებში კაპიტალდაბანდება გარკვეულ რისკებთან არის დაკავშირებული. გადაწყვეტილების მიღებამდე დეპოზიტარული ხელწერილების პოტენციური შემძენები ყურადღებით უნდა გაეცნონ წინამდებარე შეთავაზების პირობების დოკუმენტსა და სალისტინგო დოკუმენტს. აღნიშნულ დოკუმენტებში წარმოდგენილ სხვა ინფორმაციასთან ერთად, პოტენციურმა შემძენებმა, საკუთარი ფინანსური მდგომარეობისა და კაპიტალდაბანდების მიზნებიდან გამომდინარე, უნდა გაითვალისწინონ მითითებული რისკები დეპოზიტარულ ხელწერილებში ინვესტიციის განხორციელების თაობაზე გადაწყვეტილების მიღებამდე. წინამდებარე შეთავაზების პირობების დოკუმენტსა და სალისტინგო დოკუმენტში აღწერილმა ნებისმიერმა რისკმა შეიძლება მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს კომპანიის საქმიანობაზე, მის ფინანსურ მდგომარეობასა და ოპერირების შედეგებზე, ასევე - დეპოზიტარული ხელწერილების საბაზრო ღირებულებაზე. ქვემოთ ასევე აღწერილია ის ფაქტორები, რაც მნიშვნელოვანია დეპოზიტარულ ხელწერილებთან დაკავშირებული საბაზრო რისკების შეფასებისათვის. კომპანია ქვემოთ მითითებულ რისკის ფაქტორებს დეპოზიტარულ ხელწერილებში კაპიტალდაბანდებასთან დაკავშირებულ ძირითად რისკებად მიიჩნევს, თუმცა შეიძლება არსებობდეს სხვა ისეთი რისკი ან არაპროგნოზირებადი გარემოება, რომელსაც კომპანია ამ ეტაპზე უმნიშვნელოდ მიიჩნევს ან რომლის არსებობის შესახებ კომპანიას არ აქვს ინფორმაცია. ნებისმიერ მსგავს რისკს ან არაპროგნოზირებად გარემოებას შესაძლოა ჰქონდეს იგივე ან უფრო მძიმე უარყოფითი შედეგი. შესაბამისად, დეპოზიტარული ხელწერილების ფლობასთან დაკავშირებით ქვემოთ მითითებული რისკების ჩამონათვალი არ არის ამომწურავი.

კომპანია საქმიანობას განახორციელებს და მისი აქტივები მდებარეობს საქართველოში. თუმცა, ინვესტორებმა და პოტენციურმა ინვესტორებმა უნდა გაითვალისწინონ, რომ კომპანიის საქმიანობაზე, მის მომგებიანობასა და ფინანსურ მდგომარეობაზე შესაძლოა გავლენა მოახდინოს სხვადასხვა გლობალურმა მოვლენამ, როგორცაა, მათ შორის, ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელება მსოფლიოსა და საქართველოში. საქართველოს ეკონომიკასა, მათ შორის, საქართველოში ელექტრონული კომუნიკაციების სექტორსა და კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა თუ განვითარების პერსპექტივებზე ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების შესაძლო ზეგავლენასთან დაკავშირებით კომპანიის შეფასებები იხილეთ შემდეგ დოკუმენტებში:

- კომპანიის წლიური ანგარიში 2019 წლისათვის:

[https://silknet.com/static/cmsfiles/files/%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%95%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%97%E1%83%95%E1%83%98%E1%83%A1/%E1%83%A4%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%A1.%20%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%92%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A8%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%20\(%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%98\)/Annual%20Report%202019_JSC%20Silknet.pdf](https://silknet.com/static/cmsfiles/files/%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%95%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%97%E1%83%95%E1%83%98%E1%83%A1/%E1%83%A4%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%A1.%20%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%92%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A8%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%20(%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%98)/Annual%20Report%202019_JSC%20Silknet.pdf); და

- კომპანიის პრეზენტაცია 2020 წლის 1 კვარტალის შედეგებსა და შემდგომ მოვლენებთან დაკავშირებით:

<https://silknet.com/static/cmsfiles/files/%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%95%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%97%E1%83%95%E1%83%98%E1%83%A1/INVESTOR%20PRESENTATION%20Q1%2020.pdf>.

კომპანიის საქმიანობასთან დაკავშირებული ძირითადი რისკები

კომპანიის საქმიანობასთან დაკავშირებული ძირითადი რისკები იხილეთ სალისტინგო დოკუმენტის თავში „Risk Factors“ - ქვეთავი „The Main Risks Related to the Group’s Business“.

ობლიგაციებთან დაკავშირებული ძირითადი რისკები

ობლიგაციებთან დაკავშირებული ძირითადი რისკები იხილეთ სალისტინგო დოკუმენტის თავში „Risk Factors“ - ქვეთავი „Risks Related to the Notes Generally“.

დეპოზიტარულ ხელწერილებთან დაკავშირებული ძირითადი რისკები

წინამდებარე „რისკის ფაქტორებში“ გამოყენებულ განსაზღვრულ ტერმინებს, რომლებიც სხვაგვარად არ არის განსაზღვრული წინამდებარე თავში, აქვთ „დეპოზიტარული ხელწერილების გამოშვების პირობებით“ ამგვარი ტერმინებისთვის მინიჭებული მნიშვნელობები.

დეპოზიტარულ ხელწერილებში ინვესტირება მაღალი რისკის შემცველია და მრავალმა ფაქტორმა შესაძლოა არსებითად უარყოფითი გავლენა მოახდინოს დეპოზიტარული ხელწერილების ღირებულებაზე

„დეპოზიტარულ ხელწერილებში“ ინვესტირება სპეკულაციური და მაღალი რისკის შემცველია. პოტენციური ინვესტორები მზად უნდა იყვნენ ამგვარი ინვესტიციის ეკონომიკური რისკიანობისთვის და იტვირთონ ამ ინვესტიციის სრულად დაკარგვის რისკი. „დეპოზიტარული ხელწერილების“ გამოშვება და საჯარო შეთავაზება უპრეცედენტოა საქართველოს ფასიანი ქაღალდების ბაზარზე. ამასთანავე, საქართველოს კანონმდებლობა და პრაქტიკა დეპოზიტარულ ხელწერილებთან (მათ შორის, მათ გამოშვებასთან, ფლობასთან ან გაუქმებასთან) დაკავშირებით ამჟამად არ არის კარგად განვითარებული. შედეგად, არსებობს რისკი, რომ „დეპოზიტარი“ ან/და „კასტოდიანი“ შეხვდება გარკვეულ ხარვეზებს, შეუსაბამობებსა თუ სხვა სირთულეებს საქართველოს კანონმდებლობასა და პრაქტიკაში.

არ არსებობს და შესაძლოა არ განვითარდეს დეპოზიტარული ხელწერილების აქტიური სავაჭრო ბაზარი; ბუნდოვანია, თუ რა ფასად განხორციელდება დეპოზიტარული ხელწერილებით ვაჭრობა მეორად ბაზარზე

არ არსებობს „დეპოზიტარული ხელწერილების“ აქტიური სავაჭრო ბაზარი. მიუხედავად იმისა, რომ „ემიტენტი“ გეგმავს, მიმართოს „საფონდო ბირჟას“ განაცხადით „დეპოზიტარული ხელწერილების“ „საფონდო ბირჟის“ სავაჭრო სისტემასა და ლისტინგში დაშვების თაობაზე, არ არსებობს გარანტია, რომ ამგვარი განაცხადი დაკმაყოფილდება. ამასთანავე, არ არსებობს რაიმე გარანტია „დეპოზიტარული ხელწერილების“ სავაჭრო ბაზრის ლიკვიდურობასთან დაკავშირებით. ბუნდოვანია, თუ რა ფასად განხორციელდება „დეპოზიტარული ხელწერილებით“ ვაჭრობა მეორად ბაზარზე.

გარდა ამისა, არ არსებობს იმის გარანტია, რომ „დეპოზიტარული ხელწერილების“ აქტიური სავაჭრო ბაზარი განვითარდება. არც იმის გარანტია არსებობს, რომ განვითარების შემთხვევაში, ამგვარი ბაზარი შენარჩუნდება. თუ „დეპოზიტარული ხელწერილების“ აქტიური სავაჭრო ბაზარი არ განვითარდება ან არ შენარჩუნდება, ამან შესაძლოა არსებითად უარყოფითად იმოქმედოს „დეპოზიტარული ხელწერილების“ ბაზარზე ან მათ სავაჭრო ფასსა და ლიკვიდურობაზე მრავალი ფაქტორის გამო, რომელთა გარკვეული ნაწილიც შესაძლოა არ ექვემდებარებოდეს „ემიტენტის“ კონტროლს. დამატებით, მიუხედავად იმისა, რომ წინამდებარე შეთავაზების პირობების დოკუმენტის დამტკიცების თარიღზე მიღებული არ არის საბოლოო გადაწყვეტილება, „ემიტენტმა“, მისმა შვილობილებმა ან/და მასთან აფილირებულმა პირებმა შესაძლოა დროდადრო შეიძინონ „დეპოზიტარული ხელწერილები“ და ფლობდნენ მათ (თავდაპირველად გამოშვებისას ან შემდგომი ვაჭრობისას) (მათ შორის, „ემიტენტის“ შესაბამისი ვალდებულებების შემცირების მიზნით), რამაც შესაძლოა შეამციროს „დეპოზიტარული ხელწერილების“ ლიკვიდურობა.

დეპოზიტარული ხელწერილების საბაზრო ფასი შეიძლება ცვალებადი იყოს და შეიძლება განსხვავდებოდეს ობლიგაციების საბაზრო ფასისგან

„დეპოზიტარული ხელწერილების“ საბაზრო ფასი შეიძლება მნიშვნელოვნად მერყეოდეს ისეთი მიმდინარე ან მოსალოდნელი ცვლილებების საპასუხოდ, როგორებიცაა, მათ შორის: შესაბამისი მარეგულირებელი გარემოს ცვლილება, ფასიანი ქაღალდების ანალიტიკოსის ფინანსური შეფასების ცვლილება, „დეპოზიტარული ხელწერილების“ დიდი რაოდენობით გაყიდვა ან მოსალოდნელი გაყიდვა, და მრავალი სხვა ფაქტორი (საქართველოსა და მისი მეზობელი ქვეყნების ეკონომიკური და საბაზრო პირობებისა და, სხვადასხვა ხარისხით, გაცვლითი კურსისა და სხვა ქვეყნებში (მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში, ევროპის ეკონომიკური სივრცის წევრ ქვეყნებსა და გაერთიანებულ სამეფოში) ინფლაციის დონის ჩათვლით). გარდა ამისა, ბოლო წლებში გლობალური ფინანსური ბაზრების მოცულობამ მნიშვნელოვანი რყევები განიცადა. თუ ასეთი რამ მომავალშიც განმეორდა, ეს უარყოფითად იმოქმედებს „დეპოზიტარული ხელწერილების“ საბაზრო ფასზე, მიუხედავად „ემიტენტის“ ბიზნესისა, ფინანსური მდგომარეობისა თუ საქმიანობის შედეგებისა. არ არსებობს იმის გარანტია, რომ საქართველოში თუ სხვაგან განვითარებული მოვლენები არ გამოიწვევს ბაზარზე რყევებს ან რომ ეს რყევები უარყოფით გავლენას არ მოახდენს „დეპოზიტარული ხელწერილების“ ლიკვიდურობასა თუ მათ ფასზე. დამატებით, „დეპოზიტარული ხელწერილების“ საბაზრო ფასი შესაძლოა არსებითად განსხვავდებოდეს მათ მიერ წარმოდგენილი „ობლიგაციების“ საბაზრო ფასისგან, რაც განპირობებულია, მათ შორის, აღნიშნული ფასიანი ქაღალდების განსხვავებული ლიკვიდურობითა და შესაბამის ბაზრებზე არსებულ ინვესტორთა განსხვავებული სეგმენტით.

ინვესტორებმა, რომელთა ფინანსური საქმიანობა ან/და შემოსავალი აშშ დოლარისგან განსხვავებულ ფულად ერთეულშია გამოსახული, შეიძლება საერთოდ არ მიიღონ საპროცენტო სარგებელი ან მიიღონ მოსალოდნელზე ნაკლები საპროცენტო სარგებელი ან ძირითადი თანხა, რაც გამოწვეული იქნება ვალუტის გაცვლითი კურსის ცვალებადობით ან გაცვლითი კურსის კონტროლის ცვლილებით

„ემიტენტი“ „ობლიგაციებზე“ ძირითად თანხასა და საპროცენტო სარგებელს გადაიხდის აშშ დოლარში. ეს გარკვეულ რისკს ქმნის ვალუტის კონვერტაციისას, თუ ინვესტორის ფინანსური საქმიანობა ან/და შემოსავალი ძირითადად განსხვავებულ ვალუტაშია ნომინირებული (შემდგომში „**ინვესტორის ვალუტა**“). ეს გულისხმობს გაცვლითი კურსის მნიშვნელოვანი ცვლილების რისკს (მათ შორის, აშშ დოლარის გაუფასურების ან „ინვესტორის ვალუტის“ გადაფასების შედეგად წარმოქმნილ ცვლილებებს) და იმის საშიშროებას, რომ ხელისუფლებამ „ემიტენტის“ ან „ინვესტორის“ ვალუტის იურისდიქციაში შეიძლება დააწესოს ან შეცვალოს გაცვლითი კურსის კონტროლი. „ინვესტორის ვალუტის“ ღირებულების გამყარება აშშ დოლართან მიმართებით შეამცირებს (i) „დეპოზიტარული ხელწერილიდან“ მიღებული სარგებლის ეკვივალენტურ ოდენობას „ინვესტორის ვალუტაში“, (ii) „დეპოზიტარულ ხელწერილებზე“ გადასახდელი ძირითადი თანხის „ინვესტორის ვალუტის“ ეკვივალენტურ ოდენობას და (iii) „დეპოზიტარული ხელწერილის“ საბაზრო ღირებულებას „ინვესტორის ვალუტაში“.

მთავრობამ და ფულად-საკრედიტო სისტემაზე პასუხისმგებელმა ორგანომ შეიძლება დააწესოს (როგორც მომხდარა წარსულში) გაცვლითი კურსის კონტროლი, რამაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს შესაბამის გაცვლით კურსზე. შედეგად, ინვესტორებმა შეიძლება მიიღონ იმაზე ნაკლები საპროცენტო სარგებელი ან ძირითადი თანხა, რასაც ელოდნენ „დეპოზიტარული ხელწერილებიდან“ ან მიიღონ ნულოვანი საპროცენტო სარგებელი ან ძირითადი თანხა.

ბენეფიციური საკუთრების უფლება დეპონირებულ ქონებაზე განხორციელებადია მხოლოდ არაპირდაპირ

„დეპონირებულ ქონებაზე“ ბენეფიციური საკუთრების უფლების განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ არაპირდაპირ. კერძოდ, თუ სხვაგვარად არ არის შეთანხმებული „დეპოზიტართან“ და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის გათვალისწინებით, „დეპონირებულ ქონებაზე“ საკუთრების უფლება ხორციელდება (ქვემო აბზაცში მითითებული გამონაკლისის გათვალისწინებით): (ა) „დეპოზიტარული ხელწერილების“ „ბენეფიციარი მესაკუთრეების“ ან/და „მესაკუთრეების“ მიერ - მხოლოდ ამგვარი „დეპოზიტარული ხელწერილების“ „ნომინალური მფლობელების“ მეშვეობით, (ბ) „დეპოზიტარული ხელწერილების“ „ნომინალური მფლობელების“ მიერ (შესაბამისი „ბენეფიციარი მესაკუთრეების“ ან/და „მესაკუთრეების“ სახელით) - მხოლოდ „დეპოზიტარის“ მეშვეობით, და (გ) „დეპოზიტარის“ მიერ (შესაბამისი „ნომინალური მფლობელების“ და „ბენეფიციარი მესაკუთრეების“ ან/და „მესაკუთრეების“ სახელით) - „კასტოდიანის“ (ან მისი სახელით მოქმედი შესაბამისი პირების) მეშვეობით, თითოეულ შემთხვევაში, „პირობებით“ დადგენილი წესით.

ზემო (ა) პუნქტით გათვალისწინებული შეზღუდვა არ ვრცელდება იმ „შუამავლებზე“, რომლებსაც თავად აქვთ საკუთრებაში „დეპოზიტარული ხელწერილები“. კერძოდ, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, თუ „დეპოზიტარული ხელწერილები“ საკუთრებაში აქვს „შუამავალს“, იგი უფლებამოსილია, „ნომინალური მფლობელის“ გარეშე აწარმოოს ფასიანი ქაღალდების ანგარიში „დეპოზიტართან“ და „დეპოზიტართან“ დარეგისტრირდეს „დეპოზიტარული ხელწერილების“ „მესაკუთრედ“. შესაბამისად, თუ „დეპოზიტარული ხელწერილები“ ეკუთვნის „შუამავალს“, იგი უფლებამოსილია, „დეპონირებულ ქონებაზე“ ბენეფიციური საკუთრების უფლება განხორციელოს „ნომინალური მფლობელების“ გარეშე, „დეპოზიტარისა“ და „კასტოდიანის“ მეშვეობით (იხილეთ „დეპოზიტარული ხელწერილების გამოშვების პირობების“ მე-4 პუნქტი - „*ფასიანი ქაღალდების ანგარიშები, საკუთრების უფლება და გადაცემა*“).

დეპოზიტარული ხელწერილების მესაკუთრეების მოთხოვნის უფლებები შეზღუდულია

„დეპოზიტარული ხელწერილების“ ერთდერთი მიზანია წარმოადგინოს აშშ დოლარში დენომინირებული „ობლიგაციები“. „დეპოზიტარული ხელწერილი“ მის „მესაკუთრეს“ ასევე ანიჭებს უფლებას, მიიღოს ნებისმიერი სხვა ქონება, რომელიც მიღებულია „დეპოზიტარის“ ან „კასტოდიანის“ მიერ ამგვარი „მესაკუთრის“ სახელით, მაგრამ რომელიც არ განაწილებულა მასზე სამართლებრივი შეზღუდვების ან პრაქტიკული მოსაზრებების გამო („პირობების“ შესაბამისად).

ამგვარად, „დეპოზიტარული ხელწერილი“ წარმოადგენს „მესაკუთრის“ უფლებებს „დეპონირებულ ქონებაზე“, „ობლიგაციების“ ჩათვლით. „პირობების“ გათვალისწინებით, „ობლიგაციებიდან“ გამომდინარე „ემიტენტის“ ნებისმიერ ვალდებულებასთან დაკავშირებით „დეპოზიტარული ხელწერილების“ „მესაკუთრეების“ ნებისმიერი უფლება შესაძლოა განხორციელდეს (მათ შორის, „ემიტენტის“ წინააღმდეგ გაკოტრების, ადმინისტრაციული, რეორგანიზაციის, გადახდისუუნარობის ან ლიკვიდაციის წარმოების დაწყების ან მასთან შეერთების გზით)

მხოლოდ „ობლიგაციებზე“ „დეპოზიტარული ხელწერილების“ „მესაკუთრეების“ შესაბამისი უფლებების მეშვეობით და ექსკლუზიურად „ობლიგაციების პირობების“ გათვალისწინებით.

ამასთანავე, „პირობების“ გათვალისწინებით, არც ერთ „მესაკუთრეს“ ან/და „ნომინალურ მფლობელს“ არ აქვს რაიმე მოთხოვნის უფლება „ემიტენტის“ ნებისმიერი დირექტორის, აქციონერის ან თანამდებობის პირის წინააღმდეგ „ემიტენტის“ მიერ „ობლიგაციებთან“ დაკავშირებით დადებულ ან აღებულ რაიმე ვალდებულებასთან, დათქმასთან ან შეთანხმებასთან დაკავშირებით. „მესაკუთრის“ ან/და „ნომინალური მფლობელის“ ნებისმიერი ამგვარი მოთხოვნის უფლება განხორციელდება მხოლოდ „ობლიგაციებზე“ მისი უფლებების მეშვეობით და ექსკლუზიურად დარეგულირდება „ობლიგაციების პირობებით“ (იხილეთ „დეპოზიტარული ხელწერილების გამოშვების პირობების“ მე-2 პუნქტი - „სტატუსი და მოთხოვნის უფლების შეზღუდვა“).

დეპოზიტარი არ არის ვალდებული, მონიტორინგი გაუწიოს ობლიგაციებიდან გამომდინარე დეფოლტის შემთხვევის დადგომას და მიიღოს რაიმე ზომა ამგვარი დეფოლტის შემთხვევის დადგომისას; დეპოზიტარული ხელწერილების მესაკუთრეები შეიძლება შეხვდნენ გარკვეულ სირთულეებს ობლიგაციებთან დაკავშირებით საკუთარი უფლებების (მათ შორის, სამართლებრივი დაცვის საშუალებების) განხორციელებისას

„ობლიგაციებიდან“ გამომდინარე დეფოლტის შემთხვევებთან დაკავშირებული საკითხები, და ამ შემთხვევაში ხელმისაწვდომი სამართლებრივი დაცვის საშუალებები, ექსკლუზიურად რეგულირდება „ობლიგაციების პირობებით“. კერძოდ, „ობლიგაციებიდან“ გამომდინარე და მათთან დაკავშირებული დეფოლტის შემთხვევები აღწერილია „ობლიგაციების პირობების“ მე-10 პუნქტში („დეფოლტის შემთხვევები“ („Events of Default“)), ხოლო შესაბამისი აღსრულების პროცედურა აღწერილია „ობლიგაციების პირობების“ 14(c) ქვეპუნქტში („აღსრულება; დაყრდნობა“ („Enforcement; Reliance“)). აღნიშნულის გათვალისწინებით, „დეპოზიტარს“ არ აქვს რაიმე ვალდებულება, განახორციელოს „დეპონირებულ ქონებასთან“ დაკავშირებით დეფოლტის შემთხვევის დადგომის მონიტორინგი და არ აქვს რაიმე ვალდებულება, აღსრულოს რაიმე უფლება, რომელიც შესაძლოა ჰქონდეს „მესაკუთრეს“ ან/და „ნომინალურ მფლობელს“ ნებისმიერი დეფოლტის შემთხვევის დადგომისას „დეპონირებულ ქონებაზე“ მათი უფლების გამო, გარდა იმისა, რომ თუ დეფოლტის შემთხვევა გრძელდება „პირობებით“ დადგენილ ვადაზე მეტი დროის განმავლობაში, „დეპოზიტარი“ უზრუნველყოფს „დეპოზიტარული ხელწერილების“ გაუქმებასა და შესაბამისი „დეპონირებული ქონების“ გამოთხოვასა და „მესაკუთრეებისათვის“ ან/და „ნომინალური მფლობელებისათვის“ მიწოდებას საქართველოს კანონმდებლობისა და „პირობებით“ დადგენილი წესის შესაბამისად (იხილეთ „დეპოზიტარული ხელწერილების გამოშვების პირობების“ 16.2 ქვეპუნქტი - „დეფოლტის შემთხვევები“).

ზემოთ მითითებულზე დამატებით, ასევე არსებობს გარკვეული პრაქტიკული შეზღუდვები „დეპოზიტარული ხელწერილების“ „მესაკუთრეების“ მიერ „ობლიგაციებთან“ დაკავშირებით საკუთარი უფლებებით (მათ შორის, სამართლებრივი დაცვის საშუალებებით) სარგებლობასთან დაკავშირებით იმ დამატებითი საფეხურების გამოც, რომლებიც მოქმედებს „დეპოზიტარული ხელწერილების“ „მესაკუთრეებთან“ კომუნიკაციისა და „დეპოზიტარის“ ვალდებულებების შეზღუდვის კონტექსტში.

მაგალითისთვის, თუ „პირობებით“ ცალსახად არ არის გათვალისწინებული, „დეპოზიტარს“ არ ეკისრება რაიმე ვალდებულება, შეატყობინოს „მესაკუთრეებს“ ან/და „ნომინალურ მფლობელებს“ „ემიტენტისგან“ რაიმე კომუნიკაციის ან „ემიტენტის“ ან „დეპოზიტარის“ საქმეებთან დაკავშირებული ნებისმიერი სხვა საკითხის შესახებ. თუმცა, „პირობების“ თანახმად, „დეპოზიტარი“ იღებს ვალდებულებას, „მესაკუთრეებისათვის“ ან/და „ნომინალური მფლობელებისათვის“ ხელმისაწვდომი გახადოს „დეპოზიტარის“ ან „კასტოდიანის“ მიერ „ემიტენტისგან“ მიღებული ნებისმიერი ანგარიში და კომუნიკაცია, რომელიც (ა) „დეპოზიტარმა“ ან „კასტოდიანმა“ მიიღო, როგორც „ობლიგაციების“ (ან სხვა „დეპონირებული ფასიანი ქაღალდების“) მფლობელმა; და, ამავდროულად, (ბ) საჯაროდ ხელმისაწვდომი გახადა ამგვარი „ობლიგაციების“ (ან სხვა „დეპონირებული ფასიანი ქაღალდების“) მფლობელებისათვის „ემიტენტმა“. ამგვარი ანგარიშები და კომუნიკაციები ხელმისაწვდომი იქნება იმ ენაზე, რომელზეც ისინი მიიღო „ემიტენტისგან“ „დეპოზიტარმა“ ან „კასტოდიანმა“ (იხილეთ „დეპოზიტარული ხელწერილების გამოშვების პირობების“ 16.1 ქვეპუნქტი - „შეტყობინებები, ხმის მიცემასა და თანხმობის განცხადებასთან დაკავშირებული უფლებები“). შესაბამისად, „დეპოზიტარული ხელწერილების“ „მესაკუთრეები“ ან/და „ნომინალური მფლობელები“ პასუხისმგებლები არიან, თავად იყვნენ ინფორმირებულები „ობლიგაციებისა“ და „ემიტენტის“ შესახებ.

დეპოზიტარული ხელწერილების მესაკუთრეები უნდა დაექვემდებარონ დეპოზიტარის პროცედურებს

„დეპოზიტარული ხელწერილების“ პროგრამაში მონაწილეობის მიღების მსურველმა „ობლიგაციონერებმა“ უნდა განახორციელონ „ობლიგაციების“ დეპონირება „კასტოდიანთან“ „დეპოზიტარის“ სახელზე (იხილეთ „ზოგადი ინფორმაცია შეთავაზების პირობების დოკუმენტისა და შეთავაზების შესახებ“ და „დეპოზიტარული

ხელწერილების გამოშვების პირობების“ მე-5 პუნქტი - „ობლიგაციების დეპონირება და დეპოზიტარული ხელწერილების გამოშვება“).

ზემოთ მითითებული და „პირობებით“ დეტალურად განსაზღვრული სხვა წინაპირობების დაკმაყოფილების შემდეგ, „დეპოზიტარი“ უზრუნველყოფს „დეპოზიტარული ხელწერილების“ გამოშვებასა და მათ რეგისტრაციას „დეპოზიტართან ანგარიშებში“, ისევე როგორც - მათ დაშვებას „კლირინგისა და ანგარიშსწორების სისტემაში“. სწორედ „დეპოზიტართან ანგარიშებში“ საკუთრების უფლების რეგისტრაციით დასტურდება „დეპოზიტარული ხელწერილების“ არსებობა და, შესაბამისად, „მესაკუთრეები“, რომლებიც „ნომინალური მფლობელების“ გარეშე არიან რეგისტრირებული „დეპოზიტართან ანგარიშებში“, „დეპოზიტარული ხელწერილებით“ ვაჭრობას (მათ შორის, საკუთრების უფლების დადასტურებისა თუ მისი გადაცემის რეგისტრაციის კონტექსტში), ისევე როგორც - „დეპოზიტარულ ხელწერილებთან“ დაკავშირებული ფულადი განაწილებების მიღებას, შემდგომ მხოლოდ „დეპოზიტარის“ მეშვეობით (იხილეთ „დეპოზიტარული ხელწერილების გამოშვების პირობების“ მე-4 პუნქტი - „ფასიანი ქაღალდების ანგარიშები, საკუთრების უფლება და გადაცემა“).

„დეპოზიტარი“ წარმოადგენს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად 1999 წლის 1 ნოემბერს რეგისტრირებულ სააქციო საზოგადოებას და „დეპოზიტარი“ ლიცენზირებულია, როგორც ცენტრალური დეპოზიტარი, „ეროვნული ბანკის“ მიერ 2000 წლის 1 ნოემბერს. როგორც ცენტრალური დეპოზიტარი „ფასიანი ქაღალდების კანონის“ მიზნებისათვის, „დეპოზიტარი“ ექვემდებარება რეგულირებას „ეროვნული ბანკის“ მიერ და „ეროვნული ბანკი“, მათ შორის, უფლებამოსილია „დეპოზიტარს“ დაუწესოს მოთხოვნები თუ შეზღუდვები შესაბამის საკითხთან ან ქმედებასთან დაკავშირებით, რომელიც, „ფასიანი ქაღალდების კანონის“ მიხედვით, „ეროვნული ბანკის“ მიერ დადგენილი წესების ან ცენტრალური დეპოზიტარის წესის რეგულირების სფეროს განეკუთვნება. თუ საქართველოს კანონმდებლობა შეიცვლება ან „ეროვნული ბანკი“ მიიღებს ახალ რეგულაციებს ან შეზღუდვებს „დეპოზიტარულ ხელწერილებთან“ ან „დეპოზიტართან“ დაკავშირებით, „დეპოზიტარის“ პროცედურები, და „მესაკუთრეების“ მიერ შესაბამისი უფლებების განხორციელება, შესაძლოა გართულდეს (ასევე იხილეთ რისკის ფაქტორი: „დეპოზიტარულ ხელწერილებში ინვესტირება მაღალი რისკის შემცველია და მრავალმა ფაქტორმა შესაძლოა არსებითად უარყოფითი გავლენა მოახდინოს დეპოზიტარული ხელწერილების ღირებულებაზე“).

დეპოზიტარულ ხელწერილებში ინვესტირება დაკავშირებულია ქონების კასტოდიანურ მფლობელობაში ქონის რისკებთან საქართველოში

„მესაკუთრეები“ ერთპიროვნულად არიან პასუხისმგებლები იმ საინვესტიციო გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაკავშირებულია „დეპოზიტარული ხელწერილებისა“ და მათ მიერ წარმოდგენილი „დეპონირებული ფასიანი ქაღალდების“ ყიდვასთან, გასხვისებასა და ფლობასთან. ამგვარი საინვესტიციო გადაწყვეტილებები მოიცავს „მესაკუთრეების“ მიერ საქართველოში ქონების კასტოდიანურ მფლობელობაში ქონის რისკებს, მათ შორის, შეზღუდვის გარეშე, რისკს, რომ „კასტოდიანი“ და მისი სახელით მოქმედი შესაბამისი პირები, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ან საქართველოს კანონმდებლობის ან მისი ინტერპრეტაციის ცვლილების გამო, შესაძლოა ჩაითვალოს („პირობების“ ან ფასიანი ქაღალდების შენახვისა და აღრიცხვის მომსახურების შესაბამისი ხელშეკრულების მიუხედავად) „დეპონირებული ქონების“ მესაკუთრეებად. „დეპოზიტარს“ ან „კასტოდიანს“ (ან მათი სახელით მოქმედი ნებისმიერ პირს) არ უკავია რაიმე საინვესტიციო მრჩეველის როლი „დეპოზიტარულ ხელწერილებთან“ და მათ მიერ წარმოდგენილ „დეპონირებულ ფასიან ქაღალდებთან“ დაკავშირებით.

დეპოზიტარული ხელწერილები ექვემდებარებიან შეზღუდვებს გადაცემასა და გაუქმებასთან დაკავშირებით; შესაძლოა შეიზღუდოს დეპოზიტარული ხელწერილების მესაკუთრეების მიერ ობლიგაციების გამოთხოვა

შესაძლოა, „მესაკუთრეებმა“ ვერ შეძლონ „დეპოზიტარული ხელწერილების“ თავისუფლად განკარგვა და ამ მიზნით „დეპოზიტარული ხელწერილების“ გადაცემის რეგისტრაცია, რამაც, თავის მხრივ, შესაძლოა უარყოფითი გავლენა მოახდინოს „დეპოზიტარულ ხელწერილებში“ გაკეთებული ინვესტიციების განკარგვაზე.

„პირობების“ შესაბამისად, ზოგადად „ობლიგაციების“, ან კონკრეტული „ობლიგაციის“, დეპონირების შედეგად „დეპოზიტარული ხელწერილების“ გამოშვება შესაძლოა შეჩერდეს ან მასზე უარი იყოს ნათქვამი, კონკრეტულ შემთხვევებში „დეპოზიტარული ხელწერილების“ გადაცემის რეგისტრაციაზე შესაძლოა უარი იყოს ნათქვამი, ზოგადად გადაცემის რეგისტრაცია შესაძლოა შეჩერდეს, ან გაუნაღებელი (დაუფარავი) „დეპოზიტარული ხელწერილების“ ჩაბარება „დეპონირებული ფასიანი ქაღალდების“ გამოთხოვის მიზნით შესაძლოა შეჩერდეს (მათ შორის, ნებისმიერი პერიოდის განმავლობაში, როდესაც შეჩერებული ან აკრძალულია მეორად ბაზარზე „დეპოზიტარული ხელწერილებით“ ვაჭრობა „პირობების“ შესაბამისად, ან თუ ამგვარი ქმედება აუცილებელი ან მიზანშეწონილია მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა დასაცავად ან „პირობებით“ ან „ობლიგაციების პირობებით“ განსაზღვრული მიზნების განსახორციელებლად) (იხილეთ „დეპოზიტარული ხელწერილების გამოშვების პირობების“ მე-7 პუნქტი - „გარკვეული შეზღუდვები“). შედეგად, იმ პერიოდების განმავლობაში,

როდესაც შეჩერებულია „დეპოზიტარული ხელწერილების“ ჩაბარება „დეპონირებული ფასიანი ქაღალდების“ გამოთხოვის მიზნით, „დეპოზიტარული ხელწერილების“ „მესაკუთრეებმა“ შესაძლოა ვერ შეძლონ „დეპოზიტარული ხელწერილების“ გასაუქმებლად ჩაბარება და შესაბამისი „ობლიგაციების“ გამოთხოვა, რამაც, თავის მხრივ, შესაძლოა უარყოფითი გავლენა მოახდინოს „მესაკუთრეების“ მიერ „ობლიგაციების“ განკარგვის შესაძლებლობაზე.

ამასთან, „დეპოზიტარული ხელწერილების“ გაუქმებისას შესაძლებელია, „დეპოზიტარმა“ ან/და „კასტოდიანმა“ ვერ შეძლონ „დეპონირებული ქონების“ მიწოდება იმ ოდენობებით, რომლებიც არ შეესაბამება „ობლიგაციის“ მინიმალურ დენომინაციასა და დაკავშირებულ ინკრემენტს (ნამატს), რომელიც მოქმედებს ამგვარი მიწოდების დროს „დეპონირებული ქონებით“ ვაჭრობასა და მათ ანგარიშსწორებასთან მიმართებით. ამ შემთხვევაში, ამგვარი „დეპოზიტარული ხელწერილები“ დარჩება გაუნაღებელი (დაუფარავი) ზემოთ მითითებული გარემოების აღმოფხვრამდე ან „განაღების (დაფარვის) თარიღამდე“ (იხილეთ „დეპოზიტარული ხელწერილების გამოშვების პირობების“ მე-6 პუნქტი - „დეპოზიტარული ხელწერილების ჩაბარება და დეპონირებული ქონების გამოთხოვა“).

გარდა ამისა, შესაძლებელია, „განაღების (დაფარვის) თარიღზე“ „დეპოზიტარმა“ ან/და „კასტოდიანმა“ ვერ შეძლონ „დეპონირებული ქონების“ მიწოდება „დეპოზიტარული ხელწერილების“ იმ „მესაკუთრეებისათვის“, რომელთა მფლობელობაში არსებული „დეპოზიტარული ხელწერილები“ არ შეესაბამება 200,000 აშშ დოლარის მინიმალურ დენომინაციას. ამ შემთხვევის თავიდან არიდებისა და შესაბამისი რისკის შემცირების მიზნით, „ემიტენტი“ იღებს ვალდებულებას, რომ იმ დრომდე, სანამ ნებისმიერი „დეპოზიტარული ხელწერილი“ არის გაუნაღებელი (დაუფარავი), „ემიტენტს“ ყოველთვის საკუთრებაში ექნება „დეპოზიტარული ხელწერილები“, რომლებიც შეესაბამება 200,000 აშშ დოლარის მინიმალურ დენომინაციას (იხილეთ „დეპოზიტარული ხელწერილების გამოშვების პირობების“ მე-5 პუნქტი - „ობლიგაციების დეპონირება და დეპოზიტარული ხელწერილების გამოშვება“).

დამატებით, „დეპოზიტარული ხელწერილების“ „მესაკუთრეთა“ მიერ „დეპოზიტარული ხელწერილების“ ჩაბარების შედეგად „დეპონირებული ქონების“ გამოთხოვა შესაძლოა შეზღუდული იყოს იმ თვალსაზრისითაც, რომ არსებობს რისკი, რომ „დეპოზიტარული ხელწერილების“ გარკვეულ „მესაკუთრეებს“ არ ჰქონდეთ პრაქტიკული შესაძლებლობა ან/და შესაბამისი უფლებამოსილება, მფლობელობაში ჰქონდეთ გამოთხოვილი „ობლიგაციები“. მაგალითისთვის, „ობლიგაციების“ ფლობისათვის („დეპოზიტარული ხელწერილების“ ჩაბარებისა და გაუქმებისას) „მესაკუთრეს“ ასევე უნდა ჰქონდეს ანგარიში „ევროქლიარის“ ან „ქლიარსთრიმის“ მონაწილესთან პირადად, ან ისეთი ბროკერის ან სხვა კასტოდიანის მეშვეობით, რომელსაც აქვს ანგარიში „ევროქლიარის“ ან „ქლიარსთრიმის“ მონაწილესთან.

დეპოზიტარული ხელწერილებით წარმოდგენილ ობლიგაციებთან დაკავშირებით ხმის მიცემის უფლება შეზღუდულია

„დეპოზიტარული ხელწერილების“ „მესაკუთრეები“ პირდაპირ ვერ განახორციელებენ ხმის მიცემის უფლებას „დეპოზიტარული ხელწერილებით“ წარმოდგენილ „ობლიგაციებთან“ დაკავშირებით. ისინი „დეპოზიტარული ხელწერილებით“ წარმოდგენილ „ობლიგაციებთან“ დაკავშირებით ხმის უფლების განკარგვას შეძლებენ მხოლოდ „პირობებისა“ და „ემიტენტისა“ და „დეპოზიტარს“ შორის დეპოზიტარული მომსახურების გაწევის შესახებ ხელშეკრულების შესაბამისად. ამგვარად, არსებობს გარკვეული პრაქტიკული შეზღუდვები „დეპოზიტარული ხელწერილების“ „მესაკუთრეთა“ მიერ ხმის უფლების განკარგვასთან დაკავშირებით გარკვეული დამატებითი პროცედურული საფეხურების გამო (იხილეთ „დეპოზიტარული ხელწერილების გამოშვების პირობების“ 16.1 ქვეპუნქტი - „შეტყობინებები, ხმის მიცემასა და თანხმობის განცხადებასთან დაკავშირებული უფლებები“).

მაგალითად, როგორც წესი, „დეპოზიტარული ხელწერილების“ „მესაკუთრეები“ არ მიიღებენ შეტყობინებებს პირდაპირ „ემიტენტისგან“. კერძოდ, „პირობებისა“ და „დეპოზიტარული ხელშეკრულების“ შესაბამისად, „ემიტენტისგან“ ან „კასტოდიანისგან“, გარემოებების გათვალისწინებით, შეტყობინების მიღების შემდეგ (i) ნებისმიერი იმ კრების შესახებ, რომელზეც „დეპოზიტარული ხელწერილების“ „მესაკუთრეებს“ აქვთ ხმის მიცემის უფლება, ან (ii) „დეპოზიტარული ხელწერილების“ ან „დეპონირებული ქონების“ „მესაკუთრეებისგან“ თანხმობის ან მინდობილობის მიღების შესახებ, „დეპოზიტარი“ დაუყოვნებლივ დაადგენს სააღრიცხვო თარიღს (რომელიც იქნება „ემიტენტის“ მიერ დადგენილი შესაბამისი სააღრიცხვო თარიღის იდენტური ან მასთან შეძლებისდაგვარად ახლო თარიღი) ამგვარ კრებასთან ან თანხმობის ან მინდობილობის მიღებასთან დაკავშირებით. თავის მხრივ, „დეპოზიტარული ხელწერილების“ „მესაკუთრეებმა“ უნდა მისცენ ინსტრუქცია „დეპოზიტარს“ ხმის მიცემასთან დაკავშირებით. ამგვარი დამატები პროცედურული საფეხურის გამო, შესაძლოა, „დეპოზიტარული ხელწერილების“ „მესაკუთრეებს“ დასჭირდეთ უფრო მეტი დრო ხმის მიცემის უფლების განსახორციელებლად, ვიდრე - „ობლიგაციონერებს“ და არ არსებობს გარანტია, რომ „დეპოზიტარული

ხელწერილების“ „მესაკუთრეები“ ყოველთვის დროულად მიიღებენ შესაბამის შეტყობინებასა და ხმის მიცემასთან დაკავშირებულ მასალებს, რაც მათ საშუალებას მისცემს, დროულად მიაწოდონ ხმის მიცემის ინსტრუქციები „დეპოზიტარს“.

ამასთან, „დეპოზიტარი“ და „კასტოდიანი“ არც ერთ გარემოებაში არ განახორციელებს რაიმე დისკრეციას ხმის მიცემასთან დაკავშირებით და არ მისცემს ხმას ნებისმიერ მოქმედ კანონმდებლობასთან შეუსაბამო ფორმით, და „დეპოზიტარი“ და „კასტოდიანი“ არ მისცემს ხმას, ან არ ეცდება ხმის მიცემის უფლების განხორციელებას, „დეპოზიტარულ ხელწერილებთან“ ან „დეპოზიტარული ხელწერილებით“ წარმოდგენილ სხვა „დეპონირებულ ქონებასთან“ დაკავშირებით, გარდა „მესაკუთრეებისგან“ ან/და „ნომინალური მფლობელებისგან“ მიღებული ინსტრუქციების შესაბამისად. თუ „დეპოზიტარი“ „მესაკუთრისგან“ ან/და „ნომინალური მფლობელისგან“ დროულად მიიღებს ხმის მიცემის ინსტრუქციას, რომელშიც არ არის დაზუსტებული, თუ როგორ უნდა მისცეს ხმა „დეპოზიტარმა“ „მესაკუთრის“ ან/და „ნომინალური მფლობელის“ „დეპოზიტარული ხელწერილებით“ წარმოდგენილ „დეპონირებულ ქონებასთან“ დაკავშირებით (მაგალითად, თუ ხმის მიცემასთან დაკავშირებული მასალა/ინსტრუქციის ფორმა არ არის სათანადო წესით ან სრულად შევსებული), „დეპოზიტარი“ ჩათვლის, რომ ამგვარმა „მესაკუთრემ“ ან/და „ნომინალურმა მფლობელმა“ დაავალა „დეპოზიტარს“, არ მიეცა ხმა იმ საკითხებზე, რომლებთან დაკავშირებითაც „მესაკუთრემ“ ან/და „ნომინალურმა მფლობელმა“ არ დააზუსტა „დეპოზიტარის“ მიერ ხმის მიცემის ინსტრუქცია. ამგვარად, ხმის მიცემა არ განხორციელდება „დეპოზიტარული ხელწერილებით“ წარმოდგენილ იმ „დეპონირებულ ქონებასთან“ დაკავშირებით, რომელზეც „დეპოზიტარი“ არ მიიღებს „მესაკუთრისგან“ ან/და „ნომინალური მფლობელისგან“ ხმის მიცემის კონკრეტულ ინსტრუქციებს.

პირობებში შესაძლოა შევიდეს ცვლილებები და დამატებები მესაკუთრეების წინასწარი თანხმობის გარეშე

„დეპოზიტარული ხელწერილების“ გამოშვების პირობები ეფუძნება შეთავაზების პირობების დოკუმენტის დამტკიცების თარიღისთვის მოქმედ საქართველოს კანონმდებლობას. ნებისმიერმა საკანონმდებლო ცვლილებამ თუ სასამართლო გადაწყვეტილებამ შეიძლება მომავალში გავლენა მოახდინოს „პირობებზე“.

ამასთანავე, შესაძლოა, „ემიტენტმა“ „პირობებში“ შეიტანოს ცვლილებები და დამატებები „დეპოზიტარული ხელწერილების“ ნებისმიერი „მესაკუთრის“ წინასწარი თანხმობის გარეშე; თუმცა, იმ პირობით, რომ ნებისმიერი ცვლილება, რომელიც აწესებს ან ზრდის რაიმე საზღაურს ან გადასახდელს, ან რომელიც სხვაგვარად ზიანს აყენებს „მესაკუთრეთა“ რაიმე არსებულ არსებით უფლებას, არ შევა ძალაში იმ დრომდე, სანამ არ გავა 30 (ოცდაათი) დღე „მესაკუთრეებისათვის“ ამგვარი ცვლილების შესახებ შეტყობინების მიწოდებიდან. ამგვარი შეტყობინებიდან 30 (ოცდაათი) დღის გასვლის შემდგომ, თუ „მესაკუთრეები“ გააგრძელებენ „დეპოზიტარული ხელწერილების“ ან მათზე უფლების ფლობას, ჩაითვლება, რომ „მესაკუთრეებმა“ განაცხადეს თანხმობა ამგვარ ცვლილებაზე ან დამატებაზე და რომ ისინი შეზოგადები არიან „დეპოზიტარული ხელწერილებითა“ და „პირობებით“, შესული ცვლილებებისა და დამატებების გათვალისწინებით (იხილეთ „დეპოზიტარული ხელწერილების გამოშვების პირობები“ მე-17 პუნქტი - „პირობებში ცვლილებების შეტანა“). იმ შემთხვევაში კი, თუ „მესაკუთრეებს“ აღარ სურთ „დეპოზიტარული ხელწერილების“ ან მათზე უფლების ფლობა „პირობებში“ შესული ცვლილებებისა და დამატებების გათვალისწინებით, ისინი, მაგალითად, უფლებამოსილები არიან, განახორციელონ მათ საკუთრებაში არსებული „დეპოზიტარული ხელწერილების“ გასხვისება, ან ჩაბარება და შესაბამისი „დეპონირებული ქონების“ გამოთხოვა „პირობებით“ დადგენილი წესის შესაბამისად (იხილეთ „დეპოზიტარული ხელწერილების გამოშვების პირობები“ მე-6 პუნქტი - „დეპოზიტარული ხელწერილების ჩაბარება და დეპონირებული ქონების გამოთხოვა“).

საქართველოს საგადასახადო სისტემის ბუნდოვანებამ შესაძლოა გამოიწვიოს საგადასახადო ვალდებულებების კორექტირება ან სანქციების დაკისრება. საქართველოს მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობა და პოლიტიკა შეიძლება შეიცვალოს

თუ შევადარებთ უფრო განვითარებული საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნებს, საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ახალია და აღნიშნული ასახავს ჰპოვებს ნორმების ბუნდოვანებაში, ასევე მათი გამოყენების პრაქტიკის არარსებობასა და წინააღმდეგობრივი და არათანამიმდევრული პრაქტიკის არსებობაში. ამასთან, საგადასახადო კანონმდებლობა ხშირად იცვლება, რამაც შესაძლოა უჩვეულო სირთულეები შექმნას.

2030 წლის დეკემბრამდე „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, ახალი საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადის (გარდა აქციზისა) შემოღება ან არსებული გადასახადების განაკვეთების გაზრდა (ზოგიერთი გამონაკლისი შემთხვევის გარდა) შესაძლებელია მხოლოდ რეფერენდუმის გზით. თუმცა, საქართველო საპარლამენტო დემოკრატიის მქონე ქვეყანაა და ხელისუფლების ცვლილებამ შეიძლება საგადასახადო პოლიტიკის შეცვლა გამოიწვიოს. ამგვარი ცვლილებები შეიძლება მოიცავდეს გადასახადის განაკვეთის ზრდას, გადასახადების ადმინისტრირების ახალი ფორმების შემოღებას, არსებული

შეღავათების გაუქმებას და სხვა. საგადასახადო კანონმდებლობაში ან სამთავრობო პოლიტიკაში ნებისმიერმა ამგვარმა ცვლილებამ შეიძლება არსებითად უარყოფითი გავლენა იქონიოს.

დეპოზიტარული ხელწერილების მფლობელები და ობლიგაციონერები შეიძლება დაიბეგრონ

მიუხედავად იმისა, რომ არსებული საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით „ემიტენტი“ არ მოელის, რომ „დეპოზიტარული ხელწერილების“ გადაცვლა „ობლიგაციებში“ და პირიქით, როგორც ასეთი, წარმოშობს საშემოსავლო ან მოგების გადასახადის ვალდებულებას „ობლიგაციის“ ან/და „დეპოზიტარული ხელწერილის“ „ბენეფიციარი მესაკუთრისთვის“ (გარდა შემდგომ აზნაში მითითებული შემთხვევისა), საქართველოს საგადასახადო სისტემისთვის დამახასიათებელი თანმდევი რისკების გამო (იხილეთ რისკის ფაქტორი: „საქართველოს საგადასახადო სისტემის ბუნდოვანებამ შესაძლოა გამოიწვიოს საგადასახადო ვალდებულებების კორექტირება ან სანქციების დაკისრება. საქართველოს მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობა და პოლიტიკა შეიძლება შეიცვალოს“) არ არსებობს იმის გარანტია, რომ „დეპოზიტარული ხელწერილების“ გადაცვლა „ობლიგაციებში“ და პირიქით არ ჩაითვალოს დაბეგრვას დაქვემდებარებულ მიწოდებად რეზიდენტი ფიზიკურის პირისათვის, არარეზიდენტი ფიზიკური და იურიდიული პირისათვის და 2023 წლის 1 იანვრამდე კომერციული ბანკის, საკრედიტო კავშირის, სადაზღვევო ორგანიზაციის, მიკროსაფინანსო ორგანიზაციის და სესხის გამცემი სუბიექტისათვის.

მეწარმე რეზიდენტი იურიდიული პირების (გარდა კომერციული ბანკისა, საკრედიტო კავშირისა, სადაზღვევო ორგანიზაციისა, მიკროსაფინანსო ორგანიზაციისა და სესხის გამცემი სუბიექტისა 2023 წლის 1 იანვრამდე) „დეპოზიტარული ხელწერილების“ „ობლიგაციებში“ გადაცვლის დაბეგრვაზე იხილეთ წინამდებარე შეთავაზების პირობების დოკუმენტის თავი: „დეპოზიტარული ხელწერილების დაბეგრვა საქართველოში“.

„ობლიგაციების“ „დეპოზიტარულ ხელწერილებში“ გადაცვლისას რეზიდენტი ფიზიკურის პირის, არარეზიდენტი ფიზიკური და იურიდიული პირის მიერ მიღებული შემოსავალი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) განთავისუფლებულია საშემოსავლო და მოგების გადასახადისაგან (თუ ეს შემოსავალი არ მიეკუთვნება საქართველოში ამ არარეზიდენტის მუდმივ დაწესებულებას), იმის გათვალისწინებით, რომ „ობლიგაციები“ არის საქართველოში საჯარო შეთავაზების გზით გამოშვებული და „ეროვნული ბანკის“ მიერ აღიარებულ ორგანიზებულ ბაზარზე სავაჭროდ დაშვებული სასესხო ფასიანი ქაღალდები. შესაბამისად, თუ „ობლიგაციები“ აღარ იქნება დაშვებული „ეროვნული ბანკის“ მიერ აღიარებულ ორგანიზებულ ბაზარზე, გადაცვლა შესაძლოა დაექვემდებაროს საშემოსავლო და მოგების გადასახადით დაბეგრვას.

2023 წლის 1 იანვრამდე კომერციული ბანკის, საკრედიტო კავშირის, სადაზღვევო ორგანიზაციის, მიკროსაფინანსო ორგანიზაციის და სესხის გამცემი სუბიექტის მიერ „ობლიგაციების“ „დეპოზიტარულ ხელწერილებში“ გადაცვლისას წარმოშობილი მოგება (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შესაძლოა დაექვემდებაროს საწარმოების ერთობლივ შემოსავალში შეტანას და გამოქვითვების შემდეგ დაბეგრვას მოგების გადასახადის 15%-იანი განაკვეთით.

დეპოზიტარული ხელწერილების გამოშვების პირობები

სს „საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარის“ (საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დაფუძნებული სააქციო საზოგადოება, საიდენტიფიკაციო ნომრით: 204935400) (შემდგომში „დეპოზიტარი“, რომელი ტერმინიც მოიცავს, თუ კონტექსტით სხვაგვარად არ არის გათვალისწინებული, ნებისმიერ პირს, რომელიც ანაცვლებს „დეპოზიტარს“) მიერ გამოშვებული დეპოზიტარული ხელწერილები განაღდების (დაფარვის) თარიღით 2024 წელს (შემდგომში „დეპოზიტარული ხელწერილები“, რომელი ტერმინიც მოიცავს, თუ კონტექსტით სხვაგვარად არ არის გათვალისწინებული, ნებისმიერ დამატებით „დეპოზიტარულ ხელწერილს“, რომელიც გამოშვებულია „პირობების“ 21-ე პუნქტის („დამატებითი გამოშვებები“) შესაბამისად და რომელიც შეადგენს ერთიან სერიას უკვე გამოშვებულ „დეპოზიტარულ ხელწერილებთან“) შექმნილია შემდეგი დოკუმენტების შესაბამისად, სარგებლობს მათი დებულებებით და ექვემდებარება მათ: (i) „დეპოზიტარული ხელწერილების“ შეთავაზების პირობების დოკუმენტი, მათ შორის, წინამდებარე „დეპოზიტარული ხელწერილების გამოშვების პირობები“ (შემდგომში „პირობები“); (ii) „ობლიგაციების პირობები“ (როგორც განსაზღვრულია ქვემოთ); და (iii) სს „სილქნეტსა“ (საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დაფუძნებული სააქციო საზოგადოება, საიდენტიფიკაციო ნომრით: 204566978) (შემდგომში „ემიტენტი“) და „დეპოზიტარს“ შორის 2020 წლის 22 ოქტომბრით დათარიღებული ხელშეკრულება დეპოზიტარული მომსახურების გაწევის შესახებ (შემდგომში „დეპოზიტართან ხელშეკრულება“, რომელი ტერმინიც მოიცავს „დეპოზიტართან“ ხელშეკრულებას მისი დებულებების შესაბამისად დროდადრო შესული ცვლილებების გათვალისწინებით და სხვა დოკუმენტებს, რომლებიც წარმოადგენენ მის დამატებას, მათში დროდადრო შესული ცვლილებების გათვალისწინებით).

„დეპოზიტარმა“ გასცა ნებართვა „დეპოზიტარული ხელწერილების“ შექმნაზე, გამოშვებაზე, შეთავაზებასა და გაყიდვაზე, რათა მათ წარმოადგინონ უფლებები ჯამური 200,000,000 აშშ დოლარის ნომინალური ღირებულებისა და 11.00% საპროცენტო განაკვეთის (სარგებლის) მქონე ობლიგაციებზე განაღდების (დაფარვის) თარიღით 2024 წელს (შემდგომში „ობლიგაციები“), რომლებიც გამოშვებულია „ემიტენტის“ მიერ და დაშვებულია: (i) „ევრონექსტ დუბლინის“ (როგორც განსაზღვრულია ქვემოთ) ოფიციალურ სიაში („Official List“) და სავაჭროდ მის გლობალურ საფონდო ბირჟაზე („Global Exchange Market“), და (ii) „საფონდო ბირჟის“ (როგორც განსაზღვრულია ქვემოთ) სავაჭრო სისტემასა და ლისტინგში.

წინამდებარე „პირობებში“ შეიძლება შევიდეს ცვლილებები და დამატებები „ემიტენტის“ მიერ, ნებისმიერი „მესაკუთრის“ (როგორც განსაზღვრულია ქვემოთ) წინასწარი თანხმობის გარეშე, „პირობების“ მე-17 პუნქტის („პირობებში ცვლილებების შეტანა“) გათვალისწინებით. თუმცა, ნებისმიერი ცვლილება, რომელიც აწესებს ან ზრდის რაიმე საზღაურს ან გადასახდელს, ან რომელიც სხვაგვარად ზიანს აყენებს „მესაკუთრეთა“ რაიმე არსებულ არსებით უფლებას, არ შევა ძალაში იმ დრომდე, სანამ არ გავა 30 (ოცდაათი) დღე „მესაკუთრეებისათვის“ ამგვარი ცვლილების შესახებ შეტყობინების მიწოდებიდან. ამგვარი შეტყობინებიდან 30 (ოცდაათი) დღის გასვლის შემდგომ, თუ „მესაკუთრეები“ აგრძელებენ „დეპოზიტარული ხელწერილების“ ან მათზე უფლების ფლობას, ჩაითვლება, რომ „მესაკუთრეებმა“ განაცხადეს თანხმობა ამგვარ ცვლილებაზე ან დამატებაზე და რომ ისინი შებოჭილები არიან „დეპოზიტარული ხელწერილებითა“ და „პირობებით“, შესული ცვლილებებისა და დამატებების გათვალისწინებით.

„დეპოზიტარულ ხელწერილებთან“ დაკავშირებული გადახდები („დეპოზიტარის“ მიერ შესაბამისი თანხების მიღების შემდეგ) განხორციელდება თითოეული „მესაკუთრის“ ან/და „ნომინალური მფლობელის“ (როგორც განსაზღვრულია ქვემოთ) მფლობელობაში არსებული „დეპოზიტარული ხელწერილების“ რაოდენობის პროპორციულად, როგორც ამას გონივრულად განსაზღვრავს „დეპოზიტარი“ „პირობების“ მე-14 პუნქტის („გადახდები“) შესაბამისად.

წინამდებარე შეთავაზების პირობების დოკუმენტისა და „დეპოზიტართან ხელშეკრულების“ ასლები „მესაკუთრეებისათვის“ ან/და „ნომინალური მფლობელებისათვის“ გასაცნობად ხელმისაწვდომია ნებისმიერ „სამუშაო დღეს“, სამუშაო საათების განმავლობაში, „ემიტენტის“ იურიდიულ მისამართსა (წინამდებარის თარიღზე, მ. წინამდებარის თარიღზე, ქ. №95, თბილისი 0112, საქართველო) და „დეპოზიტარის“ ფაქტობრივ მისამართზე (წინამდებარის თარიღზე, ვაჟა-ფშაველას გამზირი №71, მე-10 ბლოკი, მე-7 სართული, თბილისი 0186, საქართველო).

წინამდებარე „პირობების“ ზოგიერთი დებულება წარმოადგენს „დეპოზიტართან ხელშეკრულების“ დეტალური დებულებების შეჯამებას და ექვემდებარება ამგვარ დეტალურ დებულებებს. „მესაკუთრეები“ ან/და „ნომინალური მფლობელები“ ექვემდებარებიან „დეპოზიტართან ხელშეკრულების“ ყველა დებულებას და

მეზოქილები არიან აღნიშნული ხელშეკრულებით, და ითვლება, რომ ისინი იცნობენ „დეპოზიტართან ხელშეკრულების“ მათთან მიმართებაში მოქმედ დებულებებს.

1. განსაზღვრებები

წინამდებარე „პირობების“ მიზნებისათვის:

„**ბენეფიციარი მესაკუთრე**“ ნიშნავს ბენეფიციარ მესაკუთრეს „ფასიანი ქაღალდების კანონის“ 2.5 მუხლით განსაზღვრული მნიშვნელობით.

ყოველგვარი ექვის გამოსარიცხად, მიუხედავად წინამდებარე „პირობებში“ ან „დეპოზიტარულ ხელწერილებსა“ და შესაბამის „დეპონირებულ ქონებასთან“ დაკავშირებულ სხვა შეთანხმებაში არსებული ნებისმიერი საპირისპირო დებულებისა, „დეპოზიტარს“, „კასტოდიანსა“ და მათი სახელით მოქმედ შესაბამის პირებს „დეპოზიტარული ხელწერილებით“ წარმოადგენილი „დეპონირებული ქონება“ აქვთ, და წინამდებარე „პირობების“ მოქმედების ვადის განმავლობაში ყოველთვის ექნებათ, მხოლოდ ნომინალურ მფლობელობაში „დეპოზიტარული ხელწერილების“ „მესაკუთრეების“ სახელით და მათ სასარგებლოდ. „დეპოზიტარი“ (საკუთარი და „კასტოდიანისა“ და მათი სახელით მოქმედი შესაბამისი პირების სახელით) უარს ამბობს ნებისმიერ ბენეფიციური საკუთრების უფლებაზე „დეპოზიტარული ხელწერილების“ „მესაკუთრეთა“ სახელით და სასარგებლოდ მის ნომინალურ მფლობელობაში არსებულ „დეპონირებულ ქონებასთან“ დაკავშირებით. ყოველგვარი ექვის გამოსარიცხად, „დეპონირებულ ქონებაზე“ ბენეფიციური საკუთრების უფლება აქვთ, და წინამდებარე „პირობების“ მოქმედების ვადის განმავლობაში ყოველთვის საკუთრებაში ექნებათ, იმ „დეპოზიტარული ხელწერილების“ „ბენეფიციარ მესაკუთრეებს“, რომლებიც წარმოადგენენ „დეპონირებულ ქონებას“.

თუ სხვაგვარად არ არის შეთანხმებული „დეპოზიტართან“ და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის გათვალისწინებით, „დეპონირებულ ქონებაზე“ საკუთრების უფლება ხორციელდება:

- (ა) „დეპოზიტარული ხელწერილების“ „ბენეფიციარი მესაკუთრეების“ ან/და „მესაკუთრეების“ მიერ - მხოლოდ ამგვარი „დეპოზიტარული ხელწერილების“ „ნომინალური მფლობელების“ მეშვეობით (გარდა „პირობების“ 4.3 ქვეპუნქტით განსაზღვრული შემთხვევისა),
- (ბ) „დეპოზიტარული ხელწერილების“ „ნომინალური მფლობელების“ მიერ (შესაბამისი „ბენეფიციარი მესაკუთრეების“ ან/და „მესაკუთრეების“ სახელით) ან „პირობების“ 4.3 ქვეპუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში - მხოლოდ „დეპოზიტარის“ მეშვეობით, და
- (გ) „დეპოზიტარის“ მიერ (შესაბამისი „ნომინალური მფლობელებისა“ და „ბენეფიციარი მესაკუთრეების“ ან/და „მესაკუთრეების“ სახელით) - „კასტოდიანის“ (ან მისი სახელით მოქმედი შესაბამისი პირების) მეშვეობით,

თითოეულ შემთხვევაში, წინამდებარე „პირობების“ შესაბამისად.

„**გამოშვების თარიღი**“ ნიშნავს 2020 წლის 9 ნოემბერს.

„**განაღების (დაფარვის) თარიღი**“ ნიშნავს „ობლიგაციების“ განაღების (დაფარვის) თარიღს, რომელიც წინამდებარე „პირობების“ თარიღისათვის დაგეგმილია 2024 წლის 2 აპრილს.

„**დელისტინგის მოვლენა**“ ნიშნავს მოვლენას, როდესაც „ობლიგაციები“ („დეპოზიტარული ხელწერილებით“ წარმოადგენილი ფასიანი ქაღალდები) აღარ იქნება სავაჭროდ დაშვებული „ევრონექსტ დუბლინზე“ ან უცხო ქვეყნის ერთ-ერთ სხვა აღიარებულ საფონდო ბირჟაზე („ფასიანი ქაღალდების კანონის“ მიზნებისათვის).

„**დეპოზიტარული ხელწერილი**“ ნიშნავს ფასიან ქაღალდს, რომელიც წარმოადგენს უფლებებს „ემიტენტის“ მიერ გამოშვებულ „ობლიგაციებზე“ და რომლის „საფონდო ბირჟაზე“ სავაჭროდ დაშვება და რომლითაც ვაჭრობა შესაძლებელია „ობლიგაციებისგან“ დამოუკიდებლად. წინამდებარე „პირობების“ თარიღზე, თითოეული „დეპოზიტარული ხელწერილი“ წარმოადგენს 1 (ერთი) „ობლიგაციის ერთეულის“ მიღების უფლებას, წინამდებარე „პირობების“ დებულებათა გათვალისწინებით.

„**დეპონირებისა და გამოშვების სერტიფიკატი**“ ნიშნავს სერტიფიკატს, როგორც განსაზღვრულია „პირობების“ მე-5 პუნქტში („ობლიგაციების დეპონირება და დეპოზიტარული ხელწერილების გამოშვება“).

„დეპონირებული ფასიანი ქაღალდები“ ნიშნავს „ობლიგაციებს“ (რომლებიც წარმოდგენილია „დეპოზიტარული ხელწერილებით“ და რომლებსაც „პირობებისა“ და „დეპოზიტართან ხელშეკრულების“ შესაბამისად, „დეპოზიტარის“ სახელით ფლობს „კასტოდიანი“ „ევროქლიარში“ ან „ქლიარსტრიმში“) და ნებისმიერ სხვა ფასიან ქაღალდს, რომელიც წინამდებარე „პირობების“ შესაბამისად „დეპოზიტარულ ხელწერილებთან“ დაკავშირებით დროდადრო დეპონირებულია „დეპოზიტართან“, „კასტოდიანთან“ ან მათი სახელით მოქმედ შესაბამის პირებთან.

„დეპონირებული ქონება“ ნიშნავს ნებისმიერ და ყველა „ობლიგაციას“, ფასიან ქაღალდს, ნაღდ ფულს ან/და სხვა ქონებას, რომელიც „დეპოზიტარულ ხელწერილებთან“ დაკავშირებით არის „დეპოზიტარის“ ან მისი სახელით მფლობელობაში, „პირობების“ მე-14 პუნქტის („გადახდები“) გათვალისწინებით ნაღდი ფულის შემთხვევაში. თუ ნებისმიერი მოქმედი კანონმდებლობისა და რეგულაციის შესაბამისად „დეპოზიტარი“ ან „კასტოდიანი“ (ან „დეპოზიტარისა“ თუ „კასტოდიანის“ მიერ დანიშნული პირი) მიიჩნევა „დეპონირებული ქონების“ კანონიერ მესაკუთრედ, აღნიშნული არ გამოიწვევს რაიმე ფორმით, ერთი მხრივ, „დეპოზიტარის“ და, მეორე მხრივ, „მესაკუთრეების“ იმ სახელშეკრულებო უფლებებისა და მოვალეობების ცვლილებას, რომლებიც არსებობს „პირობების“ და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ან წარმოშობილია მათგან. ყველა „დეპონირებული ქონება“ მფლობელობაში ექნება „კასტოდიანს“, „დეპოზიტარს“ და მათი სახელით მოქმედ შესაბამის პირებს იმ „დეპოზიტარული ხელწერილების“ „მესაკუთრეთა“ სასარგებლოდ, რომლებიც წარმოადგენენ „დეპონირებულ ქონებას“, „პირობების“ და საქართველოს კანონმდებლობის დებულებათა გათვალისწინებით. არ არის განზრახული, რომ „დეპონირებული ქონება“ შეადგენდეს „დეპოზიტარის“, „კასტოდიანის“ ან მათი სახელით მოქმედი შესაბამისი პირების საკუთრებას. ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად, „დეპონირებულ ქონებაზე“ ბენეფიციური საკუთრების უფლება აქვთ, და წინამდებარე „პირობების“ მოქმედების ვადის განმავლობაში ყოველთვის ექნებათ, იმ „დეპოზიტარული ხელწერილების“ „ბენეფიციარ მესაკუთრეებს“, რომლებიც წარმოადგენენ „დეპონირებულ ქონებას“, „პირობების“ და საქართველოს კანონმდებლობის გათვალისწინებით.

„დეპოზიტართან ანგარიშები“ ნიშნავს ანგარიშებს, როგორც განსაზღვრულია „პირობების“ 4.2 ქვეპუნქტში.

„დეპოზიტართან ხელშეკრულება“ ნიშნავს „ემიტენტსა“ და „დეპოზიტარს“ შორის 2020 წლის 22 ოქტომბრით დათარიღებულ ხელშეკრულებას დეპოზიტარული მომსახურების გაწევის შესახებ (Deposit Agreement).

„დეპოზიტარი“ ნიშნავს სს „საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალურ დეპოზიტარს“ (საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დაფუძნებული სააქციო საზოგადოება, საიდენტიფიკაციო ნომრით: 204935400), ან ნებისმიერ სხვა პირს, რომელიც შესაძლოა დაინიშნოს „დეპოზიტარის“ უფლებამონაცვლედ, ან შემცვლელ ან დამატებით დეპოზიტარად.

„დოლარი“ და „აშშ დოლარი“ ნიშნავს ამერიკის შეერთებული შტატების ოფიციალურ ვალუტას.

„ევრონექსტ დუბლინი“ ნიშნავს ირლანდიის საფონდო ბირჟას, რომელიც საქმიანობს „ევრონექსტ დუბლინის“ („Euronext Dublin“) სახელით.

„ევროქლიარი“ ნიშნავს „Euroclear Bank SA/NV“-ს, როგორც „ევროქლიარის სისტემის“ („Euroclear System“) ოპერატორს.

„ემიტენტი“ ნიშნავს სს „სილქნეტს“ (საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დაფუძნებული სააქციო საზოგადოება, საიდენტიფიკაციო ნომრით: 204566978), რომელსაც გამოშვებული აქვს „ობლიგაციები“.

„ეროვნული ბანკი“ ნიშნავს საქართველოს ეროვნულ ბანკს.

„კასტოდიანი“ ნიშნავს სს „საქართველოს ბანკს“ (საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დაფუძნებული სააქციო საზოგადოება, საიდენტიფიკაციო ნომრით: 204378869), რომელიც „დეპოზიტარის“ მიერ „პირობების“ მიზნებისათვის დანიშნულია კასტოდიანად, და ნებისმიერ სხვა პირს, რომელიც შესაძლოა დაინიშნოს „დეპოზიტარის“ მიერ უფლებამონაცვლედ, შემცვლელ ან დამატებით კასტოდიანად „დეპოზიტართან ხელშეკრულების“ შესაბამისად. ტერმინი „კასტოდიანი“ ნიშნავს ნებისმიერ კასტოდიანს ინდივიდუალურად ან ყველა კასტოდიანს ერთობლივად, კონტექსტის გათვალისწინებით. „კასტოდიანი“ ნებისმიერ დროს და ყველა თვალსაზრისით ექვემდებარება მხოლოდ „დეპოზიტარის“ მითითებებს და პასუხს აგებს მხოლოდ „დეპოზიტარის“ წინაშე.

„კლირინგისა და ანგარიშსწორების სისტემა“ ნიშნავს კლირინგისა და ანგარიშსწორების სისტემას, რომელსაც ოპერირებას უკეთებს „დეპოზიტარი“, ან მის ნებისმიერ შემცვლელს.

„მესაკუთრე“ ნიშნავს რეგისტრირებულ მესაკუთრეს „ფასიანი ქაღალდების კანონის“ 2.5¹ მუხლით განსაზღვრული მნიშვნელობით.

„ნომინალური მფლობელი“ ნიშნავს ფასიანი ქაღალდის ნომინალურ მფლობელს „ფასიანი ქაღალდების კანონის“ 2.43 მუხლით განსაზღვრული მნიშვნელობით.

„ობლიგაცია“ ნიშნავს ჯამური 200,000,000 აშშ დოლარის ნომინალური ღირებულებისა და 11.00% საპროცენტო განაკვეთის (სარგებლის) მქონე ობლიგაციებს განაღდების (დაფარვის) თარიღით 2024 წელს, რომლებიც გამოშვებულია „ემიტენტის“ მიერ და დაშვებულია: (i) „ევრონექსტ დუბლინის“ ოფიციალურ სიაში („Official List“) და სავაჭროდ მის გლობალურ საფონდო ბირჟაზე („Global Exchange Market“), და (ii) „საფონდო ბირჟის“ სავაჭრო სისტემასა და ლისტინგში.

„ობლიგაციის ერთეული“ ნიშნავს: (i) „დეპოზიტარული ხელწერილების“ „გამოშვების თარიღზე“, „ობლიგაციის“ ერთეულს 1,000 აშშ დოლარის ძირითადი თანხის ოდენობით; ან/და (ii) „ობლიგაციების პირობების“ 7(f) ქვეპუნქტის („ნაწილობრივი განაღდება (დაფარვა)“ („Partial Redemption“)) შესაბამისად „ობლიგაციების“ ნაწილობრივი განაღდების (დაფარვის) შემთხვევაში, პროპორციულ (*pro rata*) საფუძველზე შესაბამისად შესწორებულ ძირითად თანხას. ყოველგვარი ექვის გამოსარიცხად, „ობლიგაციების პირობების“ 1(a) ქვეპუნქტის („ფორმა და დენომინაცია“ („Form and Denomination“)) შესაბამისად, გამოშვების თარიღზე „ობლიგაციის“ მინიმალური დენომინაციაა 200,000 აშშ დოლარი და ამის ზემოთ 1,000 აშშ დოლარის ჯერადები (მთელი რიცხვი).

„ობლიგაციის პირობები“ ნიშნავს „ობლიგაციების გამოშვების პირობებს“ („Terms and Conditions of the Notes“), როგორც მოცემულია 2019 წლის 29 მარტის (და ამავე თარიღზე „ევრონექსტ დუბლინის“ მიერ დამტკიცებულ) „ობლიგაციების“ სალისტინგო დოკუმენტში („Listing Particulars“).

„ობლიგაციონერი“ ნიშნავს „ობლიგაციის“ მფლობელს.

„პირობები“ ნიშნავს წინამდებარე „დეპოზიტარული ხელწერილების გამოშვების პირობებს“, მასში შესული ცვლილებებისა და დამატებების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გათვალისწინებით.

„სააღრიცხვო თარიღი“ ნიშნავს თარიღს, როგორც განსაზღვრულია „პირობების“ 14.2 ქვეპუნქტში („სააღრიცხვო თარიღი“).

„სამუშაო დღე“ ნიშნავს ნებისმიერ დღეს (შაბათის, კვირისა და უქმე დღეების გარდა), როდესაც კომერციული ბანკები ახორციელებენ გადახდებს და აწარმოებენ ჩვეულებრივ საქმიანობას (მათ შორის, სავალუტო ოპერაციებს) თბილისში, საქართველო.

„საფონდო ბირჟა“ ნიშნავს სს „საქართველოს საფონდო ბირჟას“ (საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დაფუძნებული სააქციო საზოგადოება, საიდენტიფიკაციო ნომრით: 211382145) ან ნებისმიერ სხვა პირს, რომელიც შესაძლოა დაინიშნოს „საფონდო ბირჟის“ უფლებამონაცვლედ.

„ფასიანი ქაღალდების ანგარიშები“ ნიშნავს ანგარიშებს, როგორც განსაზღვრულია „პირობების“ 4.2 ქვეპუნქტში.

„ფასიანი ქაღალდების აქტი“ ნიშნავს ამერიკის შეერთებული შტატების 1933 წლის აქტს ფასიანი ქაღალდების შესახებ („Securities Act“), როგორც მასში შესულია ცვლილებები.

„ფასიანი ქაღალდების კანონი“ ნიშნავს საქართველოს კანონს „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“, რომელიც მიღებულია 1998 წლის 24 დეკემბერს, შესული ცვლილებების გათვალისწინებით.

„კლიარსტრიმი“ ნიშნავს „Clearstream Banking“-ს, *société anonyme*, რომელიც დაფუძნებულია ლუქსემბურგის დიდი საჰერცოგოს კანონმდებლობის შესაბამისად.

„შეწყვეტის თარიღი“ ნიშნავს თარიღს, რომელიც განსაზღვრულია „პირობების“ 20.4 ქვეპუნქტში.

„შუამავალი“ ნიშნავს ფასიანი ქაღალდების ბაზრის შუამავალს „ფასიანი ქაღალდების კანონის“ 2.42 მუხლით განსაზღვრული მნიშვნელობით.

„ჩაბარებისა და გამოთხოვის სერტიფიკატი“ ნიშნავს სერტიფიკატს, როგორც განსაზღვრულია „პირობების“ მე-6 პუნქტში („დეპოზიტარული ხელწერილების ჩაბარება და დეპონირებული ქონების გამოთხოვა“).

2. სტატუსი და მოთხოვნის უფლების შეზღუდვა

- 2.1. „დეპოზიტარული ხელწერილების“ ერთდერთი მიზანია წარმოადგინოს აშშ დოლარში დენომინირებული „ობლიგაციები“ და ისინი გამოშვებულია 1,000 (ათასი) აშშ დოლარის მინიმალური დენომინაციებით. „დეპოზიტარული ხელწერილები“ წარმოადგენს „დეპოზიტართან“ დეპონირებული „ობლიგაციების“ ტოლფას რაოდენობას.
- 2.2. „დეპოზიტარული ხელწერილი“ მის „მესაკუთრეს“ ანიჭებს უფლებას, მიიღოს ნებისმიერი სხვა ქონება, რომელიც მიღებულია „დეპოზიტარის“ ან „კასტოდიანის“ მიერ ამგვარი „მესაკუთრის“ სახელით, მაგრამ რომელიც არ განაწილებულა მასზე სამართლებრივი შეზღუდვების ან პრაქტიკული მოსაზრებების გამო (წინამდებარე „პირობების“ შესაბამისად).
- 2.3. „დეპოზიტარული ხელწერილი“ წარმოადგენს მისი „მესაკუთრის“ უფლებებს „დეპონირებულ ქონებაზე“ წინამდებარე „პირობების“ შესაბამისად. „დეპოზიტარული ხელწერილები“ გამოშვებულია წინამდებარე „პირობების“ შესაბამისად და მისი „მესაკუთრეების“ ან/და „ნომინალური მფლობელების“ ყველა უფლება ცალსახად ექვემდებარება წინამდებარე „პირობებს“, რომლებიც ერთობლივად წარმოადგენენ „დეპოზიტარულ ხელწერილებთან“ დაკავშირებულ შეთანხმებას, ერთი მხრივ, „დეპოზიტარსა“ და, მეორე მხრივ „მესაკუთრე(ებ)ს“ ან/და „ნომინალურ მფლობელ(ებ)ს“ შორის.
- 2.4. წინამდებარე „პირობების“ შესაბამისად გამოშვებული ნებისმიერი „დეპოზიტარული ხელწერილის“ (ან მათზე დარიცხული ნებისმიერი სარგებლის) მიღებით, თითოეული „მესაკუთრე“ და თითოეული „ნომინალური მფლობელი“ ნებისმიერი მიზნისათვის ითვლება, რომ (ა) წარმოადგენს წინამდებარე „პირობების“ და მის მიმართ მოქმედი „ობლიგაციების პირობების“ მხარეს და ექვემდებარება მათ, და (ბ) ნიშნავს „დეპოზიტარს“, როგორც რწმუნებულს, დელეგირების სრული უფლებითა და უფლებით, იმოქმედოს მისი სახელით და განახორციელოს წინამდებარე „პირობებით“ გათვალისწინებული ნებისმიერი და ყველა ქმედება, დაამტკიცოს ნებისმიერი და ყველა პროცედურა, რომელიც აუცილებელია მოქმედი კანონმდებლობის დასაცავად და მიიღოს ზომები, რომლებიც „დეპოზიტარმა“, საკუთარი შეხედულებისამებრ, შესაძლოა მიიჩნიოს აუცილებლად ან მიზანშეწონილად წინამდებარე „პირობების“ და „ობლიგაციების პირობების“ მიზნების განსახორციელებლად, და ამგვარი ქმედებების განხორციელება მიიჩნევა მათი აუცილებლობისა და მიზანშეწონილობის საბოლოო განმსაზღვრელად.
- 2.5. „დეპოზიტარული ხელწერილების“ შესაბამისად „დეპოზიტარის“ ვალდებულებას, განახორციელოს გადახდა თანხებისა, რომლებიც ჯამურად ტოლია ძირითად თანხასთან, სარგებელთან ან, გარემოებების გათვალისწინებით, „ობლიგაციებთან“ დაკავშირებულ სხვა თანხებთან დაკავშირებით „დეპოზიტარის“ მიერ ან მის ანგარიშზე „ემიტენტისგან“ ფაქტობრივად მიღებული და დაკავებული (გადასახადებისა და მოქმედი საზღაურების, ასეთის არსებობის შემთხვევაში, გამოკლებით) თითოეული თანხისა. შესაბამისად, „დეპოზიტარულ ხელწერილებთან“ დაკავშირებული ყველა გადახდა განხორციელდება მხოლოდ „დეპოზიტარის“ მიერ ან მისი სახელით მიღებული ან ამოღებული და დაკავებული (გადასახადებისა და მოქმედი საზღაურების, ასეთის არსებობის შემთხვევაში, გამოკლებით) ამგვარი თანხებიდან და ამგვარი თანხების ფარგლებში. „დეპოზიტარული ხელწერილების“ შესაბამისად „დეპოზიტარის“ მიერ განსახორციელებელ გადახდებთან დაკავშირებით „მესაკუთრეები“ ან/და „ნომინალური მფლობელები“ გაითვალისწინებენ მხოლოდ ამგვარ თანხებს; „დეპოზიტარის“ ვალდებულება, განახორციელოს გადახდები „დეპოზიტარულ ხელწერილებთან“ დაკავშირებით, შეზღუდულია მხოლოდ ამგვარი თანხებით; და „მესაკუთრეებს“ ან/და „ნომინალურ მფლობელებს“ არ აქვთ დამატებითი მოთხოვნის უფლება აღნიშნულთან დაკავშირებით „დეპოზიტარის“ ან „დეპოზიტარის“ სხვა აქტივების მიმართ.
- 2.6. „პირობების“ 2.1 ქვეპუნქტის გათვალისწინებით, „ობლიგაციებიდან“ გამომდინარე „ემიტენტის“ ნებისმიერ ვალდებულებასთან დაკავშირებით არც ერთი „მესაკუთრე“ ან/და „ნომინალური მფლობელი“ (ან მათი სახელით მოქმედი ნებისმიერ პირი) არ არის უფლებამოსილი, ნებისმიერ დროს „ემიტენტის“ წინააღმდეგ პირდაპირ და უშუალოდ დაიწყოს რაიმე გაკოტრების, ადმინისტრაციული, რეორგანიზაციის, გადახდისუუნარობის ან ლიკვიდაციის წარმოება, ან მსგავსი წარმოება ნებისმიერი მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ან შეუერთდეს ნებისმიერ მსგავს წარმოებას. „ობლიგაციებიდან“

გამომდინარე „ემიტენტის“ ნებისმიერ ვალდებულებასთან დაკავშირებით „დეპოზიტარული ხელწერილები“ „მესაკუთრეების“ ნებისმიერი ზემოთ მითითებული უფლება განხორციელდება მხოლოდ „ობლიგაციებზე“ მათი უფლებების მეშვეობით და ექსკლუზიურად დარეგულირდება „ობლიგაციების პირობებით“.

2.7. ითვლება, რომ „მესაკუთრეები“ ან/და „ნომინალური მფლობელები“ იცნობენ წინამდებარე „პირობებს“, „ობლიგაციების პირობებს“ და „დეპოზიტართან ხელშეკრულებას“ და რომ მათ თანხმობა განაცხადეს აღნიშნულ დოკუმენტებზე. წინამდებარე „პირობებით“ ცალსახად განსაზღვრულია და ითვლება, რომ „მესაკუთრეებმა“ ან/და „ნომინალურმა მფლობელებმა“ განაცხადეს თანხმობა, რომ:

- (ა) არც „დეპოზიტარი“ და არც „კასტოდიანი“ არ აკეთებს რაიმე განცხადებას ან არ იძლევა რაიმე გარანტიას, ან მათ არასდროს არ ეკისრებათ რაიმე პასუხისმგებლობა ან, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ცალსახად სხვაგვარად განსაზღვრულია „დეპოზიტართან ხელშეკრულებით“, ვალდებულება „ემიტენტის“ მიერ „ობლიგაციების“ შესაბამისად თავისი ვალდებულებების შესრულებასა და დაცვასთან, ან „ობლიგაციების“ შესაბამისად „ემიტენტისგან“ მისაღები ძირითადი თანხის ან სარგებლის ან ნებისმიერი დამატებითი თანხის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ნებისმიერი ოდენობის ამოღების შესაძლებლობასთან, დაკავშირებით;
- (ბ) არც „დეპოზიტარს“ და არც „კასტოდიანს“ არასდროს არ ეკისრება რაიმე პასუხისმგებლობა ან ვალდებულება „ემიტენტის“ (ფინანსურ, საოპერაციო ან სხვაგვარ) მდგომარეობასთან, მის კრედიტუნარიანობასთან, საქმეებთან, სტატუსთან, ბუნებასთან ან პერსპექტივებთან დაკავშირებით;
- (გ) არც „დეპოზიტარს“ და არც „კასტოდიანს“ რაიმე დროს არ ეკისრება პასუხისმგებლობა „ემიტენტის“ მიერ „ობლიგაციების“ შესაბამისად ან მათთან დაკავშირებით ნებისმიერი განცხადების, შეცდომაში შემყვანი განცხადების, გარანტიის დარღვევის ან გარანტიის, ან ნებისმიერი ქმედების, დეფოლტის ან უმოქმედობის გამო;
- (დ) წინამდებარე „პირობების“ შესაბამისად „დეპოზიტარულ ხელწერილებთან“ დაკავშირებული ფინანსური მომსახურება და შესრულება დამოკიდებულია მხოლოდ და ექსკლუზიურად „ემიტენტის“ მიერ „ობლიგაციებიდან“ გამომდინარე თავისი ვალდებულებისა და „ობლიგაციების პირობებიდან“ გამომდინარე გადახდის განხორციელების დათქმის შესრულებაზე და მის საკრედიტო და ფინანსურ მდგომარეობაზე;
- (ე) „დეპოზიტარს“ არასდროს მოეთხოვება, გაიღოს ან გარისკოს საკუთარი სახსრები ან სხვაგვარად იკისროს რაიმე ფინანსური ვალდებულება წინამდებარე „პირობების“ შესაბამისად საკუთარი ვალდებულებების ან მოვალეობების შესასრულებლად, ან ნებისმიერი უფლების, უფლებამოსილების ან დისკრეციის განსახორციელებლად, სანამ არ მიიღებს „ემიტენტისგან“ ამგვარ შესრულებასთან ან განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯებისა და დანახარჯების დასაფარად აუცილებელ თანხებს, ან არ დარწმუნდება (საკუთარი შეხედულებისამებრ), რომ მიიღებს ამგვარ თანხებს; და
- (ვ) არ განხორციელდება ან არ განხორციელდება „ობლიგაციებისა“ და „დეპოზიტარული ხელწერილების“ რეგისტრაცია „ფასიანი ქაღალდების აქტის“ ან შეერთებული შტატების რომელიმე შტატის ფასიანი ქაღალდების მარეგულირებელი კანონმდებლობის თანახმად, და დაუშვებელია მათი შეთავაზება, გასხვისება ან გადაცემა შეერთებულ შტატებში, გარდა „ფასიანი ქაღალდების აქტის“ სარეგისტრაციო მოთხოვნებიდან გამონაკლისი შემთხვევისა ან ისეთი ტრანზაქციისა, რომელიც არ ექვემდებარება რეგისტრაციას „ფასიანი ქაღალდების აქტის“ შესაბამისად.

2.8. „პირობების“ 2.1 ქვეპუნქტის გათვალისწინებით, არც ერთ „მესაკუთრეს“ ან/და „ნომინალურ მფლობელს“ არ აქვს რაიმე მოთხოვნის უფლება „ემიტენტის“ ნებისმიერი დირექტორის, აქციონერის ან თანამდებობის პირის წინააღმდეგ „ემიტენტის“ მიერ „ობლიგაციებთან“ დაკავშირებით დადებულ ან აღებულ რაიმე ვალდებულებასთან, დათქმასთან ან შეთანხმებასთან დაკავშირებით. „მესაკუთრის“ ან/და „ნომინალური მფლობელის“ ნებისმიერი ამგვარი მოთხოვნის უფლება განხორციელდება მხოლოდ „ობლიგაციებზე“ მისი უფლებების მეშვეობით და ექსკლუზიურად დარეგულირდება „ობლიგაციების პირობებით“.

3. ფორმა და დენომინაცია

„დეპოზიტარული ხელწერილები“ გამოშვებულია არამატერიალიზებული ფორმით, ელექტრონული ჩანაწერის სახით. „დეპოზიტარული ხელწერილის“ 1,000 (ათასი) აშშ დოლარის ოდენობით ძირითადი თანხა

წარმოადგენს 1 (ერთი) „ობლიგაციის ერთეულს“ „გამოშვების თარიღზე“. თუ განხორციელდება „ობლიგაციების“ ნაწილობრივი განაღდება (დაფარვა) „ობლიგაციების პირობების“ 7(f) ქვეპუნქტის („ნაწილობრივი განაღდება (დაფარვა)“ („*Partial Redemption*“)) შესაბამისად, „დეპოზიტარული ხელწერილის“ ძირითადი თანხა და „ობლიგაციის ერთეული“ შესწორდება შესაბამისად პროპორციულ (*pro rata*) საფუძველზე.

4. ფასიანი ქაღალდების ანგარიშები, საკუთრების უფლება და გადაცემა

- 4.1. „დეპოზიტარული ხელწერილების“ არსებობა დასტურდება საკუთრების უფლების რეგისტრაციით „დეპოზიტართან ანგარიშებში“ (როგორც ეს ტერმინი განსაზღვრულია „პირობების“ 4.2 ქვეპუნქტში). „დეპოზიტარული ხელწერილები“ თარიღდება და რეგისტრირდება „დეპოზიტარული ხელწერილების“ გამოშვებისა და გადაცემის რეგისტრაციის მიზნებისათვის „დეპოზიტარის“ მიერ წარმოებულ ჩანაწერებში. არც ერთი „დეპოზიტარული ხელწერილი“ არ სარგებლობს წინამდებარე „პირობებით“ განსაზღვრული რაიმე უფლებით, და არ არის ნამდვილი ან აღსრულებადი რაიმე მიზნით „დეპოზიტარის“ მიმართ, თუ ამგვარი „დეპოზიტარული ხელწერილი“ არ არის რეგისტრირებული ამ პუნქტით განსაზღვრული ფორმით.
- 4.2. „პირობების“ 4.3 ქვეპუნქტის გათვალისწინებით, საკუთრების უფლება „დეპოზიტარულ ხელწერილებზე“ დასტურდება რეგისტრაციით: (i) „დეპოზიტართან“ „შუამავლების“ (მათ შორის, როგორც „ნომინალური მფლობელების“) ფასიანი ქაღალდების ანგარიშებში (შემდგომში „დეპოზიტართან ანგარიშები“); ან/და (ii) სხვა ჩანაწერებში/ანგარიშებში, რომლებსაც აწარმოებს „დეპოზიტარული ხელწერილების“ ნებისმიერი „ნომინალური მფლობელი“ („დეპოზიტართან ანგარიშები“ და სხვა ანგარიშები/ჩანაწერები, რომლებსაც აწარმოებს „დეპოზიტარული ხელწერილების“ „ნომინალური მფლობელი“, შემდგომში მოიხსენიება, როგორც „ფასიანი ქაღალდების ანგარიშები“).
- 4.3. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, თუ „დეპოზიტარული ხელწერილები“ ეკუთვნის „შუამავალს“, იგი უფლებამოსილია, „ნომინალური მფლობელის“ გარეშე აწარმოოს ფასიანი ქაღალდების ანგარიში „დეპოზიტართან“ და „დეპოზიტართან“ დარეგისტრირდეს „დეპოზიტარული ხელწერილების“ „მესაკუთრედ“. შესაბამისად, თუ „დეპოზიტარული ხელწერილები“ საკუთრებაში აქვს „შუამავალს“, იგი უფლებამოსილია, „დეპოზიტართან“ ურთიერთობაში წინამდებარე „პირობებით“ განსაზღვრული ნებისმიერი და ყველა უფლება განხორციელოს, და ნებისმიერი და ყველა ქმედება შეასრულოს, თავად (საკუთარი სახელით, როგორც „მესაკუთრემ“) და არა - „ნომინალური მფლობელების“ მეშვეობით.
- 4.4. (i) „პირობების“, „ობლიგაციების პირობების“ და მოქმედი კანონმდებლობის გათვალისწინებით, (ii) თუ „კასტოდირი“ „დეპოზიტარის“ სახელით რეგისტრირებულია (შესაბამისი რაოდენობის „დეპოზიტარული ხელწერილების“ გამოშვების მიზნით დეპონირებული) „ობლიგაციების“ მფლობელად „ევროქლიარში“ ან „ქლიარსტრიმში“, „პირობების“ და „დეპოზიტართან ხელშეკრულების“ დებულებათა შესაბამისად, და (iii) თუ „ობლიგაციონერ(ებ)ის“ მიერ ან სახელით შესრულებულია „პირობების“ მე-5 პუნქტით („ობლიგაციების დეპონირება და დეპოზიტარული ხელწერილების გამოშვება“) განსაზღვრული მოთხოვნები, „დეპოზიტარი“ უზრუნველყოფს „დეპოზიტარული ხელწერილების“ გამოშვებასა და მათ რეგისტრაციას „დეპოზიტართან ანგარიშებში“ და მათ დაშვებას „კლირინგისა და ანგარიშსწორების სისტემაში“.
- 4.5. „დეპოზიტარი“ უზრუნველყოფს „დეპოზიტარული ხელწერილების“ დაშვებას „კლირინგისა და ანგარიშსწორების სისტემაში“ და ნებისმიერ სხვა შესაბამის ანგარიშსწორების სისტემაში. „კლირინგისა და ანგარიშსწორების სისტემის“ მეშვეობით ფლობაში არსებული „დეპოზიტარული ხელწერილების“ თითოეული „მესაკუთრე“ უნდა დაეყრდნოს „კლირინგისა და ანგარიშსწორების სისტემის“ პროცედურებს, რათა შეძლოს (საჭიროების შემთხვევაში, „ნომინალური მფლობელის“ მეშვეობით) „დეპოზიტარულ ხელწერილებთან“ დაკავშირებული ნებისმიერი უფლების განხორციელება და ამ უფლებებით სარგებლობა. „დეპოზიტარის“ მიერ წინამდებარე „პირობების“ შესაბამისად „კლირინგისა და ანგარიშსწორების სისტემის“ მეშვეობით შესრულებული ნებისმიერი განაწილება და მიწოდებული ნებისმიერი შეტყობინება (თუ „დეპოზიტარის“ მიერ სხვაგვარად არ არის დაზუსტებული) აკმაყოფილებს „დეპოზიტარის“ ვალდებულებებს ამგვარი განაწილების შესრულებასთან ან ამგვარი შეტყობინებების მიწოდებასთან დაკავშირებით („კლირინგისა და ანგარიშსწორების სისტემის“ მეშვეობით ფლობაში არსებულ „დეპოზიტარულ ხელწერილებთან“ დაკავშირებით) „პირობების“ შესაბამისად.
- 4.6. „დეპოზიტარული ხელწერილების“ გასხვისება ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. „დეპოზიტარული ხელწერილების“ გასხვისება და საკუთრების უფლების გადაცემა მხოლოდ იმ შემთხვევაში არის ნამდვილი, თუ ამგვარი გასხვისების შედეგად „დეპოზიტარულ ხელწერილებზე“ საკუთრების უფლების ცვლილება დარეგისტრირდება შესაბამის „ფასიანი ქაღალდების ანგარიშში“.

„დეპოზიტარული ხელწერილების“ გამოშვების შემდგომ, „ემიტენტი“ გეგმავს, მიმართოს „საფონდო ბირჟას“ განაცხადით „დეპოზიტარული ხელწერილების“ „საფონდო ბირჟის“ სავაჭრო სისტემასა და ლისტინგში დაშვების თაობაზე.

4.7. „დეპოზიტარულ ხელწერილებს“ არ ექნებათ რაიმე სარგებელი ან სავალდებულო ძალა, თუ ისინი არ დარეგისტრირდება „დეპოზიტართან ანგარიშებში“. ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად, „პირობების“ 4.3 ქვეპუნქტისა და საქართველოს კანონმდებლობის სავალდებულო მოთხოვნების გათვალისწინებით, „დეპოზიტარული ხელწერილების“ „ბენეფიციარი მესაკუთრეები“ ან/და „მესაკუთრეები“ „დეპოზიტართან“ ურთიერთობაში წინამდებარე „პირობებით“ განსაზღვრულ ნებისმიერ და ყველა უფლებას განახორციელებენ, და ნებისმიერ და ყველა ქმედებას შეასრულებენ, მხოლოდ „ნომინალური მფლობელების“ მეშვეობით. მიუხედავად ნებისმიერი საპირისპირო ცნობისა, „დეპოზიტარი“ უფლებამოსილია, „დეპოზიტარული ხელწერილების“ „დეპოზიტართან ანგარიშებში“ რეგისტრირებული „მესაკუთრეები“ ან/და „ნომინალური მფლობელები“ მიიჩნიოს მათ მესაკუთრეებად ყველა მიზნისთვის, რაც შეზღუდვის გარეშე მოიცავს ნებისმიერ განაწილებაზე უფლებამოსილი პირის განსაზღვრის მიზანს. „დეპოზიტარი“ არ არის ვალდებული და არ ეკისრება რაიმე პასუხისმგებლობა ნებისმიერი „მესაკუთრის“, „ბენეფიციარი მესაკუთრისა“ და „ნომინალური მფლობელის“ წინაშე წინამდებარე „პირობების“ შესაბამისად, თუ „დეპოზიტარული ხელწერილის“ შესაბამისი „მესაკუთრე“ ან/და „ნომინალური მფლობელი“ არ არის რეგისტრირებული „დეპოზიტართან ანგარიშებში“.

4.8. „დეპოზიტარულ ხელწერილებზე“ საკუთრების უფლების გადაცემა ხორციელდება შესაბამის „ფასიანი ქაღალდების ანგარიშში“ რეგისტრაციით და, შესაბამისად, „დეპოზიტარულ ხელწერილებზე“ საკუთრების უფლების გადაცემა ძალაში შედის მხოლოდ ამგვარი რეგისტრაციისას. „დეპოზიტარი“ უფლებამოსილია, უარი თქვას ნებისმიერი „დეპოზიტარული ხელწერილის“ გადასაცემად მიღებაზე „პირობების“ შესაბამისად. „პირობების“ 4.3 ქვეპუნქტის გათვალისწინებით, ნებისმიერი „ნომინალური მფლობელი“, რომელიც რეგისტრირებულია „დეპოზიტართან ანგარიშებში“, „დეპოზიტარისა“ და „ემიტენტის“ მიერ (თუ კანონმდებლობით სხვა რამ არ არის დადგენილი) ჩაითვლება „მესაკუთრედ“ („მესაკუთრის“ სახელით მოქმედ შესაბამის უფლებამოსილ პირად) ყველა მიზნისთვის (მიუხედავად იმისა, ვადაგადაცდილებულია თუ არა ამგვარ „დეპოზიტარულ ხელწერილთან“ დაკავშირებით ნებისმიერი გადახდა ან სხვა განაწილება, და მიუხედავად მასზე საკუთრების, ტრასტის ან ნებისმიერი უფლების შესახებ ნებისმიერი შეტყობინებისა, ან მიუხედავად მასთან დაკავშირებით გაცემულ ნებისმიერ სერტიფიკატზე ნებისმიერი წარწერისა ან მისი მოპარვისა ან დაკარგვისა), და „დეპოზიტარი“ და „ემიტენტი“ უფლებამოსილები არიან, დაეყრდნონ ამგვარ ჩანაწერებს „დეპოზიტართან ანგარიშებში“, და არც ერთ პირს არ დაეკისრება პასუხისმგებლობა იმის გამო, რომ ამგვარად მიიჩნია „ნომინალური მფლობელი“.

5. ობლიგაციების დეპონირება და დეპოზიტარული ხელწერილების გამოშვება

5.1. „პირობების“, „ობლიგაციების პირობებისა“ და მოქმედი კანონმდებლობის გათვალისწინებით, ნებისმიერი „ობლიგაციონერი“ უფლებამოსილია, განახორციელოს „ობლიგაციის“, რომელიც შეადგენს არანაკლებ 1 (ერთი) „ობლიგაციის ერთეულს“, დეპონირება „კასტოდიანთან“ („დეპოზიტარის“ სახელზე „ობლიგაციის“ გადაცემისა და რეგისტრაციისათვის საჭირო გადაცემის სათანადო ინსტრუმენტებთან ერთად) შესაბამისი რაოდენობის „დეპოზიტარული ხელწერილების“ მიღების მიზნით, *თუმცა იმ პირობით, რომ ამ დრომდე „დეპოზიტარს“ ამგვარ „ობლიგაციასთან“ დაკავშირებით გამოსაშვები „დეპოზიტარული ხელწერილების“ „ბენეფიციარი მესაკუთრის“ მიერ ან სახელით წინასწარ მიეწოდება დეპონირებისა და გამოშვების სათანადოდ შევსებული და ხელმოწერილი ინსტრუქციები და სერტიფიკატები*, არსებითად „პირობების“ 1-ლი დანართით განსაზღვრული ფორმით (მასში შეტანილი ნებისმიერი შესწორების გათვალისწინებით, ასეთის არსებობის შემთხვევაში), (შემდგომში „დეპონირებისა და გამოშვების სერტიფიკატი“) და ის სხვა სერტიფიკატები და დოკუმენტები, რომლებიც შესაძლოა მოითხოვოს „დეპოზიტარმა“ მოქმედი კანონმდებლობის დასაცავად, „ევროკლიარში“ ან/და „ქლიარსტრიმში“ „კასტოდიანის“ ანგარიშზე „ობლიგაციების“ ელექტრონული (არამატერიალური ფორმით) მიწოდებით, რასაც თან ახლავს „კასტოდიანისთვის“ ან „დეპოზიტარისთვის“, გარემოებების გათვალისწინებით, შემდეგის მიწოდება: (ა) წერილობითი განკარგულება ამგვარი „ობლიგაციის“ დეპონირების განმახორციელებელი პირისგან ან პირისგან, რომლის სახელითაც ხორციელდება ამგვარი „ობლიგაციის“ დეპონირება, რომელიც აძლევს „დეპოზიტარს“ მითითებას, შეიტანოს შესწორებები თავის ანგარიშებში, რათა ასახოს „დეპოზიტარული ხელწერილების“ იმ რაოდენობის გამოშვება, რომელიც წარმოადგენს ამგვარ დეპონირებულ „ობლიგაციას“, (ბ) ნებისმიერი შესაბამისი გადახდა, „დეპოზიტარისა“ და „კასტოდიანის“ (არსებობის შემთხვევაში) საზღაურებისა და გადასახდელების ჩათვლით, „ობლიგაციების“ დეპონირებისათვის მისაღებად და „დეპოზიტარული ხელწერილების“ გამოსაშვებად, როგორც ეს განსაზღვრულია წინამდებარე „პირობებში“, და (გ) ის სხვა დოკუმენტაცია, რომელიც შესაძლოა მოითხოვოს „დეპოზიტარმა“ ან „კასტოდიანმა“.

ყოველგვარი ექვის გამოსარიცხად, „ობლიგაციის“ დეპონირება „კასტოდიანთან“ „დეპოზიტარის“ სახელზე წარმოადგენს აღნიშნული „ობლიგაციის“ საფუძველზე შესაბამისი რაოდენობით „დეპოზიტარული ხელწერილების“ გამოშვების წინაპირობას.

ყოველგვარი ექვის გამოსარიცხად, „დეპონირებისა და გამოშვების სერტიფიკატი“ ივსება და „დეპოზიტარს“ წარედგინება „შუამავლის“ მიერ (i) გამოსაშვები „დეპოზიტარული ხელწერილების“ „მესაკუთრის“ ან „ბენეფიციარი მესაკუთრის“ სახელით, როდესაც იგი წარმოადგენს „დეპოზიტარული ხელწერილების“ „ნომინალურ მფლობელს“, ან (ii) საკუთარი სახელით, როდესაც იგი წარმოადგენს „დეპოზიტარული ხელწერილების“ „მესაკუთრეს“ ან „ბენეფიციარ მესაკუთრეს“.

ზემოთ მითითებულის მიუხედავად, შესაძლებელია, „დეპოზიტარმა“ და „კასტოდიანმა“ ვერ შეძლონ „დეპოზიტარული ხელწერილების“ გამოშვების მიზნით ნებისმიერი „ობლიგაციის“ დეპონირების მიღება იმ ოდენობებით, რომლებიც არ შეესაბამება „ობლიგაციის“ მინიმალურ დენომინაციასა და დაკავშირებულ ინკრემენტს (ნამატს), რომელიც მოქმედებს დეპონირებისას „ობლიგაციებით“ ვაჭრობასა და მათ ანგარიშსწორებასთან მიმართებით.

- 5.2. „პირობების“ გათვალისწინებით, როდესაც ხორციელდება „ობლიგაციების“ დეპონირება „ევროქლიარში“ ან „ქლიარსტრიმში“ „დეპოზიტართან“ ან მის ანგარიშზე, „დეპოზიტარი“ თავად, ან „კასტოდიანისა“ და მისი სახელით მოქმედი სხვა პირის მეშვეობით, გაზრდის „დეპოზიტარული ხელწერილების“ რაოდენობას შესაბამისი ოდენობით, „პირობების“ მე-4 პუნქტისა (*„ფასიანი ქაღალდების ანგარიშები, საკუთრების უფლება და გადაცემა“*) და მე-5 პუნქტის (*„ობლიგაციების დეპონირება და დეპოზიტარული ხელწერილების გამოშვება“*) შესაბამისად, და შეიტანს შესაბამის ჩანაწერს „დეპოზიტართან ანგარიშებსა“ და „კლირინგისა და ანგარიშსწორების სისტემაში“, რათა აჩვენოს ამგვარი გამოშვება და „დეპოზიტარული ხელწერილების“ რაოდენობის გაზრდა.

5.3. „დეპოზიტარს“ ან „კასტოდიანს“, „დეპოზიტარის“ ან მისი სახელით მოქმედი პირის სასარგებლოდ და განკარგულებით, თითოეულ შემთხვევაში, ფლობაში ექნება „დეპონირებული ქონება“ „მესაკუთრეებისა“ და „ბენეფიციარი მესაკუთრეების“ სახელით „დეპოზიტარის“ ან „კასტოდიანის“ მიერ განსაზღვრულ ადგილას. მოქმედი კანონმდებლობის გათვალისწინებით, მიუხედავად წინამდებარე „პირობებში“ ან „დეპოზიტარულ ხელწერილებსა“ და შესაბამის „დეპონირებულ ქონებასთან“ დაკავშირებულ ნებისმიერ სხვა შეთანხმებაში არსებული ნებისმიერი საპირისპირო დებულებისა, „დეპოზიტარის“, „კასტოდიანის“ ან მათი სახელით მოქმედი ნებისმიერი შესაბამისი პირის სახელზე „დეპონირებული ფასიანი ქაღალდების“ რეგისტრაცია ანიჭებს „დეპოზიტარს“, „კასტოდიანს“ ან მათი სახელით მოქმედ შესაბამის პირს „დეპონირებულ ფასიან ქაღალდებზე“ ნომინალურ მფლობელობას, ხოლო ბენეფიციური საკუთრება ამგვარ „დეპონირებულ ფასიან ქაღალდებზე“ ყოველთვის რჩება იმ „დეპოზიტარული ხელწერილების“ „ბენეფიციარ მესაკუთრეებთან“, რომლებიც წარმოადგენენ „დეპონირებულ ფასიან ქაღალდებს“. ზემოთ მითითებულის მიუხედავად, წინამდებარე „პირობებით“ განსაზღვრული დებულებების შესაბამისად და „პირობების“ 2.4 ქვეპუნქტის გათვალისწინებით, „დეპოზიტარი“, „კასტოდიანი“ და მათი სახელით მოქმედი შესაბამისი პირები ყოველთვის უფლებამოსილები არიან, განახორციელონ უფლებები „დეპონირებულ ქონებაზე“ იმ „დეპოზიტარული ხელწერილების“ „მესაკუთრეების“ სახელით, რომლებიც წარმოადგენენ „დეპონირებულ ქონებას“. ყველა მიზნისთვის, ჩაითვლება, რომ „დეპოზიტარს“, „კასტოდიანს“ და მათი სახელით მოქმედ შესაბამის პირებს აქვთ ყველა აუცილებელი უფლებამოსილება, რათა იმოქმედონ „დეპონირებულ ქონებასთან“ დაკავშირებით იმ „დეპოზიტარული ხელწერილების“ „მესაკუთრეების“ სახელით, რომლებიც წარმოადგენენ „დეპონირებულ ქონებას“, და „დეპოზიტარის“, „კასტოდიანის“ ან მათი სახელით მოქმედი შესაბამისი პირების სასარგებლოდ გადახდის განხორციელებისას, ან მათი ინსტრუქციების შესაბამისად მოქმედებისას, ან მათ მიერ ინფორმაციის მიწოდებისას, ყველა პირი უფლებამოსილია, დაეყრდნოს ამგვარ უფლებამოსილებას.

- 5.4. „ემიტენტი“ იღებს ვალდებულებას, რომ იმ დრომდე, სანამ ნებისმიერი „დეპოზიტარული ხელწერილი“ არის გაუნაღდებელი (დაუფარავი) წინამდებარე „პირობების“ შესაბამისად, „ემიტენტს“ ყოველთვის ექნება საკუთრებაში „დეპოზიტარული ხელწერილები“, რომლებიც შეესაბამება 200,000 აშშ დოლარის მინიმალურ დენომინაციას.

6. დეპოზიტარული ხელწერილების ჩაბარება და დეპონირებული ქონების გამოთხოვა

- 6.1. „პირობების“, „ობლიგაციების პირობებისა“ და „ობლიგაციების“ მიმართ მოქმედი ანგარიშსწორების პირობების გათვალისწინებით, „დეპოზიტარის“ მიერ „დეპოზიტარული ხელწერილების“ „ბენეფიციარი მესაკუთრის“ მიერ ან სახელით (ა) შესაბამისი „დეპოზიტარული ხელწერილების“, (ბ) ყველა იმ საზღაურის,

გადასახადისა და ხარჯის გადახდის, რომელიც გადასახდელია წინამდებარე „პირობების“ შესაბამისად „დეპოზიტარული ხელწერილების“ ჩაბარებას ან/და „დეპონირებული ქონების“ გამოთხოვასთან დაკავშირებით, და (გ) ჩაბარებისა და გამოთხოვის სათანადოდ შევსებული და ხელმოწერილი ინსტრუქციებისა და სერტიფიკატების, არსებითად „პირობების“ მე-2 დანართით განსაზღვრული ფორმით (მასში შეტანილი ნებისმიერი შესწორების გათვალისწინებით, ასეთის არსებობის შემთხვევაში), (შემდგომში „**ჩაბარებისა და გამოთხოვის სერტიფიკატი**“) და იმ სხვა სერტიფიკატებისა და დოკუმენტების, რომლებიც შესაძლოა მოითხოვოს „დეპოზიტარმა“ მოქმედი კანონმდებლობის დასაცავად, მიღებისთანავე „მესაკუთრეებს“ ან/და „ნომინალურ მფლობელებს“ უფლება ექნებათ, ამგვარი „მესაკუთრის“ ან/და „ნომინალური მფლობელის“ მიერ განსაზღვრულ ანგარიშზე ელექტრონულად (არამატერიალიზებული ფორმით) მიიღონ „დეპონირებული ქონება“, რომელიც ამ დროს წარმოდგენილია „დეპოზიტარული ხელწერილებით“.

ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად, „ჩაბარებისა და გამოთხოვის სერტიფიკატი“ ივსება და „დეპოზიტარს“ წარედგინება „შუამავლის“ მიერ (i) ჩასაბარებელი „დეპოზიტარული ხელწერილების“ „მესაკუთრის“ ან „ბენეფიციარი მესაკუთრის“ სახელით, როდესაც იგი წარმოადგენს „დეპოზიტარული ხელწერილების“ „ნომინალურ მფლობელს“, ან (ii) საკუთარი სახელით, როდესაც იგი წარმოადგენს „დეპოზიტარული ხელწერილების“ „მესაკუთრეს“ ან „ბენეფიციარ მესაკუთრეს“.

- 6.2. „პირობების“ 6.3 ქვეპუნქტის გათვალისწინებით, თუ ნებისმიერ დროს, როდესაც დეპონირებული „ობლიგაციები“ წარმოდგენილია „დეპოზიტარული ხელწერილებით“, (i) „დეპოზიტარი“ წერილობით აცნობებს „ემიტენტს“, რომ იგი ვერ შეძლებს მოქმედების გაგრძელებას, როგორც დეპოზიტარი და 90 (ოთხმოცდაათი) დღის განმავლობაში არ დაინიშნება შემცვლელი დეპოზიტარი; ან (ii) „კლირინგისა და ანგარიშსწორების სისტემა“ დახურულია და არ მუშაობს უწყვეტი 14 (თოთხმეტი) დღის განმავლობაში (გარდა დასვენების დღისა, საკანონმდებლო თუ სხვა მიზეზისა) ან იგი გამოაცხადებს საქმიანობის მუდმივად შეწყვეტის განზრახვის შესახებ, ან რეალურად შეწყვეტს საქმიანობას, და 45 (ორმოცდახუთი) დღის განმავლობაში არ არის ხელმისაწვდომი „დეპოზიტარისათვის“ მისაღები კლირინგის ალტერნატიული სისტემა, „დეპოზიტარი“ 60 (სამოცი) დღის განმავლობაში უზრუნველყოფს „დეპოზიტარული ხელწერილების“ გაუქმებასა და შესაბამისი „დეპონირებული ქონების“ გამოთხოვასა და მიწოდებას „მესაკუთრეებისთვის“ ან/და „ნომინალური მფლობელებისათვის“ „პირობების“ 6.1 ქვეპუნქტის შესაბამისად, თითოეულ შემთხვევაში, საქართველოს კანონმდებლობისა და „პირობების“ გათვალისწინებით.
- 6.3. „პირობების“ 5.4 ქვეპუნქტის გათვალისწინებით, „დეპოზიტარული ხელწერილების“ გაუქმებისას შესაძლებელია, „დეპოზიტარმა“ ან/და „კასტოდიანმა“ ვერ შეძლოს „დეპონირებული ქონების“ მიწოდება იმ ოდენობებით, რომლებიც არ შეესაბამება „ობლიგაციის“ მინიმალურ დენომინაციასა და დაკავშირებულ ინკრემენტს (ნამატს), რომელიც მოქმედებს ამგვარი მიწოდების დროს „დეპონირებული ქონებით“ ვაჭრობასა და მათ ანგარიშსწორებასთან მიმართებით. ამ შემთხვევაში, ამგვარი „დეპოზიტარული ხელწერილები“ დარჩება გაუნაღდებელი (დაუფარავი) ზემოთ მითითებული გარემოების აღმოფხვრამდე ან „განაღდების (დაფარვის) თარიღამდე“.
- 6.4. „დეპოზიტარმა“ შეიძლება უარი თქვას „დეპონირებული ქონების“ მიწოდებაზე, თუ „დეპოზიტარი“ ამგვარ ქმედებას კეთილსინდისიერად მიიჩნევს აუცილებლად ან მიზანშეწონილად, ნებისმიერ დროს და დროდადრო, კანონმდებლობის ან ნებისმიერი მთავრობის ან სამთავრობო ორგანოს (მათ შორის, შეზღუდვის გარეშე, „ეროვნული ბანკის“), უწყების, კომისიის ან საფონდო ბირჟის (იმ შემთხვევაში, თუ ეს აუცილებელია ნებისმიერ მოქმედ კანონმდებლობასთან ან საფონდო ბირჟის წესებსა თუ რეგულაციებთან შესაბამისობისათვის) მოთხოვნის გამო, ან „დეპოზიტართან ხელშეკრულების“ ნებისმიერი დებულების შესაბამისად, ან ნებისმიერი სხვა მიზეზით, რომელიც მიზანშეწონილი ან აუცილებელია „პირობებისა“ და „ობლიგაციების პირობების“ მიზნების განსახორციელებლად.
- 6.5. „დეპოზიტარული ხელწერილების“ გაუქმებულად ითვლება, როდესაც „დეპოზიტარი“ უზრუნველყოფს გამოშვებული „დეპოზიტარული ხელწერილების“ რაოდენობის შემცირებას ჩაბარებული „დეპოზიტარული ხელწერილების“ რაოდენობით.
- 6.6. საჭიროების შემთხვევაში, „დეპოზიტარი“ „ემიტენტს“ ან მის აგენტს ჩაბარებს მის მფლობელობაში არსებულ ნებისმიერ შესაბამის „დეპონირებულ ქონებას“ მათი განაღდების (დაფარვის) ვადის მოსვლისას ან გამოსყიდვისას, ამ დროისათვის გადასახდელი ყველა გადახდის ან სხვა ქონების მიღების პირობით.

6.7. „პირობების“ 6.3 ქვეპუნქტის გათვალისწინებით, მიუხედავად წინამდებარე „პირობების“ ნებისმიერი საპირისპირო დებულებისა, „მესაკუთრეები“ ან/და „ნომინალური მფლობელები“ ნებისმიერ დროს არიან უფლებამოსილები, ჩააბარონ გაუნაღებელი (დაუფარავი) „დეპოზიტარული ხელწერილები“ შესაბამისი „დეპონირებული ქონების“ გამოსათხოვად, რაც ექვემდებარება მხოლოდ (i) დროებით გაჭიანურებას იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც შეჩერებული ან აკრძალულია „დეპოზიტარული ხელწერილებით“ ვაჭრობა „პირობების“ 14.1.5 ქვეპუნქტის შესაბამისად, ან რომელიც გამოწვეულია „ობლიგაციების“ დეპონირების შეჩერებით „ობლიგაციონერების“ კრებაზე ხმის მიცემასთან ან „ობლიგაციებზე“ გადახდის განაწილებასთან კავშირში, (ii) საზღაურების, გადასახადებისა და მსგავსი გადასახდელების გადახდასა, და (iii) შესაბამისობას საქართველოს კანონმდებლობასთან, რომელიც შეეხება „დეპოზიტარულ ხელწერილებს“ ან „დეპონირებული ქონების“ გამოთხოვას.

7. გარკვეული შეზღუდვები

7.1. ნებისმიერი „დეპოზიტარული ხელწერილის“ გამოშვებამდე ან რეგისტრაციამდე, ნებისმიერი „დეპოზიტარული ხელწერილის“ გადაცემის რეგისტრაციამდე, ნებისმიერ „დეპოზიტარულ ხელწერილთან“ დაკავშირებით ნებისმიერ განაწილებამდე ან „დეპოზიტარული ხელწერილებით“ წარმოდგენილი ნებისმიერი „დეპონირებული ქონების“ გამოთხოვამდე, „დეპოზიტარმა“ ან/და „კასტოდიანმა“, გარემოებების გათვალისწინებით, შესაძლოა მოითხოვონ „მესაკუთრეებისგან“ ან/და „ნომინალური მფლობელებისგან“ წერილობითი ინსტრუქციების მიწოდება „დეპოზიტარის“ ჩანაწერების შესასწორებლად: (i) იმ თანხის გადახდა, რომელიც საკმარისია მისთვის ნებისმიერი გადასახადის ან სხვა სამთავრობო გადასახდელისა და ნებისმიერი გადაცემის ან რეგისტრაციის საზღაურის (ნებისმიერი იმ გადასახადის ან გადასახდელისა და საზღაურის ჩათვლით, რომელიც დაკავშირებულია „ობლიგაციების“ დეპონირებასთან, გადაცემასთან ან გამოთხოვასთან) ასანაზღაურებლად და „დეპოზიტარის“ ნებისმიერი საზღაურისა და „დეპოზიტარის“ მიერ გაწეული ნებისმიერი ხარჯის გადახდა, რომელიც დაკავშირებულია „ობლიგაციების“ დეპონირებით „დეპოზიტარული ხელწერილების“ მიწოდებასთან და „დეპონირებული ქონების“ გამოთხოვასა და „დეპოზიტარული ხელწერილების“ ან მათზე ბენეფიციური საკუთრების უფლების ჩაბარებასთან, როგორც ეს გათვალისწინებულია წინამდებარე „პირობებით“; (ii) იმ გონივრულ რეგულაციებთან შესაბამისობა, ასეთის არსებობის შემთხვევაში, რომლებიც შესაძლოა მიიღოს „დეპოზიტარმა“ წინამდებარით გათვალისწინებულ თავის მოვალეობებთან შესაბამისობაში; და (iii) იმ დამაკმაყოფილებელი იმ მტკიცებულების წარდგენა, რომელიც ადასტურებს ნებისმიერ ფორმაზე, სერტიფიკატზე ან სხვა დოკუმენტზე შესრულებული ნებისმიერი ხელმოწერის ნამდვილობასა და ხელმომწერის პირადობას.

7.2. ზოგადად „ობლიგაციების“, ან კონკრეტული „ობლიგაციის“, დეპონირების შედეგად „დეპოზიტარული ხელწერილები“ გამოშვება შესაძლოა შეჩერდეს ან მასზე უარი იყოს ნათქვამი, კონკრეტულ შემთხვევებში „დეპოზიტარული ხელწერილების“ გადაცემის რეგისტრაციაზე შესაძლოა უარი იყოს ნათქვამი, ზოგადად გადაცემის რეგისტრაცია შესაძლოა შეჩერდეს, ან გაუნაღებელი (დაუფარავი) „დეპოზიტარული ხელწერილების“ ჩაბარება „დეპონირებული ფასიანი ქაღალდების“ გამოთხოვის მიზნით შესაძლოა შეჩერდეს, ნებისმიერი პერიოდის განმავლობაში, როდესაც შეჩერებული ან აკრძალულია „დეპოზიტარული ხელწერილებით“ ვაჭრობა „პირობების“ 14.1.5 ქვეპუნქტის შესაბამისად, ან თუ ამგვარი ქმედება აუცილებელი ან მიზანშეწონილია მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა დასაცავად ან წინამდებარე „პირობებით“ ან „ობლიგაციების პირობებით“ განსაზღვრული მიზნების განსახორციელებლად.

8. პასუხისმგებლობა გადასახადებისათვის

8.1. „დეპოზიტარი“ არ არის პასუხისმგებელი გადასახადზე, დარიცხვაზე ან სამთავრობო გადასახდელებზე, რომელიც არის ან შესაძლოა გახდეს გადასახდელი „დეპონირებულ ქონებასთან“ დაკავშირებით, მაგრამ „მესაკუთრეებმა“ ან/და „ნომინალურმა მფლობელებმა“ „დეპოზიტარს“ ნებისმიერ დროს მოთხოვნისთანავე უნდა გადაუხადონ ნებისმიერი და ყველა შესაბამისი ნაწილი, მიუხედავად იმისა, ამგვარი გადასახადი, დარიცხვა თუ გადასახდელი გახდება გადასახდელი ნებისმიერი ამჟამინდელი თუ სამომავლო კანონის, აქტის ან რეგულაციის საფუძველზე თუ სხვაგვარად. თუ „დეპოზიტარული ხელწერილების“ „მესაკუთრეები“ ან/და „ნომინალური მფლობელები“ არ გადაუხდიან „დეპოზიტარს“ ნებისმიერ ამგვარ თანხას, სამართლებრივი დაცვის მისთვის ხელმისაწვდომ ნებისმიერ სხვა საშუალებაზე დამატებით, „დეპოზიტარი“ უფლებამოსილია, უარი თქვას „დეპოზიტარული ხელწერილების“ გადაცემის ნებისმიერი რეგისტრაციის ან „ობლიგაციების“ ნებისმიერი დეპონირების ან „დეპონირებული ქონების“ გამოთხოვის მიზნით „დეპოზიტარული ხელწერილების“ ნებისმიერი ჩაბარების განხორციელებაზე, სანამ ამგვარი გადახდა არ განხორციელდება და იგი უფლებამოსილია, ნებისმიერი განაწილებიდან დაკავოს ან გამოაკლოს, და იგი უფლებამოსილია, გამოიყენოს ამგვარად დაკავებული ან გამოკლებული თანხა

ნებისმიერი ამგვარი გადასახადის, დარიცხვის ან სამთავრობო გადასახადების გადასახდელად, ხოლო „მესაკუთრე“ ან/და „ნომინალური მფლობელი“ დარჩება პასუხისმგებელი ნებისმიერ დანაკლისზე. „დეპოზიტარი“, „კასტოდიანი“ ან მათი სახელით მოქმედი ნებისმიერი პირი არ არის ვალდებული, მიიღოს რაიმე ზომა ან გაუწიოს „მესაკუთრეებს“ ან/და „ნომინალურ მფლობელებს“ რაიმე ადმინისტრაციული მომსახურება, უკან დაიბრუნოს გადასახადები, მოიპოვოს გადახდის წყაროსთან გადასახადის დაკავება შემცირებული განაკვეთით ან ნებისმიერი სხვა შედეგითი მოქმედი საგადასახადო ხელშეკრულებების ან კანონმდებლობის შესაბამისად „დეპოზიტარული ხელწერილებით“ წარმოდგენილ „დეპონირებულ ქონებასთან“ დაკავშირებით. „მესაკუთრეები“ ან/და „ნომინალური მფლობელები“ აცხადებენ თანხმობას, მოეყვონ „დეპოზიტარულ ხელწერილებს“, როგორც ბენეფიციურ უფლებას მათ მიერ წარმოდგენილ „დეპონირებულ ქონებაში“ საქართველოს საგადასახადო მიზნებისათვის.

8.2. „დეპოზიტარი“, „კასტოდიანი“ და მათი სახელით მოქმედი შესაბამისი პირები უფლებამოსილები, მაგრამ არა - ვალდებულები, არიან, „დეპოზიტარული ხელწერილების“ „მესაკუთრეებისათვის“ ან/და „ნომინალური მფლობელებისათვის“ წარადგინონ ანგარიშები და მიიღონ ზომები, რომლებიც შესაძლოა აუცილებელი იყოს „დეპონირებულ ფასიან ქაღალდებთან“ დაკავშირებულ განაწილებაზე გადასახადის შესამცირებლად ან მის გამოსარიცხად მოქმედი საგადასახადო ხელშეკრულებების ან კანონმდებლობის შესაბამისად. როგორც ამგვარი საგადასახადო შედეგების მიღების პირობა, „მესაკუთრეები“ ან/და „ნომინალური მფლობელები“ შესაძლოა ვალდებულები იყვნენ, დროდადრო და დროულად, წარადგინონ გადასახადის გადამხდელის სტატუსის, რეზიდენტობისა და ბენეფიციარი საკუთრების (გარემოებების გათვალისწინებით) იმ მტკიცებულების წარდგენა, იმ სერტიფიკატების/ცნობების გაფორმება და იმ განცხადებების გაკეთება და გარანტიების გაცემა, ან ნებისმიერი იმ სხვა ინფორმაციის ან დოკუმენტის მიწოდება, რომელიც შესაძლოა აუცილებლად ან სათანადოდ მიიჩნიოს „დეპოზიტარმა“, „კასტოდიანმა“ ან მათი სახელით მოქმედმა შესაბამისმა პირმა და აგენტმა მოქმედი საგადასახადო ხელშეკრულებისა და კანონმდებლობის შესაბამისად „დეპოზიტარის“, „კასტოდიანის“, მათი სახელით მოქმედი შესაბამისი პირებისა და აგენტების მიერ ვალდებულებების შესასრულებლად. „მესაკუთრეები“ ან/და „ნომინალური მფლობელები“ ათავისუფლებენ პასუხისმგებლობისგან „დეპოზიტარს“, „კასტოდიანს“, მათი სახელით მოქმედ შესაბამის პირებსა და მათ ნებისმიერ შესაბამის დირექტორს, თანამშრომელსა და აგენტს, და აძლევენ მათ დაცვის გარანტიას ნებისმიერი სამთავრობო ორგანოს ნებისმიერი მოთხოვნისგან გადასახადებთან, ჯარიმასთან ან საურავთან დაკავშირებით, რომელიც წარმოშობილია გადახდის წყაროსთან გადასახადის დაკავების შემცირებული განაკვეთისგან ან „მესაკუთრეების“ ან/და „ნომინალური მფლობელის“ სახელით მიღებული სხვა საგადასახადო შედეგებისგან.

8.3. „დეპოზიტარს“, „კასტოდიანს“ ან მათი სახელით მოქმედ ნებისმიერ პირს არ დაეკისრება პასუხისმგებლობა ნებისმიერი „მესაკუთრის“ ან/და „ნომინალური მფლობელის“ მიერ საქართველოს ფარგლებს გარეთ გადახდილი გადასახადების ჩაუთვლელობის გამო.

8.4. „დეპოზიტარს“ არ დაეკისრება რაიმე პასუხისმგებლობა ნებისმიერ საგადასახადო შედეგზე, რომელიც შესაძლოა დადგეს „მესაკუთრეებისათვის“ მათ მიერ „დეპოზიტარული ხელწერილების“ საკუთრებაში ქონის გამო.

8.5. „პირობების“ წინამდებარე მე-8 პუნქტი („მესაკუთრეების პასუხისმგებლობა გადასახადებისთვის“) ძალაში რჩება „დეპოზიტარულ ხელწერილებზე“ უფლების ნებისმიერი გასხვისების, „პირობების“ შეწყვეტისა და „დეპონირებული ფასიანი ქაღალდების“ გამოსყიდვისა და განაღდების (დაფარვის) შემდეგაც.

9. ობლიგაციონერების განცხადებები და გარანტიები

9.1. მიიჩნევა, რომ ნებისმიერი პირი, რომელიც განახორციელებს „ობლიგაციების“ დეპონირებას, აკეთებს შემდეგ განცხადებებს და იძლევა შემდეგ გარანტიებს: (i) ამგვარი „ობლიგაციები“ სათანადო წესით ნებადართული და გამოშვებულია და გაუნაღდებელია (დაუფარავია) და ამგვარი პირის მიერ კანონიერად შეძენილი და სრულად გადახდილია; (ii) დეპონირების განმახორციელებელ პირს აქვს სათანადო უფლებამოსილება; (iii) დეპონირების განმახორციელებელ პირს დეპონირებისათვის წარდგენილი „ობლიგაცია“ საკუთრებაში აქვს ნებისმიერი ყადაღის, დატვირთვის, უზრუნველყოფის ღონისძიების, იპოთეკის/გირავნობისა და მესამე პირის მოთხოვნის გარეშე, და ამგვარი „ობლიგაცია“ არ არის, და ამგვარი „ობლიგაციის“ დეპონირებისას გამოშვებული „დეპოზიტარული ხელწერილები“ არ იქნება, „*restricted securities*“ (როგორც ეს ტერმინი განსაზღვრულია „ფასიანი ქაღალდების აქტში“); და (iv) დეპონირებისათვის წარდგენილ „ობლიგაციაზე“ არ არის შეზღუდული რაიმე უფლება ან უფლების მინიჭება. ამგვარი განცხადებები და გარანტიები აგრძელებს მოქმედებას „დეპონირებული ქონების“ დეპონირებისა და გამოთხოვის, „დეპოზიტარული ხელწერილების“ ან მათზე ნებისმიერი ბენეფიციური საკუთრების

უფლების ნებისმიერი გადაცემის, ჩაბარების ან გაუქმების, და მათთან დაკავშირებით „დეპოზიტართან ანგარიშებში“ ან სხვა ჩანაწერებში ნებისმიერი შესწორების მიუხედავად.

- 9.2. თუ ნებისმიერი ამგვარი განცხადება ან გარანტია რაიმე ფორმით მცდარია, „დეპოზიტარი“ უფლებამოსილია, „ობლიგაციების“ დეპონირების განმახორციელებელი პირის ხარჯით მიიღოს ნებისმიერი და ყველა ზომა, რომელიც აუცილებელია დამდგარი შედეგების გამოსასწორებლად, მათ შორის, შეზღუდვის გარეშე, „დეპოზიტარის“ მიერ ამგვარი „ობლიგაციების“ საფუძველზე გამოშვებული „დეპოზიტარული ხელწერილების“ გასაუქმებლად.

10. დამატებითი გარანტიები

- 10.1. მიიჩნევა, რომ თითოეული პირი, რომელიც განახორციელებს „ობლიგაციების“ დეპონირებას, იღებს ან გადასცემს „დეპოზიტარულ ხელწერილს“ ან მასზე ნებისმიერ ბენეფიციურ საკუთრების უფლებას, ან აბარებს „დეპოზიტარულ ხელწერილს“ ან მასზე ბენეფიციურ საკუთრების უფლებას მის გასაუქმებლად ან მისი შესაბამისი „დეპონირებული ქონების“ გამოსათხოვად, ადასტურებს, რომ „დეპოზიტარული ხელწერილი“ და მათ მიერ წარმოდგენილი „დეპონირებული ქონება“ არ არის და არ იქნება რეგისტრირებული „ფასიანი ქაღალდების აქტის“ შესაბამისად ან ნებისმიერი იურისდიქციის ფასიანი ქაღალდების მარეგულირებელ ნებისმიერ ორგანოსთან (გარდა, „დეპონირებული ქონების“ შემთხვევაში, საქართველოსა) და არ არის დასაშვები მათი შეთავაზება, გაყიდვა, დაგირავება ან სხვაგვარად გადაცემა, გარდა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, და მიიჩნევა, რომ ამგვარი პირი აკეთებს განცხადებას და იძლევა გარანტიას, რომ ამგვარი დეპონირება, გადაცემა ან ჩაბარება და გამოთხოვა შესაბამისობაშია საქართველოს კანონმდებლობასთან.
- 10.2. მიიჩნევა, რომ დეპონირებული „ობლიგაციების“ და გამოსაშვები „დეპოზიტარული ხელწერილების“ „ბენეფიციარი მესაკუთრე“ აკეთებს შესაბამის განცხადებებს, იძლევა შესაბამის გარანტიებს, სერტიფიკატებსა და დადასტურებებს და რომ იგი ადასტურებს უარის თქმას, შეთანხმებებს, ინსტრუქციებსა და ურთიერთგაგებას, თითოეულ შემთხვევაში, როგორც ეს განსაზღვრულია წინამდებარე „პირობებში“ ან/და „დეპონირებისა და გამოშვების სერტიფიკატში“.
- 10.3. მიიჩნევა, რომ ნებისმიერი პირი, რომელიც აბარებს „დეპოზიტარულ ხელწერილებს“, აკეთებს შემდეგ განცხადებებს და იძლევა შემდეგ გარანტიებს: (i) ამგვარი „დეპოზიტარული ხელწერილები“ სათანადო წესით ნებადართული და გამოშვებულია და გაუნაღდებელია (დაუფარავია) და ამგვარი პირის მიერ კანონიერად შეძენილი და სრულად გადახდილია; (ii) ჩამბარებელ პირს აქვს სათანადო უფლებამოსილება; (iii) ჩამბარებელ პირს ჩაბარებისთვის წარდგენილი „დეპოზიტარული ხელწერილი“ საკუთრებაში აქვს ნებისმიერი ყადაღის, დატვირთვის, უზრუნველყოფის ღონისძიების, იპოთეკის/გირავნობისა და მესამე პირის მოთხოვნის გარეშე, და ამგვარი „დეპოზიტარული ხელწერილი“ არ არის, და ამგვარი „დეპოზიტარული ხელწერილის“ ჩაბარებისას გამოთხოვილი „ობლიგაცია არ იქნება, „restricted securities“ (როგორც ეს ტერმინი განსაზღვრულია „ფასიანი ქაღალდების აქტში“); და (iv) ჩასაბარებლად წარდგენილ „დეპოზიტარულ ხელწერილზე“ არ არის შეზღუდული რაიმე უფლება ან უფლების მინიჭება.
- 10.4. მიიჩნევა, რომ გასაუქმებლად ჩაბარებული „დეპოზიტარული ხელწერილების“ და შესაბამისად გამოთხოვილი „დეპონირებული ფასიანი ქაღალდების“ „ბენეფიციარი მესაკუთრე“ აკეთებს შესაბამის განცხადებებს, იძლევა შესაბამის გარანტიებს, სერტიფიკატებსა და დადასტურებებს და რომ იგი ადასტურებს უარის თქმას, შეთანხმებებს, ინსტრუქციებსა და ურთიერთგაგებას, თითოეულ შემთხვევაში, როგორც ეს განსაზღვრულია წინამდებარე „პირობებში“ ან/და „ჩაბარებისა და გამოთხოვის სერტიფიკატში“.
- 10.5. ამგვარი განცხადებები, გარანტიები, სერტიფიკატები და დადასტურებები აგრძელებს მოქმედებას „დეპონირებული ფასიანი ქაღალდების“ ნებისმიერი დეპონირებისა და გამოთხოვის, „დეპოზიტარული ხელწერილების“ ან მათზე ნებისმიერი ბენეფიციური საკუთრების უფლების ნებისმიერი გადაცემის, ჩაბარების ან გაუქმების, და „დეპოზიტართან ანგარიშებში“ ან მათთან დაკავშირებულ სხვა ჩანაწერში ნებისმიერი შესწორების მიუხედავად. თუ ნებისმიერი ამგვარი განცხადება, გარანტია, სერტიფიკატი ან დადასტურება რაიმე ფორმით მცდარია, „დეპოზიტარი“ უფლებამოსილია, შესაბამისი პირის ხარჯით მიიღოს ნებისმიერი და ყველა ზომა, რომელიც აუცილებელია დამდგარი შედეგების გამოსასწორებლად, მათ შორის, შეზღუდვის გარეშე, „დეპოზიტარის“ მიერ ამგვარი „ობლიგაციების“ საფუძველზე გამოშვებული „დეპოზიტარული ხელწერილების“ გასაუქმებლად.
- 10.6. „დეპოზიტარული ხელწერილების“ „მესაკუთრეები“ ათავისუფლებენ „დეპოზიტარს“, „კასტოდიანს“, მათი სახელით მოქმედ შესაბამის პირებსა და მათ ნებისმიერ შესაბამის დირექტორს, თანამშრომელსა და აგენტს,

პასუხისმგებლობისგან და აძლევენ მათ დაცვის გარანტიას ნებისმიერი სამთავრობო ან მარეგულირებელი ორგანოს (მათ შორის, შეზღუდვის გარეშე, „ეროვნული ბანკის“) ან ნებისმიერი მესამე პირის ნებისმიერი მოთხოვნისგან ან ჯარიმისგან განცხადებებთან, გარანტიებთან, სერტიფიკატებთან ან დადასტურებებთან დაკავშირებით, რომლებიც რაიმე ფორმით მცდარია.

11. დეპოზიტარის საზღაურები და ხარჯები

11.1. „დეპოზიტარი“ „მესაკუთრეებისგან“ (საჭიროების შემთხვევაში, „ნომინალური მფლობელების“ მეშვეობით) მიიღებს შემდეგ საზღაურებს:

(ა) **გამოშვების საზღაური:** „დეპოზიტარული ხელწერილებით“ წარმოდგენილი „ობლიგაციების“ ძირითადი თანხის 5 (ხუთი) საბაზისო პუნქტამდე ოდენობის ეკვივალენტს აშშ დოლარში; და

(ბ) **გაუქმების საზღაური:** ნებისმიერი პირისათვის, რომელიც აბარებს „დეპოზიტარულ ხელწერილებს“ გასაუქმებლად და „დეპონირებული ქონების“ გამოსათხოვად, საზღაური, რომელიც არ აღემატება გასაუქმებლად ჩაბარებული „დეპოზიტარული ხელწერილებით“ წარმოდგენილი „ობლიგაციების“ ძირითადი თანხის 5 (ხუთი) საბაზისო პუნქტამდე ოდენობის ეკვივალენტს აშშ დოლარში.

11.2. დამატებით, „ობლიგაციების“ დეპონირებისათვის წარმდგენმა „ობლიგაციონერებმა“ და „დეპოზიტარული ხელწერილების“ გასაუქმებლად და „დეპონირებული ქონების“ გამოსათხოვად ჩამბარებელმა „მესაკუთრეებმა“ უნდა გადაიხადონ შემდეგი საფასურები:

(ა) გადასახადები (მოქმედი სარგებლისა და ჯარიმების ჩათვლით) და სხვა სამთავრობო გადასახდელები (საგერბო გადასახადის, ასეთის არსებობის შემთხვევაში, ჩათვლით);

(ბ) სარეგისტრაციო საზღაურები, რომლებიც შესაძლოა დროდადრო იყოს ძალაში „დეპოზიტართან ანგარიშებში“ „ობლიგაციების“ ან სხვა „დეპონირებული ქონების“ რეგისტრაციისთვის და გავრცელდეს „ობლიგაციების“ ან სხვა „დეპონირებული ქონების“ გადაცემაზე „კასტოდიანის“, „დეპოზიტარის“ ან მათი სახელით მოქმედი ნებისმიერი პირის სახელზე ან სახელიდან დეპონირებისა და გამოთხოვის განხორციელებისას, შესაბამისად;

(გ) საკაბელო კავშირით, ტელექსითა და ფაქსით გადაცემისა და მიწოდების ის ხარჯები, რომლებიც ცალსახად მითითებულია წინამდებარე „პირობებში“, როგორც „ობლიგაციების“ დეპონირების ან „დეპონირებული ქონების“ გამოთხოვის განმახორციელებელი პირის ან „დეპოზიტარული ხელწერილების“ „მესაკუთრეების“ ან/და „ნომინალური მფლობელის“ ხარჯი;

(დ) „დეპოზიტარის“ მიერ უცხოური ვალუტის გადაცვლასთან დაკავშირებით გაწეული ხარჯები, ასეთის არსებობის შემთხვევაში;

(ე) „დეპოზიტარის“ მიერ სავალუტო კონტროლის რეგულაციებისა და „დეპონირებული ქონების“ და „დეპოზიტარული ხელწერილების“ მიმართ მოქმედი სხვა მარეგულირებელი მოთხოვნების დაცვასთან დაკავშირებით გაწეული ხარჯები;

(ვ) „დეპოზიტარის“, „კასტოდიანის“ ან მათი სახელით მოქმედი ნებისმიერი პირის მიერ „დეპონირებული ქონების“ მომსახურებასთან ან მიწოდებასთან დაკავშირებული ხარჯები;

(ზ) „დეპოზიტარის“, „კასტოდიანის“ ან მათი სახელით მოქმედი ნებისმიერი პირის ნებისმიერი ხარჯი, რომელიც გაწეულია „დეპონირებულ ქონებასთან“ დაკავშირებული ნებისმიერი უფლების დასაცავად ან უზრუნველსაყოფად (მათ შორის, შეზღუდვის გარეშე, სამართლებრივი მრჩეველის საზღაურები და ხარჯები, რომლებიც დაკავშირებულია „დეპონირებულ ქონებასთან“ დაკავშირებულ ნებისმიერ დეფოლტთან); და

(თ) „დეპოზიტარის“ მიერ „დეპონირებულ ქონებასთან“ დაკავშირებული დოკუმენტების სათარგმნად გაწეული ნებისმიერი ხარჯი.

11.3. „დეპოზიტარისათვის“ გადასახდელი ყველა საზღაური და მოსაკრებელი შესაძლოა ნებისმიერ დროს და დროდადრო შეიცვალოს „დეპოზიტარის“ მიერ, მაგრამ „მესაკუთრეების“ მიერ გადასახდელი საზღაურებისა და მოსაკრებლების შემთხვევაში, მხოლოდ იმგვარად, როგორც ეს გათვალისწინებულია

„პირობების“ 17.2 ქვეპუნქტში. „დეპოზიტარი“ საჯაროდ ხელმისაწვდომს გახდის თავის ოფიციალურ ვებ-გვერდზე (წინამდებარის თარიღზე, <https://www.gcsd.ge/>) საზღაურების უახლეს სიას ან მოთხოვნის შემთხვევაში, ნებისმიერ პირს უფასოდ მიაწვდის თავისი საზღაურების უახლესი სიის ასლს.

- 11.4. „დეპოზიტარის“ ზემოთ განსაზღვრული უფლება, მიიღოს საზღაურების, ხარჯებისა და დანახარჯების გადახდა ძალაში რჩება „პირობების“ შეწყვეტისა და „დეპონირებული ფასიანი ქაღალდების“ გამოსყიდვისა და განაღდების (დაფარვის) შემდეგაც.

12. ბენეფიციური საკუთრების გამჟღავნება; ანგარიშგების ვალდებულებები

- 12.1. „დეპოზიტარი“ (საკუთარი სახელითა და „კასტოდიანის“ სახელით), საკუთარი შეხედულებისამებრ, უფლებამოსილია, მოითხოვოს „მესაკუთრეებისგან“, ყოფილი „მესაკუთრეებისგან“, „ბენეფიციარი მესაკუთრეებისგან“ და ყოფილი „ბენეფიციარი მესაკუთრეებისგან“ ინფორმაციის მიწოდება მათი პირადობისა და იმ უფლებამოსილების შესახებ, რომლის საფუძველზეც ისინი ფლობენ ან ფლობდნენ „დეპოზიტარულ ხელწერილებს“ ან საკუთრებაში აქვთ ან ჰქონდათ ამგვარი უფლება, ნებისმიერი სხვა პირის პირადობის შესახებ, რომლებსაც ამჟამად აქვთ ან ადრე ჰქონდათ უფლება „დეპოზიტარულ ხელწერილებზე“ და ამგვარი უფლების ბუნების შესახებ, და იმ სხვა ინფორმაციის წარდგენა, რომელიც „დეპოზიტარმა“ (საკუთარი სახელითა და „კასტოდიანის“ სახელით) შესაძლოა მიიჩნიოს სათანადოდ. „მესაკუთრეები“ და „ბენეფიციარი მესაკუთრეები“ (i) აცხადებენ თანხმობას „დეპოზიტარის“ მიერ ამგვარად მოთხოვნილი ნებისმიერი ინფორმაციის მიწოდებაზე და (ii) აცხადებენ თანხმობას ნებისმიერი ამგვარი ინფორმაციის გამჟღავნებაზე „ემიტენტისთვის“, „დეპოზიტარისთვის“, „კასტოდიანისა“ და ნებისმიერი მარეგულირებელი ორგანოსათვის, „ეროვნული ბანკის“ ჩათვლით, რომლის იურისდიქციაც ვრცელდება „ემიტენტზე“, „დეპოზიტარზე“ ან „კასტოდიანზე“. „დეპოზიტარმა“ შესაძლოა უარი თქვას ნებისმიერი „დეპოზიტარული ხელწერილის“ გამოშვებაზე, რეგისტრაციაზე, გადაცემაზე ან გაუქმებაზე, „დეპონირებული ქონების“ გადაცემასა და ნაღდი ფულის, ფასიანი ქაღალდების ან ქონების განაწილებაზე, თუ ნებისმიერი „მესაკუთრე“, „ბენეფიციარი მესაკუთრე“ ან სხვა პირი, გარემოებების გათვალისწინებით, არ მიაწვდის მას ამგვარ ინფორმაციას.

- 12.2. თუ მოქმედი კანონმდებლობა და რეგულაციები ავალდებულებს „დეპოზიტარული ხელწერილების“ „მესაკუთრეებს“ ან/და „ნომინალურ მფლობელებს“ ანგარიშგების ვალდებულებების დაკმაყოფილებას ან/და გარკვეულ გარემოებებში მარეგულირებელი ორგანოსგან დამტკიცების მიღებას, „დეპოზიტარული ხელწერილების“ ამგვარი „მესაკუთრეები“ ან/და „ნომინალური მფლობელები“ ერთპიროვნულად პასუხისმგებლები არიან ამგვარი ანგარიშგების ვალდებულებების შესრულებასა და ამგვარი დამტკიცების მიღებაზე. თითოეული „მესაკუთრე“ ან/და „ნომინალური მფლობელი“ წინამდებარით აცხადებს თანხმობას, წარადგინოს ამგვარი ანგარიშები და მოიპოვოს ამგვარი დამტკიცებები იმდენად, რამდენადაც და იმ ფორმით, როგორც ეს მოთხოვნილია დროდადრო ძალაში მყოფი მოქმედი კანონმდებლობითა და რეგულაციებით.

- 12.3. „პირობების“ წინამდებარე მე-12 პუნქტი („ბენეფიციური საკუთრების გამჟღავნება; ანგარიშგების ვალდებულებები“) ძალაში რჩება „დეპოზიტარულ ხელწერილებზე“ უფლების ნებისმიერი გასხვისების, „პირობების“ შეწყვეტისა და „დეპონირებული ქონების“ გამოსყიდვისა და განაღდების (დაფარვის) შემდეგაც.

13. განაღდება (დაფარვა) და შეძენა

13.1. დაგეგმილი განაღდება (დაფარვა)

თუ მანამდე არ მოხდა განაღდება (დაფარვა) ან შეძენა და გაუქმება „ობლიგაციების პირობების“ 7(b) („ვადამდელი განაღდება (დაფარვა) ემიტენტის მიერ“ („Optional Redemption by the Issuer“)), 7(c) („განაღდება (დაფარვა) აქციების შეთავაზების მიზეზით“ („Redemption for Equity Offering“)), 7(d) („განაღდება (დაფარვა) საგადასახადო მიზეზით“ („Redemption for Taxation Reasons“)), 7(e) („განაღდება (დაფარვა) ობლიგაციონერების არჩევანით კონტროლის ცვლილებისას“ („Redemption at the Option of the Noteholders upon a Change of Control“)), 7(f) („ნაწილობრივი განაღდება (დაფარვა)“ („Partial Redemption“)) ან 7(g) („შეძენა“ („Purchases“)) ქვეპუნქტების შესაბამისად, „ობლიგაციების“ განაღდება (დაფარვა) განხორციელდება ძირითადი თანხის ოდენობით 2024 წლის 2 აპრილს (შემდგომში „განაღდების (დაფარვის) თარიღი“) და, ამგვარი „განაღდების (დაფარვის) თარიღის“ გათვალისწინებით, „ემიტენტი“ განახორციელებს „განაღდების (დაფარვის) თარიღზე“ გაუნაღდებელი (დაუფარავი) „დეპოზიტარული ხელწერილების“ განაღდებას (დაფარვას) მათი ძირითადი თანხის 100%-ის ოდენობით.

13.2. შეძენა

„ემიტენტი“ და მისი ნებისმიერი „შვილობილი“ უფლებამოსილია, ნებისმიერ დროს შეიძინოს ან უზრუნველყოს, რომ სხვებმა მისი სახელით შეიძინონ „დეპოზიტარული ხელწერილები“ ღია ბაზარზე ან სხვაგვარად და ნებისმიერ ფასად. ნებადართულია ამგვარად შეძენილი „დეპოზიტარული ხელწერილების“ ფლობა ან ხელახალი გაყიდვა (*იმ პირობით, რომ ამგვარი ხელახალი გაყიდვა შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას*) ან ჩაბარება „დეპოზიტარისათვის“ გასაუქმებლად „ემიტენტის“ არჩევანით ან სხვაგვარად, გარემოებების გათვალისწინებით, „პირობების“ ქვემო 13.3 ქვეპუნქტის („დეპოზიტარული ხელწერილების გაუქმება“) შესაბამისად.

13.3. დეპოზიტარული ხელწერილების გაუქმება

13.3.1. ნებისმიერი „დეპოზიტარული ხელწერილი“, რომელიც ჩაბარდება „დეპოზიტარს“ „პირობების“ მე-6 პუნქტისა („დეპოზიტარული ხელწერილების ჩაბარება და დეპონირებული ქონების გამოთხოვა“) და „პირობების“ 13.2 ქვეპუნქტის („შეძენა“) შესაბამისად გაუქმდება.

13.3.2. „დეპოზიტარი“ გააუქმებს „დეპოზიტარულ ხელწერილებს“ „პირობების“ მე-6 პუნქტის („დეპოზიტარული ხელწერილების ჩაბარება და დეპონირებული ქონების გამოთხოვა“) შესაბამისად, თუ ამგვარი გაუქმება აუცილებელია „ემიტენტის“ ან „დეპოზიტარის“ მიერ ნებისმიერი მოქმედი კანონმდებლობის ან რეგულაციის დასაცავად.

14. გადახდები

14.1. განაწილება დეპონირებულ ქონებაზე

14.1.1. „შეწყვეტის თარიღამდე“ „დეპოზიტარი“ „მესაკუთრებს“ ან/და „ნომინალურ მფლობელებს“ გაუნაწილებს, თითოეული ამგვარი „მესაკუთრის“ ან/და „ნომინალური მფლობელის“ ფლობაში არსებული „დეპოზიტარული ხელწერილების“ რაოდენობის პროპორციულად, იმ ფორმით, როგორც გონივრულად განსაზღვრავს „დეპოზიტარი, ნებისმიერ ნაღდ ფულს (მათ შორის, შეზღუდვის გარეშე, სარგებლისა და ძირითადი თანხის გადახდებს), ფასიანი ქაღალდებს ან „კასტოდიანის“ ან „დეპოზიტარის“ მიერ „დეპონირებულ ქონებასთან“ დაკავშირებით მიღებულ სხვა ქონებას ამგვარი მიღებიდან შემდეგისდაგვარად მალე, „დეპოზიტარის“ იმ საზღაურების, გადასახდელებისა და ხარჯების გამოკლების ან გადახდის შემდეგ, რომლებიც აღწერილია წინამდებარე „პირობებში, და აღნიშნულთან დაკავშირებით ნებისმიერი გადასახადის დაკავების შემდეგ; *თუმცა, იმ პირობით, რომ* (i) „დეპოზიტარი“ არ განახორციელებს ნებისმიერ განაწილებას, რომელმაც, „დეპოზიტარის“ მოსაზრებით, შესაძლოა დაარღვიოს საქართველოს ან ნებისმიერი სხვა მოქმედი კანონმდებლობა, და (ii) განაწილება შესაძლოა გაჭიანურდეს, „დეპოზიტარის“ შეხედულებისამებრ, რათა უზრუნველყოფილი იყოს განაწილებასთან დაკავშირებით აუცილებლად ან მიზანშეწონილად მიჩნეული ნებისმიერი სერტიფიკაცია.

14.1.2. „დეპოზიტარი“ გაანაწილებს მხოლოდ იმ თანხას, რომლის განაწილებაც შესაძლებელია რომელიმე „მესაკუთრისთვის“ ან/და „ნომინალური მფლობელისთვის“ ერთი ცენტზე ნაკლები ოდენობის მიკუთვნების გარეშე. ერთ ცენტზე ნაკლები ნებისმიერი თანხა უნდა დამრგვალდეს უახლოეს მთლიან ცენტამდე და ნებისმიერი ბალანსი, რომელიც ამგვარად არ არის განაწილებული, დარჩება „დეპოზიტარის“ მფლობელობაში (პროცენტზე პასუხისმგებლობის გარეშე) და დაემატება „დეპოზიტარის“ მიერ იმ „დეპოზიტარული ხელწერილების“ „მესაკუთრეებს“ ან/და „ნომინალურ მფლობელებს“ გასანაწილებლად მიღებულ შემდეგ თანხას და გახდება ამ შემდეგი თანხის ნაწილი, რომელიც გაუნაწილებელია (დაუფარავია) შემდეგი განაწილების დროისათვის. „დეპოზიტარს“ აქვს უფლება, განსაზღვროს პროცედურები, რომელთა დაცვაც აუცილებელია „მესაკუთრეებისათვის“ ან/და „ნომინალური მფლობელებისათვის“ „ობლიგაციებთან“ დაკავშირებით უფლებების მისანიჭებლად ან ნებისმიერი „მესაკუთრის“ სახელით ამგვარი უფლებების გასახვისებლად და ამგვარი „მესაკუთრეებისათვის“ თანხის მისაცემად; *იმ პირობით, რომ* თუ ამგვარი უფლების პირობების გამო ან ნებისმიერი სხვა მიზეზით, უკანონო იქნებოდა „დეპოზიტარის“ მიერ ამგვარი უფლებების ხელმისაწვდომად გახდა „მესაკუთრეებისათვის“ ან ამგვარი უფლებების გასახვისება და ამგვარი უფლებების გასახვისებიდან მიღებული წმინდა მოგების ხელმისაწვდომად გახდა „მესაკუთრეებისათვის“, „დეპოზიტარი“ უფლებამოსილია, დაუშვას, რომ ეს უფლებები გაუქმდეს.

14.1.3. „დეპოზიტარის“ მიერ ნაღდი ფულის სახით მიღებული ნებისმიერი განაწილება ვალუტაში აშშ დოლარის გარდა, წინამდებარე „პირობების“ გათვალისწინებით, გადაიცვლება აშშ დოლარში შესაბამისი გადახდის თარიღზე „ეროვნული ბანკის“ ოფიციალურ ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული გაცვლითი კურსით და განაწილება, როგორც განსაზღვრულია წინამდებარით აშშ დოლარში (ნებისმიერი მოქმედი საზღაურისა და გადასახდელების გამოკლებით, რომლებიც ეკისრებათ „მესაკუთრეებს“). „დეპოზიტარი“, საკუთარი შეხედულებისამებრ, ერთპიროვნულად განსაზღვრავს, საქართველოში მისთვის ხელმისაწვდომი საშუალებების გათვალისწინებით, პრაქტიკულად კონვერტირებადია თუ არა აშშ დოლარში ნებისმიერი ნაღდი ფულის განაწილება. თუ „დეპოზიტარი“ განსაზღვრავს, რომ ნაღდი ფულის გადაცვლა აშშ დოლარში არ არის პრაქტიკულად განხორციელებადი, „დეპოზიტარი“ მფლობელობაში დაიტოვებს ამგვარ ნაღდ ფულს, საკუთარ ანგარიშზე და პროცენტზე პასუხისმგებლობის გარეშე, და იგი უფლებამოსილია, საკუთარი შეხედულებისამებრ, რამდენადაც შესაძლებელია, განხორციელოს ამგვარი კონვერტაცია და უფლების მქონე „მესაკუთრეებს“ ან/და „ნომინალურ მფლობელებზე“ განაწილება აშშ დოლარში, იმ დროს და იმ გაცვლითი კურსით, როგორც სათანადოდ ჩათვლის „დეპოზიტარი“.

14.1.4. „მესაკუთრეების“ ან/და „ნომინალური მფლობელების“ მიერ ძირითადი თანხისა და სარგებლის შესაბამისი თარიღებზე სრულად მიღების უფლებისათვის ზიანის მიყენების გარეშე, თუ ნებისმიერ გადახდის თარიღზე გადასახდელოდ ხელმისაწვდომი თანხა ნაკლებია გადასახდელ თანხაზე, „დეპოზიტარი“ გადაუხდის „მესაკუთრეებს“ ან/და „ნომინალურ მფლობელებს“, ან უზრუნველყოფს გადახდას, ამგვარ თარიღზე გადასახდელოდ ხელმისაწვდომი თანხების მათი შესაბამისი პროპორციული (*pro rata*) წილის შესაბამისად.

14.1.5. „ემიტენტის“ ან/და „დეპოზიტარის“ მოთხოვნისას, შესაძლოა აიკრძალოს ან შეიზღუდოს მეორად ბაზარზე „დეპოზიტარული ხელწერილებით“ ვაჭრობა დაწყებული „სააღრიცხვო თარიღიდან“ (როგორც ეს ტერმინი განსაზღვრულია „პირობების“ 14.2 ქვეპუნქტში („სააღრიცხვო თარიღი“)) დასრულებული თარიღზე, როდესაც შესაბამისი გადახდა ხდება ვადამოსული, ან „პირობების“ 16.1 ქვეპუნქტით („შეტყობინებები, ხმის მიცემასა და თანხმობის განცხადებასთან დაკავშირებული უფლებები“) განსაზღვრული მიზნებისათვის.

14.2. სააღრიცხვო თარიღი

„დეპოზიტარი“ თითოეულ „დეპოზიტარულ ხელწერილზე“ ძირითადი თანხისა და სარგებლის გადახდას განხორციელებს იმ „მესაკუთრეების“ ან/და „ნომინალური მფლობელების“ სასარგებლოდ, რომლებიც შესაბამისი გადახდის თარიღამდე 3 (სამი) „სამუშაო დღით“ ადრე „სამუშაო დღის“ ბოლოს რეგისტრირებულები არიან „დეპოზიტართან ანგარიშებში“ (შემდგომში „სააღრიცხვო თარიღი“). გადახდა განხორციელდება საბანკო გადარიცხვის გზით აშშ დოლარში „სააღრიცხვო თარიღისათვის“ ამგვარი „მესაკუთრეების“ ან/და „ნომინალური მფლობელების“ საბანკო ანგარიშებზე, რომლებიც რეგისტრირებულია „კლირინგისა და ანგარიშსწორების სისტემაში“. „დეპოზიტართან ანგარიშებში“ რეგისტრირებულმა „მესაკუთრეებმა“ ან/და „ნომინალურმა მფლობელებმა“ უნდა უზრუნველყონ, რომ „დეპოზიტარს“ ჰქონდეს განახლებული, სრული და სწორი ინფორმაცია მათი საბანკო ანგარიშების შესახებ, რომლებზეც მოხდება „დეპოზიტარულ ხელწერილებთან“ დაკავშირებული ნებისმიერი სახის გადახდა. „ემიტენტი“ და „დეპოზიტარი“ არ არიან პასუხისმგებელი ნებისმიერი გადასახდელი თანხის გადაუხდელობაზე, თუ „მესაკუთრე“ ან/და „ნომინალური მფლობელი“ „დეპოზიტარს“ დროულად არ მიაწვდის თავისი საბანკო ანგარიშების შესახებ სრულ და სწორ ინფორმაციას ან თუ „სააღრიცხვო თარიღისათვის“ ვერ უზრუნველყოფს ამგვარი ინფორმაციის განახლებას, „დეპოზიტარის“ მოთხოვნის მიუხედავად.

14.3. ვალუტა აშშ დოლარის გარდა

„ობლიგაციების პირობების“ მე-5 („სარგებელი“ („*Interest*“)), მე-7 („ობლიგაციების განადგება (დაფარვა) და შეძენა“ („*Redemption and Purchase*“)) და მე-8 („დაბეგვრა“ („*Taxation*“)) პუნქტების შესაბამისად „ემიტენტის“ ვალდებულებებთან დაკავშირებით, და შემდეგი წინადადების გათვალისწინებით, თუ „დეპოზიტარი“ მიიღებს რაიმე თანხას ვალუტაში აშშ დოლარის გარდა, „ობლიგაციების პირობების“ შესაბამისი პუნქტიდან გამომდინარე „დეპოზიტარის“ ვალდებულება ჩაითვლება სრულად დაკმაყოფილებულად იმ თანხის (ვალუტის გადაცვლის ნებისმიერი ხარჯის გამოკლების შემდეგ) გადახდით, რომელსაც მიიღებს „დეპოზიტარი“ აშშ დოლარის გარდა სხვა ვალუტაში მიღებული თანხის აშშ დოლარში გადაცვლისას, სპოტ ბაზარზე ჩვეული საბანკო პრაქტიკის შესაბამისად, რომელიც მოქმედებს „დეპოზიტარის“ მიერ ამგვარი თანხის მიღების „სამუშაო დღეს“.

14.4. არასამუშაო დღეები

თუ ნებისმიერი გადახდის თარიღი არ ემთხვევა „სამუშაო დღეს“, ვადამოსული გადახდა განხორციელდება მომდევნო „სამუშაო დღეს“.

14.5. რეორგანიზაცია

„დეპონირებული ფასიანი ქაღალდების“ ან „დეპონირებული ქონების“ ნებისმიერ სხვა ნაწილის ნომინალური ღირებულების ნებისმიერი ცვლილებისას, დანაწევრებისას, კონსოლიდაციისას ან სხვაგვარი ხელახალი კლასიფიკაციისას, ან „ემიტენტის“ ნებისმიერი რეორგანიზაციისას, შერწყმისას ან მიერთებისას, ან თუ ემიტენტი არის ამგვარი რეორგანიზაციის, შერწყმის ან მიერთების მხარე/მონაწილე, „დეპოზიტარი“ შეძლებისდაგვარად მალე, მაგრამ არაუგვიანეს 2 (ორი) „სამუშაო დღით“ ადრე, ამგვარი მოვლენის შესახებ წინასწარ შეტყობინებას მიაწვდის „მესაკუთრეებს“ ან/და „ნომინალურ მფლობელებს“ და აღნიშნულთან დაკავშირებით დაიცავს „პირობების“ მე-6 („დეპოზიტარული ხელწერილების ჩაბარება და დეპონირებული ქონების გამოთხოვა“) და მე-14 („გადახდები“) პუნქტების შესაბამის დებულებებს, ან იგი უფლებამოსილია, გააფორმოს და მიაწოდოს დამატებითი „დეპოზიტარული ხელწერილები“ ან მოითხოვოს არსებული „დეპოზიტარული ხელწერილების“ გადაცვლა ახალ „დეპოზიტარულ ხელწერილებში“, რომლებიც ასახავენ ამგვარი ცვლილებების შედეგებს.

15. დაბეგვრა

15.1. „ემიტენტის“ მიერ ან მისი სახელით „დეპოზიტარულ ხელწერილებთან“ დაკავშირებით გადასახდელი ძირითადი თანხის ან სარგებლის ყველა გადახდა განხორციელდება ნებისმიერი სახის იმ ნებისმიერი არსებული ან სამომავლო გადასახადის, მოსაკრებლის, დარიცხვის ან სამთავრობო გადასახდელის, და მათი დაკავების ან გამოკლების, გარეშე, რომელიც დაკისრებული, დარიცხული, ამოღებული ან დაკავებულია საქართველოში ან საქართველოს მიერ, ან საქართველოს ნებისმიერი პოლიტიკური ქვედანაყოფის ან დაბეგვრის უფლებამოსილების მქონე ნებისმიერი ორგანოს მიერ, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამგვარი დაკავება ან გამოკლება მოთხოვნილია კანონმდებლობით.

15.2. თუ „დეპოზიტარი“ ან „კასტოდიანი“ ნებისმიერ დროს დაექვემდებარება ნებისმიერ საგადასახადო იურისდიქციას, საქართველოს გარდა, წინამდებარე „პირობებში“ მითითება საქართველოზე განიმარტება, როგორც მითითება საქართველოზე ან/და სხვა ამგვარ იურისდიქციაზე.

16. ობლიგაციონერების კრებები; დეფოლტის შემთხვევები

16.1. შეტყობინებები, ხმის მიცემასა და თანხმობის განცხადებასთან დაკავშირებული უფლებები

16.1.1. „ობლიგაციონერების“ კრებებთან დაკავშირებული საკითხები განსაზღვრულია „ობლიგაციების პირობების“ მე-12 პუნქტით („ობლიგაციონერების კრებები; ცვლილებების შეტანა, და უფლებებზე უარის თქმა“ („Meetings of Noteholders; Modification, and Waivers“)).

16.1.2. „ემიტენტისგან“ ან „კასტოდიანისგან“, გარემოებების გათვალისწინებით, შეტყობინების მიღების შემდეგ (i) ნებისმიერი იმ კრების შესახებ, რომელზეც „დეპოზიტარული ხელწერილების“ „მესაკუთრეებს“ აქვთ ხმის მიცემის უფლება, ან (ii) „დეპოზიტარული ხელწერილების“ ან „დეპონირებული ქონების“ „მესაკუთრეებისგან“ თანხმობის ან მინდობილობის მიღების შესახებ, „დეპოზიტარი“ დაუყოვნებლივ დაადგენს სააღრიცხვო თარიღს (რომელიც იქნება „ემიტენტის“ მიერ დადგენილი შესაბამისი სააღრიცხვო თარიღის იდენტური ან მასთან შეძლებისდაგვარად ახლო თარიღი) ამგვარ კრებასთან ან თანხმობის ან მინდობილობის მიღებასთან დაკავშირებით.

16.1.3. „ემიტენტის“ ან „კასტოდიანის“, გარემოებების გათვალისწინებით, მიერ წერილობითი ფორმით და დროულად მოთხოვნის შემთხვევაში (ვინაიდან „დეპოზიტარს“ არ ეკისრება რაიმე დამატებითი ქმედების განხორციელების ვალდებულება, თუ მოთხოვნა დროულად არ არის მიღებული „დეპოზიტარის“ მიერ ამგვარი ხმის მიცემის ან კრების თარიღამდე) და „ემიტენტის“ ხარჯით და იმ პირობით, რომ არ არსებობს ამერიკის შეერთებული შტატების ან საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული რაიმე სამართლებრივი შეზღუდვა, „დეპოზიტარი“ სააღრიცხვო თარიღისათვის არსებულ „მესაკუთრეებს“ ან/და „ნომინალურ მფლობელებს“ გაუწავილებს: (ა) კრების, ან თანხმობის ან მინდობილობის მიღების, შესახებ ამგვარ შეტყობინებას, (ბ) განცხადებას, რომ სააღრიცხვო თარიღზე, საქართველოში ან ნებისმიერ სხვა შესაბამის იურისდიქციაში „სამუშაო დღის“ ბოლოს,

რეგისტრირებული „მესაკუთრეები“ ან/და „ნომინალური მფლობელები“ უფლებამოსილები არიან, ნებისმიერი მოქმედი კანონმდებლობის, „დეპოზიტართან ხელშეკრულების“, სადამფუძნებლო დოკუმენტებისა და „დეპონირებული ქონების“ ან მისი მარეგულირებელი დებულებების (რომელიც დებულებებიც, ასეთის არსებობის შემთხვევაში, შესაბამის ნაწილებში შეჯამებული იქნება „ემიტენტის“ მიერ) გათვალისწინებით, მისცენ ინსტრუქცია „დეპოზიტარს“ „დეპოზიტარულ ხელწერილებთან“ ან ამგვარი „მესაკუთრის“ ან/და „ნომინალური მფლობელის“ „დეპოზიტარული ხელწერილებით“ წარმოდგენილ სხვა „დეპონირებულ ქონებასთან“ დაკავშირებით ხმის მიცემის უფლების, ასეთის არსებობის შემთხვევაში, განხორციელებასთან დაკავშირებით, და (გ) მოკლე განცხადებას ამგვარი ხმის მიცემის ინსტრუქციების მიცემის წესთან დაკავშირებით.

16.1.4. ხმის მიცემის ინსტრუქციის მიცემა შესაძლებელია „დეპოზიტარული ხელწერილების“ მხოლოდ იმ რაოდენობასთან დაკავშირებით, რომელიც წარმოადგენს „დეპონირებული ფასიანი ქაღალდების“ ან სხვა „დეპონირებული ქონების“ რაოდენობას მთელი რიცხვით. სააღრიცხვო თარიღისთვის „მესაკუთრისგან“ ან/და „ნომინალური მფლობელისგან“ ხმის მიცემის ინსტრუქციის დროულად მიღებისას „დეპოზიტარის“ მიერ დადგენილი წესით, „დეპოზიტარი“ ეცდება, რამდენადაც ეს პრაქტიკულად შესაძლებელია და ნებადართულია მოქმედი კანონმდებლობით, „დეპოზიტართან ხელშეკრულებით“, სადამფუძნებლო დოკუმენტებითა და „დეპონირებული ქონების“ პირობებით, მისცეს ხმა ან უზრუნველყოს „კასტოდის“ მიერ ხმის მიცემა ამგვარი „მესაკუთრის“ ან/და „ნომინალური მფლობელის“ „დეპოზიტარული ხელწერილებით“ წარმოდგენილ „დეპონირებულ ფასიან ქაღალდებთან“ ან/და სხვა „დეპონირებულ ქონებასთან“ დაკავშირებით (პირადად ან მინდობილობის საფუძველზე) ამგვარი ინსტრუქციების შესაბამისად.

16.1.5. მიუხედავად ნებისმიერი სხვა დებულებისა „დეპოზიტართან ხელშეკრულებაში“, „დეპოზიტარი“ უფლებამოსილია, რამდენადაც ეს აკრძალული არ არის კანონმდებლობითა თუ რეგულაციებით ან იმ საფონდო ბირჟის მოთხოვნებით, რომლის ლისტინგშიც დაშვებულია „დეპოზიტარული ხელწერილები“ („საფონდო ბირჟის“ ჩათვლით), „დეპოზიტარის“ მიერ „დეპონირებული ფასიანი ქაღალდების“ მფლობელთა ნებისმიერ კრებასთან ან თანხმობის ან მინდობილობის მიღებასთან დაკავშირებით მიღებული მასალების განაწილების ნაცვლად, მიაწოდოს „მესაკუთრეებს“ ან/და „ნომინალურ მფლობელებს“ შეტყობინება, რომელიც აძლევს მათ ინსტრუქციას ან სხვაგვარად ხელმისაწვდომს ხდის, თუ როგორ მოიპოვონ ამგვარი მასალები ან მიიღონ მოთხოვნისთანავე (ანუ მითითებით ვებ-გვერდზე, რომელიც შეიცავს მასალებს ან საკონტაქტო ინფორმაციას მასალების ასლების მისაღებად).

16.1.6. „დეპოზიტარი“ და „კასტოდის“ არც ერთ გარემოებაში არ განახორციელებს რაიმე დისკრეციას ხმის მიცემასთან დაკავშირებით და არ მისცემს ხმას ნებისმიერ მოქმედ კანონმდებლობასთან შეუსაბამო ფორმით, და „დეპოზიტარი“ და „კასტოდის“ არ მისცემს ხმას, ან არ ეცდება ხმის მიცემის უფლების განხორციელებას, „დეპოზიტარულ ხელწერილებთან“ ან „დეპოზიტარული ხელწერილებით“ წარმოდგენილ სხვა „დეპონირებულ ქონებასთან“ დაკავშირებით, გარდა „მესაკუთრეებისგან“ ან/და „ნომინალური მფლობელებისგან“ მიღებული ინსტრუქციების შესაბამისად ხმის მიცემისა.

16.1.7. „დეპოზიტარი“ არც ერთ გარემოებაში არ განახორციელებს რაიმე დისკრეციას ხმის მიცემასთან დაკავშირებით და „დეპოზიტარულ ხელწერილთან“ დაკავშირებით არ მისცემს ხმას ნებისმიერ მოქმედ კანონმდებლობასთან შეუსაბამო ფორმით, და იგი მხოლოდ შეეცდება მისცეს ხმა, ან უზრუნველყოს ხმის მიცემა, იმ „ობლიგაციებთან“ დაკავშირებით, რომლებისთვისაც მიღებულია ხმის მიცემის ინსტრუქციები, გარდა იმ შემთხვევისა, რომ თუ „დეპოზიტარი“ „მესაკუთრისგან“ ან/და „ნომინალური მფლობელისგან“ „დეპოზიტარის“ მიერ განსაზღვრულ სააღრიცხვო თარიღზე ან ამ თარიღამდე არ მიიღებს ხმის მიცემის რაიმე ინსტრუქციას (იმიტომ, რომ „დეპოზიტარს“ არ დაუბრუნდა ხმის მიცემის ინსტრუქცია; ან იმიტომ, რომ ხმის მიცემის ინსტრუქცია არასრული, გაურკვეველი ან გაუგებარია; ან იმიტომ, რომ ხმის მიცემის ინსტრუქცია არ არის მიღებული გადაწყვეტილების კონკრეტულ პროექტთან დაკავშირებით; ან ნებისმიერი სხვა მიზეზის გამო) ამგვარი „მესაკუთრის“ ან/და „ნომინალური მფლობელის“ „დეპოზიტარული ხელწერილებით“ წარმოდგენილ ნებისმიერ ან ყველა დეპონირებულ „ობლიგაციასთან“ დაკავშირებით, „დეპოზიტარი“ მიიჩნევს, რომ ამგვარმა „მესაკუთრემ“ ან/და „ნომინალურმა მფლობელმა“ დაავალა „დეპოზიტარს“ არ მიეცა ხმა და „დეპოზიტარი“ არ მისცემს ხმას და მას არ დაეკისრება ამგვარი ხმის მიცემის უზრუნველყოფის ვალდებულება.

16.1.8. თუ „დეპოზიტარი“ „მესაკუთრისგან“ ან/და „ნომინალური მფლობელისგან“ დროულად მიიღებს ხმის მიცემის ინსტრუქციას, რომელშიც არ არის დაზუსტებული, თუ როგორ უნდა მისცეს ხმა

„დეპოზიტარმა“ ამგვარი „მესაკუთრის“ ან/და „ნომინალური მფლობელის“ „დეპოზიტარული ხელწერილებით“ წარმოდგენილ „დეპონირებულ ქონებასთან“ დაკავშირებით, „დეპოზიტარი“ ჩათვლის, რომ ამგვარმა „მესაკუთრემ“ ან/და „ნომინალურმა მფლობელმა“ დაავალა „დეპოზიტარს“, არ მიეცა ხმა იმ საკითხებზე, რომლებთან დაკავშირებითაც „მესაკუთრემ“ ან/და „ნომინალურმა მფლობელმა“ არ დააზუსტა „დეპოზიტარის“ მიერ ხმის მიცემის ინსტრუქცია. ხმის მიცემა არ განხორციელდება „დეპოზიტარული ხელწერილებით“ წარმოდგენილ იმ „დეპონირებულ ქონებასთან“ დაკავშირებით, რომელზეც „დეპოზიტარი“ არ მიიღებს „მესაკუთრისგან“ ან/და „ნომინალური მფლობელისგან“ ხმის მიცემის კონკრეტულ ინსტრუქციებს.

16.1.9. მიუხედავად ნებისმიერი სხვა დებულებისა „დეპოზიტართან ხელშეკრულებაში“, „დეპოზიტარს“ არ ეკისრება რაიმე ვალდებულება, მიიღოს რაიმე ზომა „დეპონირებული ქონების“ მფლობელთა ნებისმიერ კრებასთან ან თანხმობის ან მინდობილობის მოპოვებასთან დაკავშირებით, თუ ამგვარი ქმედება გამოიწვევს საქართველოს კანონმდებლობის დარღვევას.

16.1.10. „დეპოზიტარული ხელწერილების“ ფლობის გაგრძელებით, ითვლება, რომ ყველა „მესაკუთრემ“ ან/და „ნომინალურმა მფლობელმა“ თანხმობა განაცხადა „პირობების“ წინამდებარე მე-16 პუნქტის („ობლიგაციონერების კრებები; დეფოლტის შემთხვევები“) დებულებებზე, როგორც მასში შესაძლოა დროდადრო შევიდეს ცვლილებები საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის, „პირობების“ და „ობლიგაციების პირობების“ დაცვის მიზნით.

16.1.11. თუ „პირობებით“ ცალსახად არ არის გათვალისწინებული, „დეპოზიტარს“ არ ეკისრება რაიმე ვალდებულება, შეატყობინოს „მესაკუთრეებს“ ან/და „ნომინალურ მფლობელებს“ „ემიტენტისგან“ რაიმე კომუნიკაციის ან „ემიტენტის“ ან „დეპოზიტარის“ საქმეებთან დაკავშირებული ნებისმიერი სხვა საკითხის შესახებ. „დეპოზიტარი“ იღებს ვალდებულებას, „მესაკუთრეებისათვის“ ან/და „ნომინალური მფლობელებისათვის“ ხელმისაწვდომი გახადოს „დეპოზიტარის“ ან „კასტოდიანის“ მიერ „ემიტენტისგან“ მიღებული ნებისმიერი ანგარიში და კომუნიკაცია, რომელიც (i) „დეპოზიტარმა“ ან „კასტოდიანმა“ მიიღო, როგორც „ობლიგაციების“ (ან სხვა „დეპონირებული ფასიანი ქაღალდების“) მფლობელმა; და, ამავედროულად, (ii) საჯაროდ ხელმისაწვდომი გახადა ამგვარი „ობლიგაციების“ (ან სხვა „დეპონირებული ფასიანი ქაღალდების“) მფლობელებისათვის „ემიტენტმა“. ამგვარი ანგარიშები და კომუნიკაციები ხელმისაწვდომი იქნება იმ ენაზე, რომელზეც ისინი მიიღო „ემიტენტისგან“ „დეპოზიტარმა“ ან „კასტოდიანმა“.

16.2. დეფოლტის შემთხვევები

16.2.1. „ობლიგაციებიდან“ გამომდინარე დეფოლტის შემთხვევებთან დაკავშირებული საკითხები, და ამ შემთხვევაში ხელმისაწვდომი სამართლებრივი დაცვის საშუალებები, ექსკლუზიურად რეგულირდება „ობლიგაციების პირობებით“. კერძოდ, „ობლიგაციებიდან“ გამომდინარე და მათთან დაკავშირებული დეფოლტის შემთხვევები აღწერილია „ობლიგაციების პირობების“ მე-10 პუნქტში („დეფოლტის შემთხვევები“ („Events of Default“)), ხოლო შესაბამისი აღსრულების პროცედურა აღწერილია „ობლიგაციების პირობების“ 14(c) ქვეპუნქტში („აღსრულება; დაყრდნობა“ („Enforcement; Reliance“)).

16.2.2. თუ დადგება დეფოლტი „დეპონირებულ ქონებასთან“ დაკავშირებით, „დეპოზიტარს“ არ აქვს რაიმე ვალდებულება, მიიღოს რაიმე ზომა ამგვარ დეფოლტთან დაკავშირებით, გარდა იმისა, რომ თუ დეფოლტის შემთხვევა გრძელდება 30 (ოცდაათი) „სამუშაო დღეზე“ მეტი ვადის განმავლობაში, „დეპოზიტარი“ უზრუნველყოფს „დეპოზიტარული ხელწერილების“ გაუქმებასა და შესაბამისი „დეპონირებული ქონების“ გამოთხოვასა და „მესაკუთრეებისათვის“ ან/და „ნომინალური მფლობელებისათვის“ მიწოდებას, თითოეულ შემთხვევაში, საქართველოს კანონმდებლობის გათვალისწინებით და იმ პირობით, რომ „დეპოზიტარი“ მიიღებს (i) შესაბამის „დეპოზიტარულ ხელწერილებს“ გასაუქმებლად; (ii) შესაბამის „ჩაბარებისა და გამოთხოვის სერტიფიკატებს“; (iii) გადაცემის ხელშეკრულების გაფორმებულ ასლს შესაბამისი „დეპონირებული ქონებისათვის“ (თუ აღნიშნული მოთხოვნილია „დეპოზიტარის“ ან „კასტოდიანის“ მიერ); და (iv) შესაბამისი „მესაკუთრეების“ ან/და „ნომინალური მფლობელების“ მიერ „დეპონირებული ქონების“ გამოთხოვასა და მიწოდებასთან დაკავშირებული ნებისმიერი საზღაურისა და გადასახადის და ნებისმიერი იმ საზღაურის, ხარჯისა და გადასახადის გადახდას, რომელიც შესაძლოა გასწიოს „დეპოზიტარმა“ „დეპოზიტარული ხელწერილების“ გაუქმებასთან დაკავშირებით. „მესაკუთრეები“ ან/და „ნომინალური მფლობელები“ მიიღებენ ყველა გონივრულ ზომას, რათა მიაწოდონ „დეპოზიტარს“

ინფორმაცია, დოკუმენტაცია და გადახდები „დეპოზიტარული ხელწერილების“ ჩაბარებისა და „დეპონირებული ქონების“ გამოთხოვისა და მიწოდების უზრუნველსაყოფად.

16.2.3. „პირობების“ 16.2.1 ქვეპუნქტის გათვალისწინებით, „დეპოზიტარს“ არ აქვს რაიმე ვალდებულება, განახორციელოს „დეპონირებულ ქონებასთან“ დაკავშირებული ნებისმიერი დეფოლტის შემთხვევის დადგომის მონიტორინგი და არ აქვს რაიმე ვალდებულება, ადასრულოს რაიმე უფლება, რომელიც შესაძლოა ჰქონდეს ნებისმიერ „მესაკუთრეს“ ან/და „ნომინალურ მფლობელს“ ნებისმიერი დეფოლტის შემთხვევის დადგომისას „დეპონირებულ ქონებაზე“ მათი უფლების გამო. დამატებით, „დეპოზიტარი“ არ იღებს რაიმე ვალდებულებას „დეპონირებულ ქონებასთან“ დაკავშირებით.

16.2.4. „პირობების“ 16.2.1 ქვეპუნქტის გათვალისწინებით, „დეპოზიტარი“ და „კასტოდიანი“ უფლებამოსილები (მაგრამ არა - ვალდებულები) არიან, მიიღონ ნებისმიერი და ყველა ზომა, რომელსაც სათანადოდ მიიჩნევენ (საკუთარი შეხედულებისამებრ) „დეპონირებულ ქონებასთან“ დაკავშირებით, რათა დაიცვან ან უზრუნველყონ საკუთარი უფლებები „დეპონირებულ ქონებაში“ (მათ შორის, შეზღუდვის გარეშე, „ემიტენტის“ მიერ „დეპონირებულ ქონებასთან“ დაკავშირებით დეფოლტის დადგომისას) და ჩაითვლება, რომ ამგვარი ზომები მიღებულია „დეპოზიტარული ხელწერილების“ „მესაკუთრეებისათვის“ ან/და „ნომინალური მფლობელებისათვის“ და მათი სახელით (თუ სხვაგვარად არ არის დაზუსტებული „დეპოზიტარის“ ან „კასტოდიანის“ მიერ). ამგვარი ზომების მიღებისას „დეპოზიტარისა“ და „კასტოდიანის“ მიერ გაწეული ნებისმიერი ხარჯი ან საზღაური გადაიხდება „დეპოზიტარული ხელწერილების“ „მესაკუთრეების“ მიერ წინამდებარე „პირობებით“ დადგენილი წესით.

17. პირობებში ცვლილებების შეტანა

17.1. „პირობების“ 17.2 და 17.3 ქვეპუნქტების გათვალისწინებით, „ემიტენტი“ უფლებამოსილია, შეიტანოს ცვლილებები და დამატებები წინამდებარე „პირობებში“ ნებისმიერი „მესაკუთრის“ წინასწარი თანხმობის მოპოვების გარეშე.

17.2. ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე „პირობებში“, რომელიც აწესებს ან ზრდის რაიმე საზღაურს ან გადასახდელს (გარდა გადასახადებისა თუ სხვა სამთავრობო გადასახდელისა, რეგისტრაციის საზღაურისა, საკაბელო კავშირით, ტელექსითა და ფაქსით გადაცემის ხარჯებისა, მიწოდების ხარჯების ან სხვა ამგვარი ხარჯისა), ან რომელიც სხვაგვარად ზიანს აყენებს „მესაკუთრეთა“ რაიმე არსებულ არსებით უფლებას, გაუნადგებელ (დაუფარავ) „დეპოზიტარულ ხელწერილებთან“ მიმართებით არ შევა ძალაში იმ დრომდე, სანამ არ გავა 30 (ოცდაათი) დღე „მესაკუთრეებისათვის“ ამგვარი ცვლილების შესახებ შეტყობინების მიწოდებიდან. ამგვარი შეტყობინებიდან 30 (ოცდაათი) დღის გასვლის შემდგომ, ჩაითვლება, რომ ყველა „მესაკუთრემ“, რომელიც აგრძელებს „დეპოზიტარული ხელწერილების“ ან მათზე უფლების ფლობას, განაცხადა თანხმობა ამგვარ ცვლილებაზე ან დამატებაზე და რომ ისინი შებოჭილები არიან „დეპოზიტარული ხელწერილებითა“ და „პირობებით“, შესული ცვლილებებისა და დამატებების გათვალისწინებით.

17.3. „პირობებში“ რაიმე ცვლილებამ ან დამატებამ არც ერთ შემთხვევაში არ შეიძლება ზიანი მიაყენოს „მესაკუთრეების“ უფლებას, ჩააბარონ „დეპოზიტარული ხელწერილები“ გასაუქმებლად და გამოითხოვონ ამ „დეპოზიტარული ხელწერილებით“ წარმოდგენილი „დეპონირებული ქონება“, გარდა იმ შემთხვევისა, რომელიც აუცილებელია მოქმედი კანონმდებლობის სავალდებულო მოთხოვნების შესასრულებლად. ზემოთ აღნიშნულის მიუხედავად, თუ „ეროვნული ბანკი“ ან რომელიმე სახელმწიფო ორგანო მიიღებს ახალ კანონს, წესს ან რეგულაციას, რომელიც მოითხოვს „პირობებში“ ცვლილებების ან დამატებების შეტანას მათთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით, „ემიტენტი“ უფლებამოსილია, შეიტანოს ცვლილებები ან დამატებები „პირობებსა“ და „დეპოზიტარულ ხელწერილებში“ ნებისმიერ დროს ამგვარი შეცვლილი კანონის, წესისა და რეგულაციის შესაბამისად. ამგვარ გარემოებებში, „პირობების“ ან „დეპოზიტარული ხელწერილების“ ამგვარი ცვლილებები ან დამატებები შესაძლოა ძალაში შევიდეს „დეპოზიტარული ხელწერილების“ „მესაკუთრეებისათვის“ ამგვარი ცვლილებებისა და დამატებების შესახებ შეტყობინების მიწოდებამდე ან ნებისმიერი სხვა ვადის განმავლობაში, როგორც აუცილებელია ამგვარი კანონის, წესის ან რეგულაციის მოთხოვნათა შესასრულებლად.

18. ცვლილებები, რომლებიც გავლენას ახდენს დეპონირებულ ქონებაზე

18.1. (i) „ობლიგაციების“ ან ნებისმიერი სხვა „დეპონირებული ფასიანი ქაღალდების“ ძირითადი თანხის, გადახდის ვალუტის ან ნომინალური ღირებულების ცვლილებისას, ან მათი დანაწევრების,

კონსოლიდაციის ან ნებისმიერი სხვა ხელახალი კლასიფიკაციის ან რესტრუქტურისაციის შემთხვევაში, ან (ii) „ემიტენტის“ მიერ ნებისმიერ დროს ამგვარი „ობლიგაციების“ ან სხვა „დეპონირებული ქონების“ სრულად ან ნაწილობრივ განაღდებისას (დაფარვისას), ამ დროს და ნებისმიერ ამგვარ შემთხვევაში, „დეპოზიტარი“ უფლებამოსილია, გადაცვალოს ან ჩააბაროს ამგვარი „ობლიგაციები“ ან სხვა „დეპონირებული ქონება“ და მიიღოს და ფლობაში ჰქონდეს მათ ნაცვლად სხვა ობლიგაციები, ფასიანი ქაღალდები, ნაღდი ფული ან ქონება, რომლებიც გამოსაშვები ან მისაწოდებელია ამგვარი „ობლიგაციების“ ან სხვა „დეპონირებული ქონების“ სანაცვლოდ ან რომლებიც ნაწილდება ან გადაიხდება ამგვარ „ობლიგაციებთან“ ან სხვა „დეპონირებულ ქონებასთან“ დაკავშირებით, გარდა იმისა, რომ ამგვარი ქმედება დამოკიდებულია „დეპოზიტარის“ არჩევანზე და არ არის სავალდებულო, რა შემთხვევაშიც, „დეპოზიტარი“ იმოქმედებს მხოლოდ შესაბამისი „მესაკუთრეების“ წერილობითი მითითების (რომელიც, საჭიროების შემთხვევაში, მიწოდებულია „ნომინალური მფლობელების“ მეშვეობით) საფუძველზე.

18.2. „პირობების“ 18.1 ქვეპუნქტის შესაბამისად ნებისმიერი გადაცვლისას ან ჩაბარებისას, „დეპოზიტარი“ „მესაკუთრეებს“ (საჭიროების შემთხვევაში, „ნომინალური მფლობელების“ მეშვეობით) აღნიშნულის შესახებ მიაწვდის შეტყობინებას, სადაც კონკრეტულად აღწერილი იქნება გამოსაშვები ან მისაწოდებელი ახალი ობლიგაციები, ფასიანი ქაღალდები, ნაღდი ფული ან ქონება. „დეპოზიტარი“ „დეპოზიტარული ხელწერილების“ „მესაკუთრეებს“ (საჭიროების შემთხვევაში, „ნომინალური მფლობელების“ მეშვეობით) მიაწვდის შეტყობინებას „ობლიგაციების“ ან სხვა „დეპონირებული ქონების“ ნებისმიერი განაღდების (დაფარვის) შესახებ და „ობლიგაციების პირობების“ 7(f) ქვეპუნქტის („*ნაწილობრივი განაღდება (დაფარვა)*“ („*Partial Redemption*“)) შესაბამისად „ობლიგაციების“ ნაწილობრივი განაღდების (დაფარვის) შემთხვევაში, ძირითადი თანხისა და „ობლიგაციის ერთეულის“ ნებისმიერი პროპორციული (*pro rata*) შესწორების შესახებ.

19. დეპოზიტარისა და კასტოდიანის პასუხისმგებლობა

19.1. „დეპოზიტარს“, „კასტოდიანს“ და მათ აგენტებს არ ეკისრებათ რაიმე პასუხისმგებლობა რომელიმე „მესაკუთრის“ ან სხვა პირის წინაშე, თუ (i) ნებისმიერი ამჟამად ან სამომავლოდ მოქმედი კანონის, „ეროვნული ბანკის“ ან სხვა სამთავრობო ორგანოს ნებისმიერი ბრძანების, ან საქართველოს ან ნებისმიერი სხვა ქვეყნის ნებისმიერი სასამართლო გადაწყვეტილების გამო, ან (ii) ნებისმიერი ფორს-მაჟორული შემთხვევის, ომის, ტერორიზმის, ეპიდემიის ან პანდემიის, ან მის კონტროლის მიღმა სხვა გარემოების გამო, „დეპოზიტარი“, „კასტოდიანი“ და მათი აგენტები ვერ განახორციელებენ ან ასრულებენ წინამდებარე „პირობებით“ გათვალისწინებულ რაიმე ქმედებას, ან მათ ეკრძალებათ ამგვარი ქმედების განხორციელება, ან ამგვარი ქმედება ჭიანჭურდება.

19.2. „დეპოზიტარი“, „კასტოდიანი“ და მათი აგენტები არ იღებენ რაიმე ვალდებულებას და მათ არ ეკისრებათ რაიმე პასუხისმგებლობა წინამდებარე „პირობების“ შესაბამისად „მესაკუთრეების“ ან სხვა პირების წინაშე, გარდა იმ ვალდებულებების შესრულებისა, რომლებიც კონკრეტულად არის განსაზღვრული და მათ მიერ ნაკისრი წინამდებარე „პირობების“ შესაბამისად, არაკეთილსინდისიერების ან უხეში გაუფრთხილებლობის გარეშე.

19.3. წინამდებარე „პირობების“ არც ერთი დებულება არ გამოიწვევს, რომ „დეპოზიტარი“ ან „კასტოდიანი“ ჩაითვალოს „დეპოზიტარული ხელწერილების“, „მესაკუთრეების“ ან/და „ნომინალური მფლობელების“ მინდობილ პირად ან ფიდუციური ვალდებულების მქონედ, და იმ შემთხვევაში, თუ ამგვარი სატრასტო ან ფიდუციური ურთიერთობა შესაძლოა წარმოიშვას ნებისმიერი მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე, „მესაკუთრეები“ ან/და „ნომინალური მფლობელები“ წინამდებარით უარს აცხადებენ აღნიშნულზე კანონმდებლობით ნებადართულ მაქსიმალურ ფარგლებში.

19.4. „დეპოზიტარი“ იღებს ვალდებულებას, შეასრულოს მხოლოდ ის მოვალეობები, რომლებიც კონკრეტულად განსაზღვრულია წინამდებარე „პირობებში“ და „დეპოზიტარის“ ან მისი აგენტების წინააღმდეგ არ არსებობს წინამდებარე „პირობებით“ ნაგულისხმები დათქმები ან ვალდებულებები. „დეპოზიტარი“ და მისი აგენტები არ იქნებიან (ა) ვალდებულები, „დეპონირებულ ქონებასთან“ ან „დეპოზიტარულ ხელწერილებთან“ დაკავშირებით დაიწყონ ან აწარმოონ რაიმე სარჩელი, სამართალწარმოება ან სხვა წარმოება, ან მიიღონ მონაწილეობა მასში; (ბ) პასუხისმგებლები ნებისმიერი მოქმედების ან უმოქმედობის გამო, რომლებიც მათ განახორციელებს სამართლებრივი მრჩეველის, ბუღალტრის, „ობლიგაციების“ დეპონირებისათვის წარმდგენი ნებისმიერი პირის, ნებისმიერი „მესაკუთრის“ ან/და „ნომინალური მფლობელის“, „ბენეფიციარი მესაკუთრის“ ან ნებისმიერი იმ პირის რჩევაზე ან ინფორმაციაზე დაყრდნობით, რომელიც, მათი კეთილსინდისიერი რწმენით, კომპეტენტური იყო ამგვარი რჩევის ან ინფორმაციის მიცემაზე; (გ) პასუხისმგებლები წინამდებარე „პირობებით“ ან „დეპონირებული ქონების“ მარეგულირებელი

დებულებებით გათვალისწინებული რაიმე დისკრეციის ნებისმიერი განხორციელების ან განუხორციელებლობის გამო; (დ) პასუხისმგებლები „მესაკუთრის“ მიერ ნებისმიერი იმ განაწილებით, შეთავაზებით, უფლებით ან სხვა სარგებლით სარგებლობის შეუძლებლობის გამო, რომელიც ხელმისაწვდომია „ობლიგაციონერებისათვის“, მაგრამ არ არის ხელმისაწვდომი „დეპოზიტარული ხელწერილების“ „მესაკუთრეებისათვის“; (ე) პასუხისმგებლები „ემიტენტის“ (მათ შორის, შეზღუდვის გარეშე, „ემიტენტის“ მიერ „ობლიგაციების პირობების“ ნებისმიერი პირობის დარღვევის ან დეფოლტის გამო), „დეპონირებული ქონებისათვის“ ან „დეპოზიტარული ხელწერილებისათვის“ ნებისმიერი კლირინგის ან ანგარიშსწორების სისტემის (ამ ამგვარი კლირინგის ან ანგარიშსწორების სისტემის მონაწილის) ნებისმიერი მოქმედების ან უმოქმედობის გამო; ან (ვ) პასუხისმგებლები რაიმე არაპირდაპირი ზიანისთვის წინამდებარე „პირობების“ ნებისმიერი პირობის დარღვევისათვის (მიუღებელი შემოსავლის ჩათვლით).

19.5. „დეპოზიტარსა“ და მის აგენტებს არ ეკისრებათ პასუხისმგებლობა ნებისმიერ „დეპონირებულ ქონებასთან“ დაკავშირებით ნებისმიერი ხმის მიცემის ან თანხმობის განცხადების ინსტრუქციების შეუსრულებლობის გამო, ნებისმიერი ფორმის გამო, როგორც შესაძლოა განხორციელდეს ამგვარი ხმის მიცემა ან თანხმობის განცხადება, ან ნებისმიერი ამგვარი ხმის მიცემის ან თანხმობის შედეგის გამო. „დეპოზიტარი“ და მისი აგენტები უფლებამოსილები არიან, დაეყრდნონ ნებისმიერ იმ წერილობით შეტყობინებას, მოთხოვნას, მითითებას ან სხვა დოკუმენტს, რომელიც, მათი კეთილსინდისიერი რწმენით, იყო ნამდვილი და ხელმოწერილი ან წარდგენილი სათანადო პირის ან პირების მიერ, და ისინი დაცულები არიან, როდესაც მოქმედებენ ამგვარი შეტყობინების, მოთხოვნის, მითითებისა თუ სხვა დოკუმენტის საფუძველზე. იმისათვის, რომ ისარგებლონ ყველა უფლებითა და სარგებლით, რომელიც ენიჭებათ „ობლიგაციონერებს“, „დეპოზიტარული ხელწერილების“ „მესაკუთრეებს“ შესაძლოა მოეთხოვოთ მათი „დეპოზიტარული ხელწერილების“ „დეპოზიტორისთვის“ ჩაბარება გასაუქმებლად და გამოთხოვისას შესაბამისი „ობლიგაციების“ მფლობელობაში მიღება „პირობების“ მე-6 პუნქტის („დეპოზიტარული ხელწერილების ჩაბარება და დეპონირებული ქონების გამოთხოვა“) შესაბამისად.

19.6. „დეპოზიტარსა“ და მის აგენტებს არ ეკისრებათ რაიმე პასუხისმგებლობა „ემიტენტის“ მიერ მისთვის მიწოდებული ინფორმაციის შინაარსზე ან მისი ნებისმიერი თარგმანის ნებისმიერ უზუსტობაზე, „დეპონირებულ ქონებაში“ წილის შეძენასთან დაკავშირებულ ნებისმიერ საინვესტიციო რისკზე, „დეპონირებული ქონების“ ნამდვილობასა თუ ღირებულებაზე, ან ნებისმიერ საგადასახადო შედეგზე, რომელიც შესაძლოა გამოიწვიოს „ემიტენტის“, „დეპოზიტარის“, „კასტოდიანის“, მათი სახელით მოქმედი ნებისმიერი პირის, ან ნებისმიერი „მესაკუთრის“ ან/და „ნომინალური მფლობელის“ საგადასახადო სტატუსისგან, ნებისმიერი მესამე პირის კრედიტუნარიანობაზე, იმაზე, რომ წინამდებარე „პირობების“ შესაბამისად დაუშვა ნებისმიერი უფლების ვადის გასვლა, ან „ემიტენტის“ მიერ ნებისმიერი შეტყობინების მიუწოდებლობაზე ან არადროულ მიწოდებაზე. „დეპოზიტარი“ არ აგებს პასუხს რომელიმე აგენტის დეფოლტზე ან არასათანადო ქმედებაზე, თუ ამგვარი აგენტი შეირჩა გონივრული ზრუნვის ფარგლებში.

19.7. „მესაკუთრეები“ ერთპიროვნულად არიან პასუხისმგებლები იმ საინვესტიციო გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაკავშირებულია „დეპოზიტარული ხელწერილებისა“ და მათ მიერ წარმოდგენილი „დეპონირებული ფასიანი ქაღალდების“ ყიდვასთან, გასხვისებასა და ფლობასთან (გარემოებების გათვალისწინებით). ამგვარი საინვესტიციო გადაწყვეტილებები მოიცავს „მესაკუთრეების“ მიერ საქართველოში, საქართველოს კანონმდებლობისა და პრაქტიკის შესაბამისად, ქონების კასტოდიანურ მფლობელობაში ქონის რისკებს, მათ შორის, შეზღუდვის გარეშე, რისკს, რომ „კასტოდიანი“ და მისი სახელით მოქმედი შესაბამისი პირები, საქართველოს კანონმდებლობისა და პრაქტიკის შესაბამისად, შესაძლოა ჩაითვალოს (წინამდებარე „პირობების“ ან ფასიანი ქაღალდების შენახვისა და აღრიცხვის მომსახურების შესაბამისი ხელშეკრულების დებულებათა მიუხედავად) „დეპონირებული ქონების“ მესაკუთრეებად. „დეპოზიტარს“ ან „კასტოდიანს“ (ან მათი სახელით მოქმედ ნებისმიერ პირს) არ უკავია რაიმე საინვესტიციო მრჩეველის როლი „დეპოზიტარულ ხელწერილებთან“ და მათ მიერ წარმოდგენილ „დეპონირებულ ფასიან ქაღალდებთან“ დაკავშირებით.

19.8. „დეპოზიტარს“ არც ერთ შემთხვევაში არ დაეკისრება პასუხისმგებლობა რაიმე ზიანისთვის, გარდა ფაქტობრივად დამდგარი ზიანისა და „დეპოზიტარის“ პასუხისმგებლობის მაქსიმალური ზღვარი ნებისმიერი ფაქტობრივად დამდგარი ზიანისთვის არ აღემატება 100,000 (ასი ათასი) აშშ დოლარის ეკვივალენტს ლარში, გარდა იმ შემთხვევისა და იმდენად, რამდენადაც ამგვარი პასუხისმგებლობის შეზღუდვა ან გამორიცხვა დაუშვებელია მოქმედი კანონმდებლობით.

20. შეწყვეტა

- 20.1. „დეპოზიტარული ხელწერილები“, „დეპოზიტართან ხელშეკრულება“ და (ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად) წინამდებარე „პირობები“ წყდება ნებისმიერი შემდეგი მოვლენის დადგომისას, რომელიც დადგება უფრო ადრე: (i) „დელისტინგის მოვლენა“, ან (ii) „ობლიგაციების“ სრულად ვადამდე განაღდება (დაფარვა), ან (ii) „განაღების (დაფარვის) თარიღი“.
- 20.2. „დელისტინგის მოვლენის“ დადგომისთანავე „ემიტენტი“ აღნიშნულის შესახებ დაუყოვნებლივ მიაწვდის შეტყობინებას „დეპოზიტარს“ და, ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად, „დეპოზიტარს“ არ ეკისრება რაიმე ვალდებულება, განახორციელოს „დელისტინგის მოვლენის“ დადგომის მონიტორინგი.
- 20.3. იმ შემთხვევაში, თუ წინამდებარე „პირობების“ შესაბამისად ვალდებულებების შესრულებამ შესაძლოა არსებითად უარყოფითი გავლენა იქონიოს „დეპოზიტარზე“, „დეპოზიტარი“ უფლებამოსილია, ნებისმიერ დროს შეწყვიტოს „დეპოზიტარული ხელწერილები“ და წინამდებარე „პირობებით“ წარმოდგენილი შეთანხმება ამგვარი დროისათვის გაუნაღებელი (დაუფარავი) ყველა „დეპოზიტარული ხელწერილის“ „მესაკუთრისთვის“ (საჭიროების შემთხვევაში, „ნომინალური მფლობელების“ მეშვეობით) შეწყვეტის შესახებ შეტყობინების მიწოდებით, ელექტრონულად ან „დეპოზიტართან ანგარიშებში“ მითითებულ შესაბამის მისამართებზე, ამგვარი შეწყვეტისათვის შეტყობინებაში მითითებულ თარიღამდე სულ მცირე 30 (ოცდაათი) დღით ადრე (ან იმგვარი ნაკლები დროით ადრე, რომელიც შესაძლოა აუცილებელი იყოს „დეპოზიტარის“ კონტროლის მიღმა არსებული და „დეპოზიტარულ ხელწერილებზე“ უარყოფითი გავლენის მქონე მოვლენების გამო).
- 20.4. „დელისტინგის მოვლენა“, „ობლიგაციების“ ვადამდე განაღების (დაფარვის) თარიღი, „განაღების (დაფარვის) თარიღი“ და „პირობების“ 20.3 ქვეპუნქტის შესაბამისად „დეპოზიტარის“ მიერ „მესაკუთრისთვის“ მიწოდებულ შეტყობინებაში მითითებული შეწყვეტის თარიღი მოიხსენიება, როგორც „შეწყვეტის თარიღი“.
- 20.5. „შეწყვეტის თარიღამდე“ „დეპოზიტარი“ გააგრძელებს წინამდებარე „პირობებით“ და „დეპოზიტართან ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული ყველა ვალდებულების შესრულებას, და „მესაკუთრეებს“ ან/და „ნომინალურ მფლობელებს“ ენიჭებათ წინამდებარე „პირობებით“ გათვალისწინებული ყველა უფლება.
- 20.6. თუ „შეწყვეტის თარიღის“ შემდეგ ნებისმიერი „დეპოზიტარული ხელწერილი“ დარჩება გაუნაღებელი (დაუფარავი), „შეწყვეტის თარიღის“ შემდეგ „დეპოზიტარს“ აღარ ეკისრება რაიმე ვალდებულება, განახორციელოს რაიმე დამატებითი ქმედება წინამდებარე „პირობების“ შესაბამისად, გარდა იმისა, რომ თითოეულ შემთხვევაში, წინამდებარე „პირობების“ გათვალისწინებით, „დეპოზიტარი“ გააგრძელებს: (i) „დეპონირებულ ქონებასთან“ დაკავშირებული განაწილებების მიღებას; (ii) „დეპონირებული ქონების“, მასთან დაკავშირებით მიღებულ ნებისმიერ განაწილებასთან ერთად, „დეპოზიტარისთვის“ ჩაბარებული „დეპოზიტარული ხელწერილების“ სანაცვლოდ მიწოდებას („დეპოზიტარის“ საზღაურებისა და მის მიერ გაწეული ხარჯების, გარემოებების გათვალისწინებით, და „მესაკუთრისათვის“ ყველა მოქმედი გადასახადის ან სამთავრობო გადასახადების, წინამდებარე „პირობებით“ განსაზღვრული პირობების შესაბამისად, გამოკლების ან დარიცხვის შემდეგ); (iii) იმგვარი ზომების მიღებას, რომელიც მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად შესაძლოა აუცილებელი იყოს წინამდებარე „პირობების“ თანახმად მის მიერ დეპოზიტარის როლის შესრულებასთან დაკავშირებით; და (iv) მხოლოდ „დელისტინგის მოვლენის“ შემთხვევაში, წინამდებარე „პირობების“ 16.1 ქვეპუნქტით („შეტყობინებები, ხმის მიცემასა და თანხმობის განცხადებასთან დაკავშირებული უფლებები“) განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებას.
- 20.7. „შეწყვეტის თარიღის“ შემდეგ ნებისმიერ დროს „დეპოზიტარი“, საკუთარი შეხედულებისამებრ, უფლებამოსილია, მიიღოს გამოსყიდვასთან ან განაღდებასთან (დაფარვასთან) დაკავშირებული გადახდები, და მათი მიღების შემდეგ გამოსყიდვასთან ან განაღდებასთან (დაფარვასთან) დაკავშირებული ამგვარი გადახდები, წინამდებარე „პირობების“ შესაბამისად ამ დროისათვის მის ფლობაში არსებულ ნებისმიერ სხვა ნაღდ ფულთან ერთად, ფლობაში ჰქონდეს ინვესტირების გარეშე, საკუთარ ანგარიშზე და პროცენტზე პასუხისმგებლობის გარეშე, იმ „მესაკუთრეთა“ პროპორციული (*pro rata*) სარგებლისათვის, რომელთა „დეპოზიტარული ხელწერილების“ ჩაბარება ამ დრომდე არ განხორციელებულა.
- 20.8. „პირობების“ 20.7 ქვეპუნქტის შესაბამისად გამოსყიდვასთან ან განაღდებასთან (დაფარვასთან) დაკავშირებული გადახდების მიღების შემდეგ „დეპოზიტარი“ თავისუფლდება წინამდებარე „პირობებით“ გათვალისწინებული ყველა ვალდებულებისაგან, გარდა იმისა, რომ (i) დარჩეს პასუხისმგებელი გამოსყიდვასთან ან განაღდებასთან (დაფარვასთან) დაკავშირებული ამგვარი სუფთა გადახდებზე და სხვა ნაღდ ფულზე („დეპოზიტარის“ საზღაურებისა და მის მიერ გაწეული ხარჯების, გარემოებების გათვალისწინებით, და „მესაკუთრისათვის“ ყველა მოქმედი გადასახადის ან სამთავრობო

გადასახდელის, წინამდებარე „პირობებით“ განსაზღვრული პირობების შესაბამისად, გამოკლების ან დარიცხვის შემდეგ); და (ii) მიიღოს ზომები, რომლებიც შესაძლოა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად აუცილებელი იყოს „დეპოზიტარული ხელწერილების“ და წინამდებარე „პირობების“ შეწყვეტასთან დაკავშირებით.

- 20.9. იმ „დეპოზიტარული ხელწერილების“ „მესაკუთრეთა“ წინამდებარე „პირობებით“ გათვალისწინებული ვალდებულებები, რომლებიც არ არის განადგებული (დაფარული) „შეწყვეტის თარიღზე“, ძალაში რჩება „შეწყვეტის თარიღის“ შემდეგაც და გაუქმდება მხოლოდ მას შემდეგ, რაც „მესაკუთრეები“ შესაბამის „დეპოზიტარულ ხელწერილებს“ ჩააბარებენ „დეპოზიტარს“ გასაუქმებლად წინამდებარე „პირობების“ შესაბამისად.

21. დამატებითი გამოშვებები

თუ „ემიტენტი“ დროდადრო შექმნის და გამოუშვებს დამატებით ობლიგაციებს „ობლიგაციების პირობების“ მე-15 პუნქტის („დამატებითი გამოშვებები“ („Further Issues“)) შესაბამისად, „დეპოზიტარი“ უფლებამოსილია, არსებული „დეპოზიტარული ხელწერილების“ „მესაკუთრეებისათვის“ შეტყობინების მიწოდების ან მათი თანხმობის მოპოვების გარეშე, ამგვარი დამატებითი ობლიგაციების საფუძველზე შექმნას და გამოუშვას დამატებითი დეპოზიტარული ხელწერილები ყველა თვალსაზრისით (ან ყველა თვალსაზრისით, გარდა სარგებლის პირველი გადახდის თარიღისა და ოდენობისა) „დეპოზიტარული ხელწერილების“ მსგავსი პირობებით, „დეპოზიტარულ ხელწერილებთან“ კონსოლიდაციისა და მათთან ერთიანი სერიის შექმნის მიზნით. დამატებითი დეპოზიტარული ხელწერილების გამოშვება დადასტურდება „დეპოზიტართან ანგარიშებში“ გამოშვებული „დეპოზიტარული ხელწერილების“ მთლიანი რაოდენობის გაზრდით წინამდებარე პუნქტის შესაბამისად დამატებით გამოშვებული დეპოზიტარული ხელწერილების ოდენობით. „კასტოდიანი“ უფლებამოსილია, მოკვლევის გარეშე ივარაუდოს, რომ დეპოზიტარული ხელწერილების ამგვარი გამოშვება არ იქნება არსებითი ზიანის მომტანი არსებულ „მესაკუთრეთა“ ინტერესებისათვის.

22. მესამე პირი ზენეფიცირების გამორიცხვა

- 22.1. „პირობები“ მოქმედებს ექსკლუზიურად „დეპოზიტარისა“ და „მესაკუთრეების“ სასარგებლოდ და არ ანიჭებს რაიმე სამართლებრივ უფლებას, სამართლებრივი დაცვის საშუალებას ან მოთხოვნას ნებისმიერ სხვა პირს, მათ შორის, შეზღუდვის გარეშე, „ემიტენტს“, გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც პირდაპირ განსაზღვრულია წინამდებარე „პირობებით“. წინამდებარე „პირობები“ არ წარმოშობს ამხანაგობას ან ერთობლივ საქმიანობას „დეპოზიტარს“, „კასტოდიანს“ ან „მესაკუთრეებს“ შორის, ან არ აფუძნებს ფიდუციურ ან მსგავს ურთიერთობას „დეპოზიტარს“, „კასტოდიანს“ ან „მესაკუთრეებს“ შორის.

- 22.2. „მესაკუთრეები“ ადასტურებენ და აცხადებენ თანხმობას, რომ (i) „დეპოზიტარსა“ და მასთან აფილირებულ პირებს შესაძლოა ნებისმიერ დროს ჰქონდეთ მრავალი ურთიერთობა „ემიტენტთან“ ან „მესაკუთრეებთან“ ან მათ შესაბამის აფილირებულ პირებთან; (ii) „დეპოზიტარი“ და მასთან აფილირებული პირები შესაძლოა ნებისმიერ დროს მონაწილეობდნენ გარიგებებში, რომლებშიც დაინტერესებულ მხარეებს წარმოადგენენ „ემიტენტის“ ან „მესაკუთრეების“ ან მათთან აფილირებული პირების მოწინააღმდეგე მხარეები („დეპოზიტარისა“ და მასთან აფილირებული პირების ჩათვლით); (iii) „დეპოზიტარი“ და მასთან აფილირებული პირები შესაძლოა გახდნენ „ემიტენტის“ ნებისმიერი კლასის ფასიანი ქაღალდების მესაკუთრეები და ივაჭრონ აღნიშნული ფასიანი ქაღალდებით, და „დეპოზიტარი“ და მასთან აფილირებული პირები შესაძლოა დროდადრო ფლობდნენ არასაჯარო ინფორმაციას „ემიტენტის“ ან „მესაკუთრეების“ და მათთან აფილირებული პირების შესახებ; (iv) არაფერი წინამდებარე „პირობებში“ არ (ა) უკრძალავს „დეპოზიტარს“ ან მასთან აფილირებულ ნებისმიერ პირს, ჩაერთოს ამგვარ გარიგებებში ან დაამყაროს და შეინარჩუნოს ამგვარი ურთიერთობები, (ბ) ავალდებულებს „დეპოზიტარს“ ან მასთან აფილირებულ ნებისმიერ პირს, გაამჟღავნოს ამგვარი ინფორმაცია, გარიგებები ან ურთიერთობები, ან წარმოადგინოს ანგარიში ამგვარი გარიგებების ან ურთიერთობების შედეგად მიღებული ნებისმიერი მოგებისა თუ გადახდის შესახებ; (v) არ ჩაითვლება, რომ „დეპოზიტარისათვის“ ცნობილია რაიმე ინფორმაცია, რომელიც შესაძლოა ჰქონდეს მასთან აფილირებულ ნებისმიერ პირს „ემიტენტის“ ან „მესაკუთრეების“ ან მათთან აფილირებული ნებისმიერი პირის შესახებ; და (vi) საქართველოს გარდა, „ემიტენტი“, „დეპოზიტარი“, „კასტოდიანი“ და მათი შესაბამისი აგენტები და მკონტროლებელი პირები შესაძლოა დაექვემდებარონ სხვა იურისდიქციის კანონმდებლობასა და რეგულაციებს, და ამგვარი სხვა იურისდიქციების სასამართლოებსა და მარეგულირებელ ორგანოებს და, შესაბამისად, ამგვარი სხვა იურისდიქციის კანონმდებლობისა და რეგულაციების მოთხოვნებმა და შეზღუდვებმა, და ამგვარი სხვა სასამართლოებისა და მარეგულირებელი ორგანოების გადაწყვეტილებებმა და ბრძანებებმა, შესაძლოა

გავლენა იქონიოს წინამდებარე „პირობების“ შესაბამისად „ემიტენტის“, „დეპოზიტარის“, „კასტოდიანის“ და „მესაკუთრეების“ უფლებებსა და მოვალეობებზე.

23. მონაცემთა დამუშავება

„მესაკუთრეები“ და „ნომინალური მფლობელები“ ადასტურებენ, რომ მათ ესმით, რომ წინამდებარე „პირობებით“ გათვალისწინებული ზოგიერთი გარიგების (მაგალითად, „დეპოზიტარული ხელწერილების“ გამოშვებისა და გაუქმების) განხორციელების მიზნით, და „პირობებით“ გათვალისწინებული უფლებების განხორციელებისა და ვალდებულებების შესრულების მიზნით, შესაძლებელია, „მესაკუთრეებსა“ და „ნომინალურ მფლობელებთან“ (და დაკავშირებულ პირებთან) დაკავშირებული პერსონალური მონაცემები გადაეცეს „დეპოზიტარსა“ და „კასტოდიანს“ (და მათი სახელით მოქმედ შესაბამის პირებსა და აგენტებს) და დამუშავდეს მათ მიერ, ან განხორციელდეს მათ მიერ ამ პერსონალური მონაცემების გადაცემა, და „მესაკუთრეები“ და „ნომინალური მფლობელები“ წინამდებარით აცხადებენ თანხმობას პერსონალური მონაცემების ამგვარ გადაცემასა და დამუშავებაზე.

24. მარეგულირებელი კანონმდებლობა და იურისდიქცია

24.1. შეთავაზების პირობების დოკუმენტი (წინამდებარე „პირობების“ ჩათვლით) და „დეპოზიტარული ხელწერილები“, და მათგან გამომდინარე ან მათთან დაკავშირებული ნებისმიერი არასახელშეკრულებო ვალდებულება, რეგულირდება და განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

24.2. ყოველგვარი ექვის გამოსარიცხად, „ობლიგაციების პირობებისა“ და „ობლიგაციების“ მარეგულირებელი კანონმდებლობა განსაზღვრულია „ობლიგაციების პირობების“ 17(a) ქვეპუნქტით („მარეგულირებელი კანონმდებლობა“ („*Governing law*“)). კერძოდ, „ობლიგაციების პირობები“ და „ობლიგაციები“, მათგან გამომდინარე ან მათთან დაკავშირებული ნებისმიერი არასახელშეკრულებო ვალდებულების ჩათვლით, რეგულირდება ინგლისის კანონმდებლობის შესაბამისად.

24.3. საქართველოს სასამართლოებს აქვთ ექსკლუზიური იურისდიქცია ნებისმიერ დავაზე, რომელიც შესაძლოა წარმოიშვას შეთავაზების პირობების დოკუმენტიდან (წინამდებარე „პირობების“ ჩათვლით) და „დეპოზიტარული ხელწერილებიდან“, ან მათთან დაკავშირებით (რაც მოიცავს ნებისმიერ სარჩელს, დავას ან უთანხმოებას „დეპოზიტარული ხელწერილების“ გამოშვებასთან, არსებობასთან, მოქმედების შეწყვეტასა თუ ნამდვილობასთან ან მათ გაუქმებასთან დაკავშირებით, ან შეთავაზების პირობების დოკუმენტიდან (წინამდებარე „პირობების“ ჩათვლით) ან „დეპოზიტარული ხელწერილებიდან“ გამომდინარე ან მათთან დაკავშირებულ ნებისმიერ არასახელშეკრულებო ვალდებულებასთან დაკავშირებით).

24.4. ყოველგვარი ექვის გამოსარიცხად, „ობლიგაციების პირობებიდან“ ან „ობლიგაციებიდან“ გამომდინარე ან მათთან დაკავშირებული ნებისმიერი მოთხოვნა, უთანხმოება, დავა ან სხვაობა, ან მათგან გამომდინარე ან მათთან დაკავშირებული ნებისმიერი არასახელშეკრულებო ვალდებულება და სამართლებრივი წარმოება, გადასაწყვეტად გადაეცემა და საბოლოოდ გადაწყდება არბიტრაჟის გზით, ლონდონის საერთაშორისო საარბიტრაჟო სასამართლოს (London Court of International Arbitration) საარბიტრაჟო წესების შესაბამისად, „ობლიგაციების პირობების“ 17(b) ქვეპუნქტით („არბიტრაჟი“ („*Arbitration*“)) დადგენილი წესით.

25. დეპოზიტართან ხელშეკრულება

25.1. შეთავაზების პირობების დოკუმენტისა (წინამდებარე „პირობების“ ჩათვლით) და „დეპოზიტართან ხელშეკრულების“ ნებისმიერ დებულებას შორის რაიმე შეუსაბამობის შემთხვევაში, უპირატესობა მიენიჭება შეთავაზების პირობების დოკუმენტის (წინამდებარე „პირობების“ ჩათვლით) შესაბამის დებულებას.

25.2. „დეპოზიტართან ხელშეკრულება“ შედგენილი და გაფორმებულია ინგლისურ ენაზე. მიუხედავად იმისა, რომ „დეპოზიტართან ხელშეკრულება“ შეიძლება ითარგმნოს ქართულ ენაზე, „დეპოზიტართან ხელშეკრულების“ ქართული ვერსია განკუთვნილი იქნება მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის და „დეპოზიტართან ხელშეკრულების“ ინგლისურ ვერსიასა და ქართულ ვერსიას შორის რაიმე შეუსაბამობის შემთხვევაში, ან „დეპოზიტართან ხელშეკრულების“ ინგლისური ვერსიის ან ქართული ვერსიის ნებისმიერი დებულების ინტერპრეტაციასთან დაკავშირებით რაიმე დავის შემთხვევაში, უპირატესობა მიენიჭება „დეპოზიტართან ხელშეკრულების“ ინგლისურ ვერსიას და ინტერპრეტაციასთან დაკავშირებული საკითხები განხილული იქნება მხოლოდ ინგლისურ ენაზე.

დანართი 1 - დეპონირებისა და გამოშვების ინსტრუქციებისა და სერტიფიკატების ფორმა

დეპონირებისა და გამოშვების ინსტრუქციები და სერტიფიკატები

Deposit and Issuance Instructions and Certifications

Instruction Preparation Date & Time: [11/9/2020 12:00 AM](#)

TO:

Email:

Ph:

CC:

Email:

Ph:

FROM: PARTICIPANT (FULL LEGAL NAME)

TO: GEORGIAN CENTRAL SECURITIES DEPOSITORY (THE "DEPOSITARY")

Instruction Type: Receive

Message Type: [New Message](#)

Global Custodian: [Choose an item.](#)

REFERENCE:

SUBJECT: DEPOSIT AND ISSUANCE INSTRUCTIONS AND CERTIFICATIONS REQUEST

Security Name: Silknet Eurobond(s) (the "Security")

Security Codes: ISIN: XS1843443430

Common Code: 184344343

CFI Code: DYFXXR

Deposited Security Quantity: _____

(_____) Indicate in figures (& in words)

Annexes Attached: Yes/No_(indicate how many pages)

Receive Type: [Free of Payment](#)

Delivering Agent Details:

Delivering Agent Name: [Choose an item.](#)
Delivering Agent Custody SWIFT: [Choose an item.](#)
Delivering Agent Bank Code: [Choose an item.](#)
Custody ID Code / Account Number:
Place of Settlement: [Choose an item.](#)

Receiving Agent Details:

Receiving Agent Name: **Depository**
Receiving Custody SWIFT: BAGAGE22
Receiving Custody ID Code / Account Number: CEDE / 19694

Upon receipt (**deposit**) of the Security, please issue and deliver the corresponding Silknet Georgian Depository Notes (**GeDNs**) as follows:

Participant's Name:
Participant's Account Number (with Depository):
Participant's CLIENT Name:
Participant's CLIENT Account Number (with Depository):

Participant's Authorized Signatory (Name, Title): _____

Authorized Signature: _____

The completed Deposit and Issuance Instructions and Certifications to be sent to the Depository no later than 13:00 on a business day in Tbilisi, Georgia for same day execution.

DEPOSITARY (for internal use only):

Order Number: _____
Instruction Execution Date & Time: _____
Authorized Signatory's Name: _____
Authorized Signature: _____

ჩაბარებისა და გამოთხოვის ინსტრუქციები და სერტიფიკატები

Surrender and Withdrawal Instructions and Certifications

Instruction Preparation Date & Time: **11/9/2020 12:00 AM**

TO:

Email:

Ph:

CC:

Email:

Ph:

FROM: PARTICIPANT (FULL LEGAL NAME)

TO: GEORGIAN CENTRAL SECURITIES DEPOSITORY (THE "DEPOSITARY")

Instruction Type: Delivery

Message Type: [New Message](#)

Global Custodian: [Choose an item.](#)

REFERENCE:

SUBJECT: SURRENDER AND WITHDRAWAL INSTRUCTIONS AND CERTIFICATIONS REQUEST

GeDNs Name: Silknet Georgian Depositary Notes (the "GeDNs")

GeDNs Codes: ISIN: GE[●]

Participant's Name:

Participant's Account:

Participant's CLIENT Name:

Participant's CLIENT Account Number (with Depositary) from which GeDNs are to be debited:

Surrendered GeDNs Quantity: _____

(_____) Indicate in figures (& in words)

Annexes Attached: Yes/No_(indicate how many pages)

Upon receipt (**surrender**) of the GeDNs, please deliver (**withdraw**) the corresponding Silknet Eurobond(s) (the “**Security**”) or part of the Security as follows:

Delivery Type: [Free of Payment](#)

Delivering Agent Details:

Delivering Agent Name:	Depository
Delivering Agent SWIFT:	BAGAGE22
Delivering Agent Custody ID Code / Account Number:	CEDE / 19694

Receiving Agent Details:

Receiving Agent Name:	Choose an item.
Receiving Agent Bank Code:	Choose an item.
Receiving Agent Custody SWIFT:	Choose an item.
Receiving Agent Custody ID Code / Account Number:	
Place of Settlement:	Choose an item.

Participant’s Authorized Signatory (Name, Title): _____

Authorized Signature: _____

The completed Surrender and Withdrawal Instructions and Certifications to be sent to the Depository no later than 13:00 on a business day in Tbilisi, Georgia for same day execution.

DEPOSITARY (for internal use only):

Order Number: _____
Instruction Execution Date & Time: _____
Authorized Signatory’s Name: _____
Authorized Signature: _____

დეპოზიტარული ხელწერილების დაბეგვრა საქართველოში

ქვემოთ მოცემული ინფორმაცია წარმოადგენს „დეპოზიტარულ ხელწერილებთან“ დაკავშირებული ძირითადი საგადასახადო საკითხების ზოგად აღწერას და არ ისახავს მიზნად ამ საკითხების ამომწურავ ანალიზს. „დეპოზიტარული ხელწერილების“ პოტენციურმა მყიდველებმა კონსულტაცია უნდა მიიღონ საკუთარი საგადასახადო მრჩევლებისაგან „დეპოზიტარული ხელწერილების“ შეძენასთან, ფლობასთან და რეალიზაციასთან დაკავშირებით, ასევე დეპოზიტარული ხელწერილების საპროცენტო სარგებლის, ძირითადი თანხის ან/და სხვა შემოსავლების მიღების და შესაბამისი საგადასახადო შედეგების თაობაზე. წინამდებარე მიმოხილვა ეფუძნება შეთავაზების პირობების დოკუმენტის მომზადების თარიღისთვის მოქმედ კანონმდებლობას, რომელიც შეიძლება შეიცვალოს. ამ თავში წარმოდგენილი ინფორმაცია ეხება მხოლოდ საგადასახადო საკითხებს და პოტენციურმა ინვესტორებმა არ უნდა გამოიყენონ ეს ინფორმაცია რომელიმე სხვა საკითხის ანალიზისათვის, მათ შორის, „დეპოზიტარული ხელწერილებთან“ დაკავშირებული გარიგებების კანონიერების შესაფასებლად.

საპროცენტო სარგებლის დაბეგვრა

„დეპოზიტარულ ხელწერილებზე“ გადახდილი პროცენტი რეზიდენტი ფიზიკური პირისთვის, არარეზიდენტი იურიდიული და ფიზიკური პირებისთვის (თუ პროცენტი არ მიეკუთვნება საქართველოში ამ არარეზიდენტის მუდმივ დაწესებულებას) თავისუფლდება საშემოსავლო და მოგების გადასახადისაგან, იმის გათვალისწინებით, რომ „დეპოზიტარული ხელწერილი“ არის 2023 წლის 1 იანვრამდე საქართველოში საჯარო შეთავაზების გზით გამოშვებული და საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ აღიარებულ ორგანიზებულ ბაზარზე სავაჭროდ დაშვებული სასესხო ფასიანი ქაღალდი.

ამ შეთავაზების პირობების დოკუმენტის დამტკიცების თარიღისათვის სს „საქართველოს საფონდო ბირჟა“ ითვლება აღიარებულ ორგანიზებულ ბაზრად.

„დეპოზიტარულ ხელწერილებზე“ მეწარმე რეზიდენტი იურიდიული პირის (გარდა კომერციული ბანკისა, საკრედიტო კავშირისა, სადაზღვევო ორგანიზაციისა, მიკროსაფინანსო ორგანიზაციისა და სესხის გამცემი სუბიექტისა 2023 წლის 1 იანვრამდე) მიერ მიღებული პროცენტები ჩაირთვება რეზიდენტი იურიდიული პირის მოგებაში და დაიბეგრება მოგების გადასახადის 15%-იანი განაკვეთით, მხოლოდ შესაბამისი მოგების განაწილებისას.

2023 წლის 1 იანვრამდე კომერციული ბანკის, საკრედიტო კავშირის, სადაზღვევო ორგანიზაციის, მიკროსაფინანსო ორგანიზაციის და სესხის გამცემი სუბიექტის მიერ მიღებული პროცენტი შეიტანება ამ საწარმოების ერთობლივ შემოსავალში და გამოქვითვების შემდეგ დაიბეგრება მოგების გადასახადის 15%-იანი განაკვეთით.

დეპოზიტარული ხელწერილების რეალიზაციის დაბეგვრა

„დეპოზიტარული ხელწერილების“ მიწოდებით მიღებული რეზიდენტი ფიზიკურის პირის, არარეზიდენტი ფიზიკური და იურიდიული პირის შემოსავალი (ზოგადად სარეალიზაციო და შეძენის ფასებს შორის დადებითი სხვაობა ამ ფასიან ქაღალდზე მიწოდების მომენტამდე დარიცხული და აუნაზღაურებელი პროცენტის გაუთვალისწინებლად საგადასახადო კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში) განთავისუფლებულია საშემოსავლო და მოგების გადასახადისაგან (თუ ეს შემოსავალი არ მიეკუთვნება საქართველოში ამ არარეზიდენტის მუდმივ დაწესებულებას), იმის გათვალისწინებით, რომ „დეპოზიტარული ხელწერილები“ არის საქართველოში საჯარო შეთავაზების გზით გამოშვებული და საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ აღიარებულ ორგანიზებულ ბაზარზე სავაჭროდ დაშვებული სასესხო ფასიანი ქაღალდი.

საქართველოს რეზიდენტი იურიდიული პირი (გარდა კომერციული ბანკისა, საკრედიტო კავშირისა, სადაზღვევო ორგანიზაციისა, მიკროსაფინანსო ორგანიზაციისა და სესხის გამცემი სუბიექტისა 2023 წლის 1 იანვრამდე) ვალდებულია „დეპოზიტარული ხელწერილების“ რეალიზაციით მიღებულ მოგებაზე გადაიხადოს მოგების გადასახადი 15%-იანი განაკვეთით მას შემდეგ, რაც განაწილებს მოგებას.

2023 წლის 1 იანვრამდე კომერციული ბანკის, საკრედიტო კავშირის, სადაზღვევო ორგანიზაციის, მიკროსაფინანსო ორგანიზაციის და სესხის გამცემი სუბიექტის მიერ „დეპოზიტარული ხელწერილების“ რეალიზაციით მიღებული შემოსავალი შეიტანება ამ საწარმოების ერთობლივ შემოსავალში და გამოქვითვების შემდეგ დაიბეგრება მოგების გადასახადის 15%-იანი განაკვეთით.

ობლიგაციების დეპოზიტარულ ხელწერილებში გადაცვლის დაბეგვრა რეზიდენტი იურიდიული პირებისთვის

საქართველოს მეწარმე რეზიდენტი იურიდიული პირი (გარდა კომერციული ბანკისა, საკრედიტო კავშირისა, სადაზღვევო ორგანიზაციისა, მიკროსაფინანსო ორგანიზაციისა და სესხის გამცემი სუბიექტისა 2023 წლის 1 იანვრამდე) ვალდებულია „ობლიგაციების“ „დეპოზიტარულ ხელწერილებში“ გადაცვლისას წარმოშობილ მოგებაზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გადაიხადოს მოგების გადასახადი 15%-იანი განაკვეთით მას შემდეგ, რაც გაანაწილებს შესაბამის მოგებას.

რეზიდენტი ფიზიკურის პირისთვის, არარეზიდენტი ფიზიკური და იურიდიული პირისთვის „ობლიგაციების“ „დეპოზიტარულ ხელწერილებში“ გადაცვლის საგადასახადო შედეგებზე იხილეთ რისკის ფაქტორი: „დეპოზიტარული ხელწერილების მფლობელები და ობლიგაციონერები შეიძლება დაიბეგრონ“.

დამატებული ღირებულების გადასახადი

„დეპოზიტარული ხელწერილების“ რეალიზაცია (მიწოდება) გათავისუფლებულია დამატებული ღირებულების გადასახადისგან საქართველოში.

ინტერესთა კონფლიქტი

დეპოზიტარი და ემიტენტი არ წარმოადგენენ დაკავშირებულ პირებს, როგორც ეს ტერმინი განსაზღვრულია საქართველოს კანონით „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“.

დამატებითი ინფორმაცია

1. კომპანია გეგმავს, დეპოზიტარული ხელწერილების გამოშვების შემდგომ მიმართოს საქართველოს საფონდო ბირჟას განაცხადით დეპოზიტარული ხელწერილების საქართველოს საფონდო ბირჟის სავაჭრო სისტემასა და ლისტინგში დაშვების თაობაზე.
2. კომპანიას მოპოვებული აქვს საქართველოში დეპოზიტარული ხელწერილების გამოშვებისა და საჯარო შეთავაზებისათვის საჭირო ყველა თანხმობა. დეპოზიტარული ხელწერილების გამოშვება ნებადართულია ემიტენტის სამეთვალყურეო საბჭოს 2020 წლის 15 სექტემბრის გადაწყვეტილებით.
3. ქვემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტების ასლები ხელმისაწვდომი იქნება სამუშაო საათებში (შაბათ-კვირისა და უქმე დღეების გარდა) წინამდებარე შეთავაზების პირობების დოკუმენტის გამოქვეყნების თარიღიდან დეპოზიტარული ხელწერილების განაღდებას (დაფარვის) თარიღამდე კომპანიისა და დეპოზიტარის მისამართებზე:
 - (ა) წინამდებარე შეთავაზების პირობების დოკუმენტი (მასში შეტანილი შესწორებების ჩათვლით, ასეთის არსებობის შემთხვევაში);
 - (ბ) 2020 წლის 22 ოქტომბრის ხელშეკრულება კომპანიასა და დეპოზიტარს შორის დეპოზიტარული მომსახურების გაწევის შესახებ (Deposit Agreement) (მასში შეტანილი შესწორებების ჩათვლით, ასეთის არსებობის შემთხვევაში);
 - (გ) სალისტინგო დოკუმენტი (მასში შეტანილი შესწორებების ჩათვლით, ასეთის არსებობის შემთხვევაში);
 - (დ) 2019 წლის 2 აპრილის ხელშეკრულება (Trust Deed) ემიტენტსა და „BNY Mellon Corporate Trustee Services Limited“-ს, როგორც ობლიგაციონერების წარმომადგენელს, შორის (მასში შეტანილი შესწორებების ჩათვლით, ასეთის არსებობის შემთხვევაში); და
 - (ე) 2019 წლის 2 აპრილის ხელშეკრულება (Agency Agreement) ემიტენტსა და აგენტებს, მათ შორის, „BNY Mellon Corporate Trustee Services Limited“-სა და „The Bank of New York Mellon“-ის ლონდონის ფილიალს, როგორც ძირითად გადახდის აგენტს, მასში დასახელებულ სხვა გადახდის აგენტებს, მასში დასახელებულ გადაცემის აგენტებსა და „The Bank of New York Mellon SA/NV“-ს ლუქსემბურგის ფილიალს, როგორც რეგისტრატორს, შორის (მასში შეტანილი შესწორებების ჩათვლით, ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ინფორმაცია ემიტენტის, დეპოზიტარის, კასტოდიანისა და
ემიტენტის იურიდიული მრჩევლების შესახებ

ემიტენტი

სს „სილქნეტი“
საქართველო, თბილისი 0112,
წინამძღვრიშვილის ქ. №95

დეპოზიტარი

სს „საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარი“
მისამართი: საქართველო, თბილისი 0186,
ვაჟა-ფშაველას გამზირი №71, მე-10 ბლოკი, მე-7 სართული

კასტოდიანი

სს „საქართველოს ბანკი“
მისამართი: საქართველო, თბილისი 0160,
ი. გაგარინის ქუჩა №29ა

ემიტენტის იურიდიული მრჩევლები

შპს „დენტონს საქართველო“
საქართველო, თბილისი 0179,
პ. მელიქიშვილის გამზირი №8ა/ე. ტატიშვილის ქუჩა №1

Dentons UK and Middle East LLP
One Fleet Place
London EC4M 7WS
United Kingdom